ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 ივნისი **შაბათი** 2011
№ 129 (13426) ფასი 60 თეთრი



# 76 წუთი კართან და ზღაპარში

## ვუძლეთ, ვუძლეთ, ვერ გავუძლეთ



## შუშაკი ამას არ ელოდა

3



ჯაბა კანკავას საგოლე თავური...

2

## ახალგაზრდები ჩოWOWბი ლეგიონერებს







ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ევრო 2012. შესარჩევი მატჩი

# შორია, შორი ხორვატიამდე




3.06. სპლიტი. პოლიუდი.
33 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ხორვატია | 2 |
| საქართველო | 1 |

0:1 კანკავა (17. სირაძის პასით), 1:1 მანჯუკიჩი (76. დუიმოვიჩის პასით), 2:1 კალინიჩი (78. ედუარდოს პასით)

| ხორვატია | საქართველო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-3-2-1 |
| რუნიე | ლორია |
| სრნა | სალუქვაძე |
| ჩორლუკა | ხუბუტია |
| შიმუნიჩი | კალაძე |
| პრანიჩი | გრიგალავა |
| ვუკოევიჩი | კაშია |
| მოდრიჩი | ხიზანიშვილი |
| მანჯუკიჩი | კანკავა |
| ედუარდო | იაშვილი |
| პერიშიჩი | კვირკველია |
| იელავიჩი | სირაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ბილიჩი | თ. ქეცბაია |

**ხორვატია**

46. იელავიჩი - **კალინიჩი**
71. ვუკოევიჩი – **დუიმოვიჩი**
71. პერიშიჩი – **კლასნიჩი**

სათადარიგოები: პლეტიკოშა, ლოვრენი, ვრსალკო, ბადელი

**საქართველო**

56. სირაძე – **დვალიშვილი**
62. იაშვილი – **დაუშვილი**
80. კაშია – **ანანიძე**

სათადარიგოები: კვასხვაძე, ამისულაშვილი, გურული, ლიპარტია

გაფრთხილება: იაშვილი (26), ხუბუტია (75)

არბიტრი: ს. იოჰანესონი (შვედეთი)

ხორვატიასთან ჩატარებულ ორ მატჩში მეტოქის კარის ჩარჩოში ბურთი ორჯერ დავარტყით და ორივე გავიტანეთ, რაც ამ გუნდთან ორი გამარჯვების მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. დასასრული და საზღვარი ყველაფერს აქვს, მათ შორის იღბლის წყალობასაც – ხორვატებმა გუშინ ძალიან ბევრჯერ წაიშინეს თავში ხელი, საქართველოს კარის ძელს ბურთი სამჯერ გაარტყეს, მაგრამ ყველაფერი ლოგიკურად დაასრულეს და "წლის მატჩის" მოგებით ნანატრი რევანში იზეიმეს.

ცხელ გულზე დასკვნების გაკეთება ყოველთვის ძნელია. ქომაგთა აზრიც, ალბათ, ორად გაიყოფა და კითხვაც დაისმება – ჰქონდა თუ არა **თემურ ქეცბაიას** სხვა არჩევანი გარდა იმ ტაქტიკისა, რაც გუშინ ვიხილეთ? შეეძლო თუ არა საქართველოს ნაკრებს ყრუ დაცვიდან ხანდახან მაინც ამოსვლა და შეტევაში ბედის ცდა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა თქვენთვის მოგვინდვია, ჩვენ კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ფეხბურთში სასწაულები არცთუ ხშირად ხდება, გუშინ საქართველოს ნაკრები კლასით ორი თავით მაღლა მდგომ მეტოქესთან დამარცხდა და თამაშმა, დრამატული შინაარსის მიუხედავად, ნაღდად ვერ დაგვიტოვა ისეთი სიმწარე, როგორიც თუნდაც ისრაელში განცდილმა მარცხმა.

ისღა დაგვრჩენია, ხორვატთა თბილისში ძლევით დავკმაყოფილდეთ, ვაღიაროთ, რომ **სლავენ ბილიჩის** გუნდამდე ძალიან ბევრი გვიკლია და შედარებით რეალურ მიზნებზე ვიფიქროთ – თუნდაც ჯგუფში მეორე ადგილზე, რისი შანსიც გუშინდელმა მარცხმა ვერ დაგვაკარგვინა.

ხორვატთა ძირითადი შემადგენლობა ზუსტად ისეთი იყო, როგორიც იქაურმა მედიამ ივარაუდა – შეტევაზე ორიენტირებული, ფაქტობრივად, ოთხთავდამსხმელიანი. ქეცბაიამ კი უკიდურესად დაცვაზე ორიენტირებული თერთმეტეული შეარჩია. ტრავმირებული **ნუკრი რევიშვილის** ადგილი კარში **გიორგი ლორიამ** დაიკავა, **ლაშა სალუქვაძე** მარჯვენა მცველის პოზიციაზე დარჩა, ცენტრში **აკაკი ხუბუტიას კახა კალაძე** შეუწყვილა, კაპიტნის ადგილი კი მარცხენა ფლანგზე დებიუტანტმა **გია გრიგალავამ** დაიკავა; მოულოდნელი იყო **გურამ კაშიას** გამწესება საყრდენის პოზიციაზე, სხვები კი ჩვეულ პოზიციებზე განლაგდნენ: **ჯაბა კანკავა** და **ზურაბ ხიზანიშვილი** ცენტრში, **ალექსანდრე იაშვილი** და **დავით კვირკველია,** შესაბამისად, მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე ირჯებოდნენ, ერთადერთი თავდამსხმელი კი **დავით სირაძე** იყო.


ივან პერიშიჩისა და კახა კალაძის ორთაბრძოლა

მატჩის დაწყება და ხორვატიული შტურმი ერთი იყო. მეხუთე წუთისთვის მასპინძლებს უკვე სამი კუთხური ჰქონდათ მოწოდებული, მაგრამ სანამ პირველი ხიფათის შექმნას მოასწრებდნენ, ბურთი უკვე **რუნიეს** კარის ბადეში ფართხალებდა. სირაძემ შეტევის მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც კანკავამ ორ მეურვეს აჯობა და ანგარიში თავურით გახსნა.

ამის შემდეგ ქართველებს ხორვატთა დაცვა და მეკარე აღარ შეუწუხებიათ, ბილიჩის ბიჭებმა კი მთელი ძალები წინ გადაისროლეს და შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ. ჩვენები მეტოქეს ცენტრშიც იშვიათად ებრძოდნენ, ორეშელონიანი დაცვა მასპინძლებს საჯარიმოს სიახლოვეში ხვდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ხორვატები პირველ ტაიმში მრავალფეროვნად უტევდნენ. ისინი უმეტესად ფლანგურ ჩაწოდებებს მიმართავდნენ, რასაც ლორიამ და ქართულმა დაცვამ ალლო კარგად აუღეს. შესვენებამდე მხოლოდ ერთხელ გადავრჩით. 25-ე წუთზე **მარიო მანჯუკიჩის** უხერხული დარტყმული, მიწიდან ასხლეტილი ბურთი ლორიამ ძელის დახმარებით მოიგერია.

მეორე ნახევარში ხორვატები წინა ხაზზე მეტი ფანტაზიით ამოქმედდნენ და ფლანგურ გარღვევებს კომბინაციური ფეხბურთი და მოკლე პასები ნაამველეს. ჩვენს საჯარიმოში კი "ტემპერატურა" უფრო და უფრო მატულობდა.

57-ე წუთზე კიდევ ერთხელ გადავრჩით – **ედუარდომ** "მეორე სართულზე" ორი ქართველი მცველი დაჯაბნა და ორიოდე მეტრიდან ბურთი ხარიხას გაარტყა. 69-ე წუთზე მეკარემ გვიხსნა – საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ერთ-ერთმა საუკეთესომ, ლორიამ **ნიკოლა კალინიჩს** ახლო მანძილიდან ზედიზედ ორჯერ აჯობა.

მერე იყო ხორვატთა კაპიტან **დარიო სრნას** ორი ჯარიმა – საქართველოს ნაკრები ჯერ ძელმა იხსნა, მერე კი ლორიამ.

თეორიულად შეიძლებოდა, მასპინძელთა გააფთრებული შტურმისთვის ბოლომდე გაგვეძლო, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა – კლასნიჩ-დუიმოვიჩ-მანჯუკიჩის სამსვლიანმა კომბინაციამ ქართული დაცვა მარჯვნიდან გაარღვია, დანარჩენი უკანახაზელებიც სახტად დატოვა და მანჯუკიჩის გოლმა ქულის მოპოვებაშიც დაგვაეჭვა.

სტუმრებმა შოკიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს, რომ "პოლიუდი" უკვე მეორე გოლს ზეიმობდა. ედუარდოს ჩინებული პასით ქართველთა დაცვის ცენტრალური ზონა ჩაიჭრა და კალინიჩს ხელისშემშლელი არავინ ჰყავდა – 2:1.

ყველაფერი იქვე დასრულდა, თამაშის გამწვავება ვერც შეცვლაზე შესულმა **ჯანო ანანიძემ** შეძლო და ვერც დანარჩენმა ქართველებმა. დაცვაზე აწყობილ გუნდს თამაშის გადასარჩენად არც დრო ჰქონდა და არც რესურსი.


სლავენ ბილიჩი დიდ განსაცდელს გადაურჩა

ასე დასრულდა გუშინდელი საღამო სპლიტში, სადაც საქართველოს ნაკრების წევრებს თავი არ დაუზოგავთ და შეუპოვარი ბრძოლისთვის მადლობაც ეკუთვნით, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არა არის – ხორვატიამდე ძალიან, ძალიან ბევრი გვიკლია.

**მატჩის შემდეგ**

პრესკონფერენციაზე თემურ ქეცბაიამ ხორვატების გამარჯვებას დამსახურებული უწოდა, ჩვენი გუნდის მარცხი კი კონცენტრაციის დაკარგვას დააბრალა:

*„ხორვატიამ დაიმსახურა გამარჯვება. ის ფიზიკურად, გონებრივად და ტექნიკურად გვჯობდა. სამწუხაროდ, ორჯერ დავკარგეთ კონცენტრაცია და საკუთარი კარში ორი გოლი მივიღეთ. ასეთი რამ დაუშვებელია, მით უმეტეს ხორვატიის წინააღმდეგ, რომელსაც ევროპასა და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად მივიჩნევ.*

*ყოველთვის სასიამოვნოა ასეთ ატმოსფეროში თამაში, მაგრამ მერჩივნა მაყურებელი 90 წუთის განმავლობაში ჩუმად ყოფილიყო. გავაგრძელებთ ბრძოლას მეორე ადგილისთვის, ხორვატია კი, ჩემი აზრით, საუკეთესოა და ის პირველ ადგილზე გავა".*

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## U21. ხორვატია-საქართველო

03.06.2011. დუბროვნიკი
„ჰრვატსკი ვიტეზოვი"

| | |
|---|---|
| ხორვატია | 0 |
| საქართველო | 1 |

გოლი: 0:1 თარხნიშვილი (5)

| ხორვატია | საქართველო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| კალინიჩი | მაკარიძე |
| ცელიაკი | აფაქიძე |
| იოზინოვიჩი | კაკუბავა |
| პავლოვიჩი | კვირკველია |
| კელიჩი | ჯიშკარიანი |
| ადემი | კვეკვესკირი |
| ვუიჩევიჩი | თარხნიშვილი |
| ჩოპი | ძალამიძე |
| ვუკუშიჩი | შეყილაძე |
| ტრებოტიჩი | ყაზაიშვილი |
| ლენდრიჩი | მჭედლიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ი. შუშაკი | ო. გაბელია |

**ხორვატია**

46.' ტრებოტიჩი- **ტიჩინოვიჩი**
46. ლენდრიჩი- **კოვაჩიჩი**
68. ცელიაკი- **შლიშკოვიჩი**
სათადარიგოები: პიცაკი, დ. შკვორცი, შოვშიჩი, ფ. შკვორცი.

**საქართველო**

64. შეყილაძე- **იოსელიანი**
90. ძალამიძე- **ჯილაური**
92. ყაზაიშვილი- **ბეგლარიშვილი**
სათადარიგოები: ზარქუა, ქობალია, კ...დელაკი, ხოჭოლავა.

გაფრთხილება: იოზინოვიჩი (7), კვეკვესკირი (23), ცელიაკი (42), ვუკუშიჩი (45), ჯიშკარიანი (72), მჭედლიძე (83).
არბიტრი: ილიას სპატასი (საბერძნეთი)



# გაბელიას ბიჭებმა კარგად ითამაშეს

არბიტრის საფინალო სასტვენმა დოგოპოლიეს სტადიონზე **ოთარ გაბელიას** შეგირდების გამარჯვება დააფიქსირა. შედეგი ქართველი გულშემატკივრებისთვის არანაკლებ დაუჯერებელი აღმოჩნდა, ვიდრე 26 მარტს ხორვატების ეროვნულ ნაკრებთან გამარჯვება. მაგრამ ეს ფაქტია - გაბელიას განვრთნილებმა ევრო 2013 წლის შესარჩევი ციკლი ხორვატიასთან შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყეს.

რადგან მატჩის ხილვის საშუალება არ გვქონდა, იძულებულნი ვართ, სხვადასხვა სააგენტოს ინფორმაციათა ნაზავი შემოგთავაზოთ.

მატჩის დასაწყისში კოკისპირული წვიმა წამოვიდა, თუმცა ამას ხორვატები რამენაირად აიტანდნენ - მათთვის დასაწყისი შოკისმომგვრელი გამოდგა - მე-5 წუთზე **თორნიკე თარხნიშვილმა** მეკარე **ლოვრე კალინიჩს** დაახლოებით 25 მეტრიდან მარცხენა დაბალ კუთხეში ძლიერად დაურტყა და სტადიონი დაადუმა - 0:1.

ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ინფორმაციით, მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ხორვატი ახალგაზრდები კი საკმაოდ უხეშობდნენ. ქართველთაგან კი, მომენტებიდანაც ჩანდა, განსაკუთრებით **ლევან მჭედლიძე** გამოირჩეოდა, რომელმაც არაერთხელ შეაწუხა ხორვატების მეკარე. ძალიან კარგად ითამაშეს **ვაკო ყაზაიშვილმა** და **ნიკა ძალამიძემ**.

გოლიდან ორიოდე წუთში **მჭედლიძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან კარს მცირე მანძილით ააცილა. მე-14 წუთზე კი "ემპოლის" ქართველმა ფორვარდმა მასპინძლელთა კარს კიდევ ერთხელ შეუტია - კალინიჩმა ხორვატები აშკარა გოლისგან იხსნა.



ოთხი წუთის შემდეგ თამაში კვლავ მჭედლიძემ გაამწვავა, მაგრამ მის დარტყმას მცველი გადაეფარა და ვითარება განმუხტა. ქართველებმა შეტევა გააგრძელეს და ამჯერად ყაზაიშვილმა სცადა ბედი - კალინიჩმა ისევ იმარჯვა.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა ორი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს: მე-14 წუთზე **ივან ლენდრიჩმა** ძლიერად დაარტყა კარში, 30-ე წუთზე კი ჩვენი საჯარიმოს სიახლოვეს არბიტრმა ჯარიმა დანიშნა. **დარიო ვუიჩევიჩის** ჩაწოდებული ბურთი **დუიე ჩოპმა** კარში გააგზავნა - **გიორგი მაკარიძემ** ორივეჯერ საიმედოდ ითამაშა და საქართველოს ნაკრები გადაარჩინა.

### შუშაკის და მისი გუნდის ამბიციები წვიმამ გადარეცხა

ხორვატიული ინტერნეტგაზეთ "სპორტალის" ინფორმაციით, წვიმაში **ივო შუშაკის** განვრთნილებს შეტევების წამოწყება უჭირდათ, გაბელიას შეგირდები კი თავს კარგად იცავდნენ.

მეორე ტაიმში გამოიდარა და ნაგების შიშით ხორვატებმა მთელი ძალით შეუტიეს, მაგრამ ქართველები მწვავე კონტრშეტევებს ახერხებდნენ.

65-ე წუთზე მჭედლიძემ კიდევ ერთხელ ააფორიაქა ხორვატები: **საბა კვირკველიას** ჩაწოდებული საჯარიმოს შემდეგ კვლავ ცდილობდა მასპინძლეთა დამწუხრებას, მაგრამ მეკარემ ამჯერადაც ჩინებულად ითამაშა.

ერთ წუთშიც იგივე განმეორდა, ოღონდ **ნიკა ძალამიძის** შესრულებული კუთხურის შემდეგ: „ემპოლის" თავდამსხმელის ჩინებული დარტყმა, კვლავ რეალური საგოლე მომენტი და კალინიჩის თავგანწირული ნახტომი.

მაკარიძეს კვლავ საქმე გამოუჩნდა: 63-ე წუთზე **ადრიან ადენის** სახიფათო გასროლას გადაელობა, 73-ე წუთზე კი **ანტე ვუკუშიჩის** დარტყმას და ხორვატ გულშემატკივარს ანგარიშის გათანაბრების მორიგი იმედი გაუცრუა.

მატჩის მიწურულს მეტოქეებმა საგოლე მომენტები გაცვალეს: 86-ე წუთზე ყაზაიშვილმა სცადა კარის აღება, 89-ეზე კი ჩვენს კარს ჩოპი დაემუქრა - მეკარეებმა კვლავ ივარგეს.

... მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა. დაუჯერებელი გამარჯვება, რომელმაც ქართველი გულშემატკივარი ძალიან გაახარა. ნაკრებმა, რომელიც წინა თაობასთან შედარებით სუსტი გვეგონა, სენსაციით გაგვახარა.

**მერაბ მამულაშვილი**





## ლეგიონერი

### გიორგი მაკარიძე:

# მაშინ ძალიან ცუდად ვიყავი

**ოთარ გაბელიამ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ფრანგული "ლე მანის" მეკარე გიორგი მაკარიძე გამოიძახა. გიორგი ამბობს, რომ ეროვნულ ნაკრებში ნაადრევად თამაშითა და "დინამოში" უთამაშებლობით გამოწვეული სტრესი უკვე დაივიწყა.**

**21 წლის ქართველი მეკარე ლიგა 2-ის გუნდშია და საფრანგეთში გატარებული ორი სეზონით კმაყოფილია.**

**გუშინ კი გიორგი ხორვატიაში ქართველი ახალგაზრდების გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო.**

**- 21 წლის ქართველი მეკარის მეორე ფრანგული დივიზიონის კლუბში ყოფნა ურიგო ამბავი არ არის.**

- მეც ვფიქრობ, რომ ასეა, რადგან საფრანგეთში სერიოზული სამეკარეო სკოლა აქვთ.

**- იმედია, "ლე მანში" ვარჯიში წაგადგა.**

- თუ ზარმაცი არ ხარ, შეუძლებელია, აქაური ვარჯიშები არ წაგადგეს. მე იქ ბევრი რამ ვისწავლე. მივხვდი, რომ მხოლოდ ელემენტარული რამ ვიცოდი და თურმე მხოლოდ ნიჭის ხარჯზე ვთამაშობდი. საფრანგეთში ვარჯიში სხვა ტემპით და სისწრაფით ტარდება.

**- მეკარესაც დიდი გამძლეობა მოეთხოვება?**

- წინა ხაზის მოთამაშესავით არა, მაგრამ გამძლეობა ყველას სჭირდება. თუმცა აქაც არის განსხვავება, მეკარის გამძლეობა სხვა სახისაა.

**- "ლე მანის" პირველ გუნდში თავის გამოჩენის შანსი მხოლოდ ორჯერ გქონდა, ჩემპიონატსა და თასზე.**

- ჩემპიონატში დიდი ხნის წინ, შარშანწინ მათამაშეს, მაგრამ მაშინ კარგ ფორმაში არ ვიყავი, თასზე მეტიც ვითამაშე და ჩემით კმაყოფილი დარჩნენ. რაღა დაგიმალოთ და, მეც კმაყოფილი ვიყავი.

**- თბილისის "დინამოს" ყოფილი მეკარის დიდიე ოვონოს საქმეები როგორ არის?**

- მშვენივრად, ძირითადი მეკარეა და ვმეგობრობთ. სხვათა შორის, ქართულადაც ვურთიერთობთ და ფრანგულადაც. დიდიე საქართველოში გატარებულ დროსა და აქაურ მეგობრებს ძალიან თბილად იხსენებს. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ საქართველოში უფრო ჰყავს მეგობრები, ვიდრე საფრანგეთში. დღემდე ინტერნეტით ეკონტაქტება აქაურ ნაცნობებს და ამბობს, რომ ჩვენი ხალხისგან დიდი სიყვარული და სითბო დარჩა.

**- ეროვნული ნაკრების კარში გამოუცდელი დაგაყენეს და, როგორც ამბობენ, მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი გადაიტანე.**

- ერთი პერიოდი მართლაც მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ არა იმდენად ნაკრებში თამაშის, არამედ "დინამოში" უთამაშებლობის გამო. მთავარ გუნდში თამაშს ვინ ჩივის, ლიტვის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ დუბლშემადგენლობაშიც კი არ მათამაშებდნენ. ჩრდილოეთ ირლანდიასთან კლაუს ტოპმიოლერმა ისე დამაყენა, ხუთი თვე კარი ნანახი არ მქონდა.

**- და მხოლოდ ვარჯიშობდი?**

- ასე იყო, "დინამოს" დუბლშემადგენლობაში კი ისეთი დონე არ იქნებოდა, იქაური ვარჯიშებით ნაკრებში თამამად და კარგად მეთამაშა.

**- შენი ნიჭიერება ეჭვქვეშ მაშინაც არავის დაუყენებია. უბრალოდ, 17-18 წლის ბიჭის ეროვნული გუნდის კარში დაყენებაა დიდი რისკი.**

- მართლა მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, ხალხს ჩემი ეიმედებოდა, მაგრამ ვერ გავამართლე, რასაც ძალიან განვიცდიდი. საბედნიეროდ, ეს პერიოდი გადავიტანე.

ასე გრძელდებოდა ერთი წელი, სანამ „დინამოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდებოდა. მაშინ ფინანსურადაც მძიმე ვითარებაში ვიყავი. მოკლედ, ბევრი სანერვიულო დამიგროვდა, მაგრამ "ლე მანთან" კონტრაქტი გავაფორმე და დავვლაგდი.

**- "ლე მანის" ძირითად გუნდში არ თამაშობ და ფორმას ვარჯიშით ინარჩუნებ?**

- დუბლებში მაშინ ვთამაშობ, როდესაც ამ გუნდის ტურის დღე პირველი გუნდისას არ ემთხვევა. თუ მატჩების დრო დაემთხვა, ცხადია, "ლე მანი" არ მათამაშებს. ასე თუ ისე, თამაში მაინც მიწევს, თუმცა მეტი პრაქტიკა არ მაწყენდა. ამიტომ მწვრთნელს ვარჯიშებზე უნდა დავუმტკიცო, რომ პირველ მეკარეობას ვიმსახურებ.

**- სანამ "ლე მანში" ოვონოა, ამის იმედი გაქვს?**

- იმედი როგორ არ მაქვს, მიმაჩნია, რომ ეს მომავალ სეზონში შესაძლებელი იქნება.

**- ფრანგებს მეკარეების საუკეთესო სკოლა არ აქვთ, მაგრამ ხარისხიან კიპერებს კი ზრდიან.**

- თავისი სტილი დაამკვიდრეს, ტექნიკური, ტაქტიკურად განათლებული მეკარეები ჰყავთ. საფრანგეთი იშვიათი გამონაკლისია, სადაც არ ითხოვენ, რომ მეკარე აუცილებლად გიგანტი იყოს. მთავარია, არ იყოს ძალიან დაბალი, მოეთხოვება კარგი რეაქცია და კარგი კარნახი.



ჩემი დაკვირვებით, ფრანგი მეკარეები კარის ხაზზე კარგად გამოიყურებიან, მაგრამ მათი ნაკლი გამოსვლებზე თამაშია. არადა, სულ მესმოდა, ეს ქართველი მეკარეების პრობლემააო.

**- ბოლო დროს საფრანგეთში ფრანგი ფეხბურთელები ლამის უმცირესობაში დარჩნენ.**

- ეს ტენდენცია აშკარაა, იაფფასიანი ლეგიონერები ჩაჰყავთ, უმთავრესად, აფრიკიდან და ფრანგები მათ კონკურენციას ვერ უწევენ.

**- ქართველ გულშემატკივარს დიდი ხანია, შენი თამაში არ უხილავს.**

- ნაკრებში გამოძახება და თამაში მეც ძალიან მომენატრა. ისე, კარგი იქნებოდა, პირველი შეხვედრა არა ხორვატიასთან, არამედ უფრო სუსტ გუნდთან გვქონოდა.

**- ამით რა შეიცვლებოდა?**

- გუნდი შეუთამაშებელია და სუსტთან ციკლის კარგად დაწყების მეტი შანსი გვექნებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# შეკრება ავსტრიაში, დნიპრო მეტოქეთა სიაში

"ზესტაფონი" ახალი სეზონისთვის მზადებას 5 ივნისიდან დაიწყებს. ამ და მეორე დღეს საქართველოს ჩემპიონებს თბილისში სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდებათ, რის შემდეგაც ზესტაფონში გაემგზავრებიან და კლუბის ბაზაზე პირველ მოსამზადებელ ეტაპს გაივლიან. ბაზაზე სამშენებლო სამუშაოები გრძელდება, მაგრამ ეს შეკრებას ხელს ვერ შეუშლის – ბუნებრივსაფრიანი მოედანი იდეალურ მდგომარეობაშია.

**გია გეგუჩაძის** გუნდი ზესტაფონში 20 ივნისამდე დარჩება, რის შემდეგაც "ზესტაფონი" ავსტრიულ შეკრებაზე, ტიროლის მხარეში გაემგზავრება. იქ ფეროელები რამდენიმე სპარინგმატჩს ჩაატარებენ. მეტოქეთა სია ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ, სავარაუდოდ, ერთი მათგანი დნეპროპეტროვსკის "დნიპრო" უნდა იყოს. უკრაინული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე "ზესტაფონი" პოტენციური სპარინგ-პარტნიორების ჩამონათვალშია. იმერული კლუბი ყველა შეკრებაზე ძლიერ მეტოქეებს ეთამაშება და ალბათ, ავსტრიაშიც ასე იქნება.

ჩვენი ჩემპიონის ავსტრიისშემდგომი მარშრუტი კი უკვე იმაზე იქნება დამოკიდებული, ვის არგუნებს წილისყრა მეტოქედ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

გეგუჩაძე, სავარაუდოდ, შვებულებას რამდენიმე დღით გაუხანგრძლივებს საქართველოს ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, სანაკრებო შეკრებაზე დაშავებული **ნიკა გელაშვილის** მდგომარეობა კი არცთუ სახარბიელოა, თუმცა, საბედნიეროდ, გამოირიცხა ექიმების უფრო მძიმე ვარაუდი და მას კოჭის მყესები არ გაუწყვეტია – მხოლოდ ჩახევა დაფიქსირდა.

სავარაუდოდ, გელაშვილი "ზესტაფონის" პირველ შეკრებას დააკლდება, მისი ავსტრიაში გამგზავრებისა და ჩემპიონთა ლიგის სასტარტო მატჩებში მონაწილეობის იმედი კი არსებობს. "ზესტაფონის" დანარჩენი ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობენ.

ჯერჯერობით კლუბიდან სატრანსფერო სიახლეები არ ისმის. ჯერ ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ "ზესტაფონი" დატოვა ხორვატმა მცველმა **გორან გრუიცამ,** რომელსაც იმერულ კლუბში გატარებული ნახევარი სეზონის განმავლობაში ერთი ოფიციალური მატჩიც არ ჩაუტარებია.

კლუბი მოლაპარაკებას აწარმოებს რამდენიმე ფეხბურთელთან და მათ ვინაობას შეთანხმების მიღწევისთანავე შევიტყობთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზესტაფონის ბაზას მოედანი არ დაეწუნება

სავარაუდო ტრანსფერი

# ახლა თუ არა, მერე ხიდეშელი და კარპატი



გიორგი ხიდეშელი

საქართველოს ნაკრების კანდიდატს, „ზესტაფონის" ცენტრალურ მცველ **გიორგი ხიდეშელს** უკრაინაში გადასვლას სთავაზობენ. 23 წლის ფეხბურთელით ლვოვის „კარპატის" ხელმძღვანელობა გასულ წელს დაინტერესდა, როდესაც ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართულ-უკრაინული დაპირისპირება შედგა.

„კარპატის" მთავარ მწვრთნელ **ოლეგ კონონოვს** ტანმაღალი და გონიერი ქართველი (191 სმ) მცველი იმდენად მოეწონა, ფეხბურთელსაც და ზესტაფონელთა თავკაცებს დღემდე ეხმიანება, სურს, ახალ სეზონამდე ლვოვურ კლუბში გადაიბიროს.

გიორგი „კარპატიში" ზამთარში არ გაუშვეს. კლუბის პრეზიდენტი **ილია კოკაია** იმედოვნებს, რომ „ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მაინც იასპარეზებს. ეს ის მიზანია, რომლის გამოც წამყვანი ფეხბურთელების გაშვება არ სურს. კოკაია დარწმუნებულია და არ შეიძლება, არ დაეთანხმო, რომ პრესტიჟულ გათამაშებაში წარმატება გუნდის წევრებს დღევანდელზე მეტ ფასს შესძენს და უკეთეს კლუბებსა და ლიგებში გადასვლის პერსპექტივას გაუჩენს.

თუ ხიდეშელის ტრანსფერი ახლა არ შედგება, გიორგის „ზესტაფონთან" კონტრაქტი ზამთარში უმთავრდება, კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს და „კარპატი" იქამდეც დაელოდება - კონონოვი ქართველ მცველს სწორედ ასე აიმედებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

შეჯამება. ზესტაფონი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | [illegible] | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 36 | 24 | 6 | 6 | 72 | 19 | 78 | 18 | 15 | 2 | 1 | 46 | 4 | 47 | 18 | 9 | 4 | 5 | 26 | 15 | 31 |



## „ზესტაფონის" ყველა მატჩი

**I ეტაპი**

**I წრე**

| | | |
|---|---|---|
| II ტური | დინამო-ზესტაფონი | 2:1 |
| III ტური | ზესტაფონი-სპარტაკი | 4:0 |
| IV ტური | ზესტაფონი-ოლიმპი | 1:0 |
| V ტური | ბაია-ზესტაფონი | 2:1 |
| I ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 2:1 |
| VI ტური | ზესტაფონი-კოლხეთი | 2:0 |
| VII ტური | სამტრედია-ზესტაფონი | 1:3 |
| VIII ტური | სიონი-ზესტაფონი | 1:3 |
| IX ტური | ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 |

**II წრე**

| | | |
|---|---|---|
| X ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 1:0 |
| XI ტური | ზესტაფონი-დინამო | 0:1 |
| XIV ტური | ბაია-ზესტაფონი | 1:3 |
| XII ტური | სპარტაკი-ზესტაფონი | 1:1 |
| XIII ტური | ოლიმპი-ზესტაფონი | 1:0 |
| XV ტური | კოლხეთი-ზესტაფონი | 0:2 |
| XVI ტური | ზესტაფონი-სამტრედია | 7:0 |
| XVII ტური | ზესტაფონი-სიონი | 4:0 |
| XVIII ტური | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 3:0 |

**II ეტაპი**

**III წრე**

| | | |
|---|---|---|
| XX ტური | დინამო-ზესტაფონი | 0:0 |
| XXI ტური | სპარტაკი-ზესტაფონი | 1:2 |
| XXII ტური | ზესტაფონი-ოლიმპი | 2:0 |
| XIX ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 1:0 |
| XXIII ტური | ზესტაფონი-ბაია | 6:1 |
| XXIV ტური | ზესტაფონი-კოლხეთი | 0:0 |
| XXV ტური | სამტრედია-ზესტაფონი | 0:1 |
| XXVI ტური | ზესტაფონი-სიონი | 0:0 |
| XXVII ტური | ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 1:1 |

**IV წრე**

| | | |
|---|---|---|
| XXVIII ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 0:0 |
| XXIX ტური | ზესტაფონი-დინამო | 1:0 |
| XXX ტური | ზესტაფონი-სპარტაკი | 2:0 |
| XXXI ტური | ოლიმპი-ზესტაფონი | 1:2 |
| XXXII ტური | ზესტაფონი-ბაია | 3:0 |
| XXXIII ტური | კოლხეთი-ზესტაფონი | 1:4 |
| XXXIV ტური | ზესტაფონი-სამტრედია | 4:1 |
| XXXV ტური | სიონი-ზესტაფონი | 1:0 |
| XXXVI ტური | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 4:0 |

## „ზესტაფონის" ფეხბურთელების მონაგარი



გია გეგუჩაძე

მეკარეები: რონ კვასხვაძე-35, ზურაბ მამალაძე-1;

მცველები: გიორგი ონიანი-35 (3), ზაალ ელიავა-31, კახა ალადაშვილი-29 (2), გიორგი ხიდეშელი-23 (1), მამუკა კობახიძე-18 (2), გიორგი ფოფხაძე-6;

ნახევარმცველები: შოთა გრიგალაშვილი-34 (5), თორნიკე აფციაური-34 (5), შოთა ბაბუნაშვილი-31, ბუბა დაუშვილი-30 (4), თორნიკე გორგიაშვილი-28 (3), ირაკლი ძარია-27 (2), ალექსი ბენაშვილი-26, გოგა ფიფია-11, გიორგი ჭანკოტაძე-3 (1), როსტომ გენაძე-1.

თავდამსხმელები: ჯაბა დვალი-34 (12), ნიკოლოზ გელაშვილი-33 (18), რატი წინამძღვრიშვილი-30 (13), საბა ლომია-4.



ნიკა გელაშვილი

**მწვრთნელი: გია გეგუჩაძე (I-XXXVI ტური)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლივერპული

# ჯონსი და ჰენდერსონი

„ლივერპული" სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურდა და ორი ახალი ფეხბურთელის შეძენასთან არის ახლოს. ლაპარაკია „ბლექბერნის" მცველ **ფილ ჯონსსა** და „სანდერლენდის" ნახევარმცველ **ჯორდან ჰენდერსონზე**. ჯონსი 19 წლის არის, ხოლო ჰენდერსონი ოცისაა. ორივე ტრანსფერში მერსისაიდელებს 30 მილიონი ფუნტის გადახდა მოუხდებათ.

თავიდან ჰენდერსონში „ლივერპული" 13 მილიონს იხდიდა, მაგრამ „სანდერლენდმა" 18 მილიონს პენიც რომ არ დააკლო, შეთავაზება 15 მილიონამდე გაზარდა. ახლა, „წითლები" იმედოვნებენ, რომ „შავი კატები" ალარ გაჯიუტდებიან და ცოტას თავადაც დააკლებენ. 15 მილიონი ღირს ჯონსიც, თუმცა მასთან დაკავშირებით ერთი პრობლემაა: ამ მცველის ყიდვა „არსენალსა" და „ტოტენჰემსაც" უნდათ.

მიმომხილველები ხაზს უსვამენ, რომ „ლივერპულის" თავკაცი, **კენი დალგლიში** აშკარად თავის გეგმას მისდევს და ცდილობს წმინდა ბრიტანული გუნდი ჩამოაყალიბოს. ზამთარში მან „ნიუკასლიდან" 35 მილიონ ფუნტად 22 წლის თავდამსხმელი **ენდი ქეროლი** იყიდა. სხვათა შორის, „ლივერპულის" წარმომადგენლებმა სანდერლენდელ კოლეგებს 23 წლის **ლი კატერმოულის** შესახებაც ჩამოუგდეს სიტყვა. კატერმოული ეგრეთ წოდებული ჩამშლელი ნახევარმცველია.

ჯონსი და ჰენდერსონი ამ დღეებში ესპანეთში იყვნენ, სადაც ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრები **სტიუარტ პირსის** ხელმძღვანელობით, დანიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ხვალ ინგლისელ ახალგაზრდებს საუთჰემპტონში ნორვეგიის ნაკრებთან ერთად ამხანაგური შეხვედრა.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ჯონსის ყიდვა „არსენალსაც" უნდა. ამბობენ, რომ „ლივერპულის" გამოჩენა „მეთოფეთა" თავკაც **არსენ ვენგერს**" შეაშფოთებს, რადგან ის სამომავლოდ დაცვის აწყობას სწორედ ამ ყმაწვილკაცის გარშემო აპირებდა. იმასაც ამბობენ, რომ ფრანგი სპეციალისტი ერთი წლით მოცდას აპირებდა, რათა მომავალ ზაფხულს „ბლექბერნისგან" ერთბაშად ორი ფეხბურთელი ეყიდა - ჯონსი და მასთან ერთად 27 წლის კონგოელი **კრისტოფერ სამბა**. ეს ორი მცველი რივერსაიდელთა უკანა ხაზში პარტნიორობენ. თუმცა, „ლივერპულის" ჩარევის შემდეგ ვენგერის გეგმები ირევა და თითქოსდა დალაგებული საქმე შესაძლოა სულ სხვანაირად განვითარდეს. კერძოდ, „ბლექბერნს" უჯობს სამბა გაყიდოს, ჯონსი კი დაიტოვოს, თუმცა კლუბი ვერც ცდუნებას უძლებს და აცხადებს, რომ კარგ ფასად მასაც შეელევა.

შეგახსენებთ, რომ ჯონსი პრემიერლიგის ასპარეზზე ერთი წლის წინ, მარტში გამოჩნდა. მისი დებიუტი „ჩელსისთან" შეხვედრაში შედგა. „ბლექბერნის" ხელმძღვანელები ამ ახალგაზრდის თამაშით იმდენად კმაყოფილნი დარჩნენ, რომ მაისში ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს, თებერვალში კი ხელშეკრულება კიდევ 12 თვით გაუხანგრძლივეს.

მას მერე, რაც „ლივერპულის" თავკაცის თანამდებობაზე **როი ჰოჯსონი** შეცვალა, დალგლიშმა უკვე გამოამჟღავნა თავისი გეზი. კერძოდ, მან „წითლების" ძირითად შემადგენლობაში მოსინჯა ბრიტანელი ფეხბურთელები, 17 წლის **ჯეკ რობინსონი**, 18 წლის **ჯონ ფლენაგანი**, 21 წლის **მარტინ კელი** და 22 წლის **ჯეი სპირინგი**.

● ინგლისის ნაკრები

# კრიზისი



„მანჩესტერ სიტის" მეკარე, 21 წლის **ჯო ჰარტი** უდავოდ ინგლისის ნაკრების ნომერ პირველ გოლკიპერად ჩამოყალიბდა, მაგრამ ვაი რომ, ის შეიძლება ამ გუნდის ერთადერთ მეკარედაც იქცეს. დიახ, **ფაბიო კაპელოს** მეკარეები თვალსა და ხელს შუა უქრება, რაზეც ჰარტმა იხუმრა:

*„ხომ ხედავთ, როგორ ვიყნოსე სიტუაცია".*

ინგლისის ნაკრების თავკაცი კრიზისის მოახლოებას კარგა ხანია გრძნობს, მაგრამ ბოლო დროს უსიამოვნო მოვლენები დაჩქარდა. რამდენიმე გოლკიპერმა სანაკრებო ფეხბურთისთვის თავის დანებება გადაწყვიტა.

შეგახსენებთ: ჯერ იყო და, ნაკრებში თამაშზე უარი 31 წლის **პოლ რობინსონმა** განაცხადა, შემდეგ კი მას 28 წლის **ბენ ფოსტერმაც** მიბაძა. მოგვიანებით ამას **რობერტ გრინის** ამბავი დაემატა. „ვესტ ჰემის" 31 წლის კარის მცველმა ზემოთ ჩამოთვლილი კოლეგებისვით ნაკრების დატოვებაზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ამჯერად უკან დახევამ მოუწია. მიზეზი: სათადარიგო მეკარემ, „ფულჰემის" 25 წლის მოთამაშე **დევიდ სტოკდეილმა** გუშინ ცოლი მოიყვანა და ეროვნული გუნდი მართლა ერთადერთი კაცის იმედად რჩებოდა.

ჰარტმა თქვა: *„ვფიქრობ, ეს უბრალო დამთხვევაა. მათ, ყველას, პირადი მიზეზები აქვთ. ზოგს ოჯახური პრობლემა აქვს, ზოგს საფეხბურთო. ეჭვი არ არის, თითოეულმა მათგანმა ასჯერ გაზომა, სანამ რამეს იტყოდა. რობი გრინის გვერდით ყოლა კი დიდებულია. მან „ვესტ ჰემში" შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და ინგლისის ნაკრებში თამაშს იმსახურებს".*

მიმომხილველები კი წერენ, რომ მართალია კაპელოს მეკარეებში მაინცდამაინც არ გაუმართლა, მაგრამ ხშირად თავადაც ცდებოდა არჩევანში. ასე მაგალითად, გაურკვეველი იყო მისი ყოყმანი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. ბოლოს, მან, როგორც იქნა, გრინი აირჩია და... მუნდიალზე, აშშ-ის ნაკრებთან დაშვებული პირველივე შეცდომის შემდეგ ცივად მოიშორა თავიდან. მას მერე „ვესტ ჰემის" კიპერს მოედანზე ფეხიც არ შეუდგამს, რაც სხვა არაფერია, თუ არა საყოველთაო გაფრთხილება: მწვრთნელი შეცდომას არავის აპატიებს. და რა მოხდება, თუკი დღეს ჰარტსაც არ გაუმართლებს და შეცდება? რა უნდა ვუყოთ მერე მის ფსიქოლოგიურ მომზადებას? - კითხულობენ კაპელოს უხეშობით დაშინებული ინგლისელი ჟურნალისტები.

ჰარტი ამბობს: *„რასაკვირველია, ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ ვარ, მაგრამ განა ცხოვრებაში ყველგან და ყოველთვის ასე არ არის? ოჯახის პატრონობაც ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა და ინგლისის ნაკრების კარში დგომაც. რასაკვირველია, ხანდახან, ალბათ, შევცდები კიდეც, აბა, ისე როგორ იქნება, მაგრამ, მთავარია კაცმა შეცდომის მოლოდინში შიშით არ იცხოვრო. საკუთარმა საქმემ სიამოვნება უნდა მოგანიჭოს. შეცდომა კი... ხანდახან ჩემს სამი წლის ძმისშვილს პარკში რომ ვეთამაშები, კუთხეში ისე დაარტყამს, რომ ვერ ვიჭერ. ესეც თქვენ გოლი.*

*ცხადია, მეკარემ ყველა ღონე უნდა იხმაროს, ბურთი კარში რომ არ გაუშვას, მაგრამ იმასთან, რომ ვიღაცის დარტყმულს ვერ დაიჭერ, წინასწარ უნდა იყო შეგუებული".*

ზემოთ სათადარიგო გოლკიპერი სტოკდეილი ვახსენეთ. მას, რასაკვირველია, საპატიო მიზეზი აქვს, ცოლი მოჰყავს და რა დროს ფეხბურთია, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს - სტოკდეილმა პრემიერლიგაში მხოლოდ რვაჯერ ითამაშა. სხვა სიტყვებით, ის „ფულჰემის" მთავარი მეკარე არ არის.

ჰარტი ამბობს: *„ჩვენთან, პრემიერლიგაში ძალიან ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელია და ამა თუ იმ გუნდის ძირითადში დამკვიდრება უძნელესი საქმე გახლავთ. ინგლისში მარტო პრემიერლიგაში კი არა, ჩემპიონშიპშიც კი რამდენიმე დიდებული მეკარე თამაშობს. ვიცი, ხალხი ყველაფერში ნაკლს ეძებს, მაგრამ ნაკრებს არ სჭირდება, რომ ქვეყანაში 25 ძლიერი მეკარე იყოს. ხუთი-ექვსი სრულიად საკმარისია. რასაკვირველია, როდესაც გათამაშებენ, შანსი უნდა გამოიყენო და შეეცადო ყველას თავი მოაწონო, მაგრამ მეკარეები ცოტა განსხვავებულ მდგომარეობაში ვართ. ჩვენ შეიძლება რამდენიმე თვით დაგვსვან სათადარიგოთა სკამზე, არადა, ვარჯიშებზე მიღებულ გამოცდილებასა და პრემიერლიგის თამაშს შორის წარმოუდგენლად დიდი განსხვავებაა".*

ეს, რაც შეეხებოდა მეკარეს, თუმცა კაპელოს არც თავდასხმაში აქვს საქმე მაინც და მაინც კარგად. კერძოდ, შვეიცარიასთან თამაშის წინ მის განკარგულებაში ერთადერთი თავდამსხმელი დარჩა - **დარენ ბენტი. პიტერ კრაუჩს** ზურგი სტკივა, **ბობი ზამორას** კვლავ თეძო სტანჯავს. ამ კვირის განმავლობაში ორივემ ივარჯიშა, მაგრამ ტკივილი ვერ დაძლიეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი **უეინ რუნი** დისკვალიფიცირებულია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● არსენალი

# სესკის ამბები




„არსენალმა" მადრიდის „რეალს" შეუთვალა, რომ მისი კაპიტნის, 24 წლის **სესკ ფაბრეგასის** ფასი 54 მილიონი ფუნტია. დანარჩენი ევროპისთვის გასაგებ ენაზე, ეს 61 მილიონ ევროს ნიშნავს. ფაბრეგასის ფასზე კი ლაპარაკი იმიტომ დაიწყეს, რომ „სამეფო კლუბის" დირექტორმა **ხოსე ანხელ სანჩესმა** ჩრდილოლონდონელებს მის ყიდვაზე ჩამოუგდო სიტყვა. ცნობისთვის: ეს მოხდა რამდენიმე საათში მას მერე, რაც „მეთოფეთა" თავკაცმა, **არსენ ვენგერმა**, განაცხადა, რომ სესკის შესახებ მას არავინ შეხმიანებია. ამბობენ, რომ „რეალი" მზად არის არ დაინანოს ეს თანხა, ოღონდ კი ფაბრეგასი „ბარსელონას" აწაპნოს ცხვირწინ.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა საკითხში უკეთ გარკვევისთვის მადრიდში გამონახეს ნაცნობები. ერთმა მათგანმა, რომელიც „რეალში" მუშაობს, თქვა:

*„პრეზიდენტმა ფლორენტინო ტორესმა მიზანში ფაბრეგასი ამოიღო. მან თქვა, რომ „ბარსელონას" გულს ყველაზე მეტად სწორედ ფაბრეგასის ყიდვით ატკენს. გარდა ამისა, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ფაბრეგასი მომავალ სეზონში მის გუნდს დიდად დაეხმარება და აპირებს „არსენალის" კაპიტანი რადაც არ უნდა დაუჯდეს, იყიდოს".*

ცნობისთვის: ფაბრეგასის შეძენას ამ ზაფხულს აუცილებლად შეეცდება „მანჩესტერ სიტიც".

დავუბრუნდეთ პერესის გეგმას. მას 100 მილიონი ევრო აქვს გამოყოფილი, რათა ფაბრეგასი და მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელი, 23 წლის არგენტინელი **სერხიო აგუერო** „ბარსელონაში" არ გადავიდნენ. ასე უფრო ზუსტად შეიძლება „რეალის" პრეზიდენტის გეგმის დახასიათება, რადგან ამ ორი ფეხბურთელის ყიდვა მას მარტო იმიტომ არ უნდა, რომ ისინი კარგად თამაშობენ. „ბარსელონასათვის" ხელის შეშლის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია.

„რეალის" წყაროები ამბობენ, რომ „არსენალმა" მათ მხოლოდ ერთი რამ აღუთქვა: ფაბრეგასს სხვა ინგლისურ გუნდს არ მიჰყიდის.

შეგახსენებთ, რომ ბარსელონაში დაბადებული ფაბრეგასი „ბარსას" ბავშვთა სკოლაში იზრდებოდა, თუმცა ძალიან ახალგაზრდა „არსენალმა" წაიყვანა და ვარსკვლავად **არსენ ვენგერის** ხელში ჩამოყალიბდა. ის უკვე რვა წელიწადია ინგლისში თამაშობს.

აღსანიშნავია, რომ „ბარსელონა" ფაბრეგასში 30 მილიონ ფუნტს იხდის, მეტის დახარჯვას კი არ აპირებს.

საინტერესოა, როგორი გაგრძელება მოჰყვება ამ ისტორიას. ამის შესახებ ჩვენზე მეტი, სავარაუდოდ, ფაბრეგასის ჰოლანდიელმა თანაგუნდელმა **რობინ ვან პერსიმ** იცის, რომელიც დამლლელი სეზონის შემდეგ, დასასვენებლად ნიუ იორკს სწორედ სესკთან ერთად გაემგზავრა. ძმაკაცებს თან ვან პერსის მეუღლეც ახლდათ. ინგლისელი ჟურნალისტები ხუმრობენ, რა ძმაკაცობა აქვთ ფაბრეგასს და ვან პერსის ასეთი, რომ მთელი სეზონის განმავლობაში, ყოველ დღე ერთად ყოფნის შემდეგ, დასასვენებლადაც ერთად გაიქცნენო. მეტიც, ესპანელი და ჰოლანდიელი ამპლუების მიხედვითაც ისე არიან, რომ თამაშის დროს მოედანზე ერთმანეთის ახლოს უწევთ ყოფნა. ვინ იცის, ვან პერსიმ იცის, რომ ფაბრეგასი მალე „არსენალს" დატოვებს და მეგობართან ყოფნის სიამოვნება გაიხანგრძლივაო, წერს „დეილი მეილი".

გაზეთები წერენ, რომ „არსენალის" წყვილმა ნიუ იორკში ძველ თანაგუნდელ **ტიერი ანრის** შეუარეს.




ინტერვიუ. ანდრეი ვორონინი

# ბლოხინთან დამნაშავე ვიყავი


ანდრეი ვორონინი

**მოსკოვის "დინამოსა" და უკრაინის ნაკრების თავდამსხმელმა ანდრეი ვორონინმა თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა მასმედიას უზბეკეთთან თამაშისა და ოლეგ ბლოხინის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების თაობაზე.**

- შეუძლებელია წარმოიდგინო, რომ ბლოხინი თამაშამდე ინერვიულებდა. მისი გამოცდილების პატრონისგან ეს მოულოდნელი იქნებოდა. შეიძლება ნერვიულობდა, თუმცა ცოტას და ალბათ იმის გამო, რომ წელიწად-ნახევარზე მეტია, არავინ გაუწვრთნია. რაც დავაფიქსირე, პრაქტიკულად არანაირი სხვაობა ძველ ბლოხინთან არ ყოფილა. მატჩისთვის ტაქტიკა ისევ ძველებურად აგვიხსნა, ისევე დაგვმუხტა და ფეხბურთელებთანაც ძველებურად ეჭირა თავი. რასაც კონფლიქტი ჰქვია, ასეთი რამ მასთან არასოდეს მომსვლია, მაგრამ ერთხელ მინდორზე ჩემს თავს ზედმეტი ემოციების უფლება მივეცი და მწვრთნელთან მართალი არ ვიყავი. ბლოხინი ყოველთვის ასეთი იყო, პირდაპირ გეუბნებოდა, თუ რა სურდა შენგან.

**- უზბეკებთან შეხვედრის პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელში ყვირილი არ ყოფილა?**

- რა თქმა უნდა 0:0 არავის აწყობდა, მაგრამ ყვირილი არ ყოფილა. მწვრთნელმა გასაგებად აგვიხსნა, რომ ზეწოლა გაგვეძლიერებინა და გაგვეტანა. ჩვენც მშვენივრად გვესმოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის ეს შეხვედრა. სწორედ ამიტომ, ავდექით და გავიტანეთ.

**- ადექით და თქვენც შეაგდეთ. თუ გახსოვთ, ბოლოს უკრაინის სახელით როდის გქონდათ გატანილი?**

- 2007 წელს, საფრანგეთთან, მართალი ვარ, არა? მხოლოდ ძლიერ გუნდებთან ვიტან ხოლმე და შესაბამისად, უზბეკებთან არ ითვლება. თუმცა ვაღიარებ, რომ ძალიან სასიამოვნო იყო, როცა ამხელა პაუზის შემდეგ გავიტანე. ისე მხოლოდ ესპანელების, ფრანგებისა და დანიელების კარში გამაქვს. რამდენიმე დღეში სწორედ ფრანგებს ვხვდებით და იქნებ კიდევ შევაგდო? უბრალოდ, ვარსკვლავების წინააღმდეგ, რომელთაც ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს ჩემპიონატი აქვთ მოგებული, თამაში უფრო გამომდის. მათთან დუელისას მაქსიმალურად შეიძლება საკუთარი ძალების გამოცდა და ფეხბურთისგან სიამოვნების მიღება. ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ ნაკრებში ჩვენთან შესანიშნავი ატმოსფეროა. ბიჭებს აქამდეც მშვენივრად ვიცნობდი. თავს შესანიშნავად ვგრძნობ როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად.

**ლევან ბიბილაშვილი**

მწვრთნელი

# ჰიუზის გაქცევა

უელსელ მწვრთნელს, 47 წლის **მარკ ჰიუზს** ბრალად სიტყვის გატეხა დასდეს - „ფულჰემის" თავკაცი **მოჰამედ ალ ფაედი** ბრძანებს, რომ ჰიუზმა მას „კრეივენ კოტეჯზე" დარჩენის პირობა მისცა, მაგრამ მეორე დღეს „ასტონ ვილაში" გადასვლის ეშხით გაიქცა. თავის მხრივ ბირმინგემელები ამბობენ, რომ ჰიუზი დასავლეთ ლონდონიდან მათი გულისთვის არ გაქცეულა.

„ფულჰემის" მავანმა თანამშრომელმა „სანს" უამბო: „ოთხშაბათ საღამოს ჰიუზს ახალ, ორწლიან კონტრაქტზე ელაპარაკნენ. ამ ხელშეკრულებაში ხელფასის მომატება გათვალისწინებული იყო. ტექსტისთვის თვალი იურისტებს უნდა გადაევლოთ, რის მერეც ხელის მოწერაღა რჩებოდა. თითქოს ყველაფერი შეთანხმებული იყო, მაგრამ მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა - მეორე დღეს ჰიუზმა კლუბი დატოვა.

ეს ერთი მხრივ კარგია. თუკი მწვრთნელსა და მეპატრონეს შორის გაუგებრობაა, ჯობს მათი გზები ივნისის პირველ დღეებშივე გაიყაროს, ვიდრე აგვისტოში, როდესაც ჩემპიონატი იწყება. „ფულჰემი" მარკ ჰიუზის გარეშე ნამდვილად არ დაიკარგება. გავრცელდა თუ არა ხმა, რომ მან გუნდი დატოვა, „კრეივენ კოტეჯის" კართან რიგი დადგა".

ჰიუზი „ფულჰემიდან" „ასტონ ვილას" გულისთვის გაქცევას, რა საკვირველია, უარყოფს. უელსელმა, რომელმაც „კრეივენ კოტეჯზე" ერთი წელიწადი გაატარა, თავისი პოზიცია ასე განმარტა:

„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და განვაცხადო, რომ არც ჩემთვის მოუმართავს რომელიმე კლუბს სათავეში ჩადგომის წინადადებით და არც ჩემი რომელიმე აგენტისთვის. „ფულჰემიდან" წასვლა გარე ძალების გამო არ გადამიწყვეტია".

ჰიუზთან დაახლოებული ადამიანები ამბობენ, რომ ახალი კონტრაქტის პირობებს ის და კლუბი ორი თვის განმავლობაში ათანხმებდნენ, ასე რომ, ამ მხრივ, ყველაფერი კარგად იყო. მწვრთნელის „კრეივენ კოტეჯიდან" წასვლის მიზეზი სულ სხვა რამ, კერძოდ კი სატრანსფერო თანხების ნაკლებობა ყოფილა. უელსელმა სპეციალისტმა დაინახა, რომ მისი გეგმების განხორციელებას მეტი ფული სჭირდებოდა, ვიდრე „ფულჰემი" აძლევდა. კერძოდ, მწვრთნელს, 10 მილიონ ფუნტად, „ესპანიოლიდან", 25 წლის არგენტინელი თავდამსხმელის, **პაბლო ოსვალდოს** გადაბირება სურდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

„რაც „ფულჰემის" მწვრთნელად დადგა, ჰიუზს ფაქტობრივად პენიც არ დაუხარჯავს. მან დაინახა, რომ ამის შესაძლებლობა არც მომავალში მიეცემოდა და წასვლა ამჯობინა" - თქვა საქმეში ჩახედულმა წყარომ.

„ფულჰემის" მეპატრონე კი ახალ კანდიდატურებს განიხილავს. ამბობენ, რომ ალ ფაედს **მარტინ ო'ნილიდან, სტივ მაკლარენიდან** და **ალან კარბიშლიდან** მოუწევს ერთის არჩევა.

**ილია ბაბუნაშვილი**


მარკ ჰიუზი

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლომები ღირსეულად დ[illegible]

სტამბულის "გალათასარაი" მილანის "ინტერიდან" ნიგერიელი თავდამსხმელის, **ვიქტორ ობინას** შეძენას ეშურება, წერენ თურქული ვებგვერდები. შეგახსენებთ, რომ აფრიკელმა სეზონი იჯარით "ვესტ ჰემში" გაატარა, თუმცა თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა და ლონდონელებმა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვეს. ამასთან, თავად ფეხბურთელმა უკვე განუცხადა "ნერაძურის" ბოსებს, რომ გუნდში გაჩერება არ უნდა, რადგან იცის, რომ ძირითად გუნდში **სამუელ ეტოოსა** და **დიეგო მილიტოს** გადამკიდე სათამაშო პრაქტიკას ვერ ეღირსება. შესაბამისად, მან ტრანსფერზე დადგომა ისურვა. ნიგერიელის სურვილია, რომ სათამაშოდ ისევ ინგლისში დაბრუნდეს, თუმცა არ გვგონია, ვიქტორმა "გალათასარაის" წინადადებაზე თქვას უარი. სტამბულელ "ლომებს" განზრახული აქვთ შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერება, რადგან ამით გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია სურთ.

მეორე სტამბოლურმა გრანდმა "ბეშიქთაშმა" "ფლამენგოდან" 19 წლის თავდამსხმელის **დიეგო მაურისიოს**, იმავე დროგბინიას (მას ასე "ჩელსის" თავდამსხმელთან სათამაშო სტილის მსგავსების გამო შეარქვეს) გადაბირება მოისურვა. გაზეთ "ჰურიეთის" ცნობით, თურქული მხარე მზადაა, ფეხბურთელის ტრანსფერში დაახლოებით 4 მილიონი ევრო გაიღოს. ბრაზილიური კი ჯერჯერობით ყოყმანობს. ფეხბურთელმა რიოდეჟანეიროელთა შემადგენლობაში 31 თამაშში 6-ჯერ მოახერხა თავის გამოჩენა.

იმავე "ბეშიქთაშმა" ბრაზილიური "ინტერნასიონალის" აღზრდილი ფეხბურთელი, 21 წლის ცენტრალური მცველი **სიდნეი** შეიძინა. ლისაბონის "ბენფიკამ" მასში თავის დროზე 7 მილიონი ევრო გაიღო, თუმცა მან იმედები ვერ გაამართლა. ფეხბურთელი სწორედ სათამაშო პრაქტიკის უქონლობას უჩივის და იმედი აქვს, რომ "ბეშიქთაშში" ძირითადის ფეხბურთელად იქცევა. აღნიშნულ ინფორმაციას ლისაბონური კლუბის ვებგვერდი ავრცელებს.

## სპორტინგში დიდი ფული ჩაიდება

ლისაბონის "სპორტინგის" პრეზიდენტად **გოდინიო ლოპეში** სულ ახლახან აირჩიეს. პირველი საქმე, რაც მან კლუბში მისვლის შემდეგ გააკეთა, "ბრაგას" ყოფილი დამრიგებლის **დომინგუშ პასიენსიას** დანიშვნა იყო. სეუ გოდინიო პირობას დებს, რომ კლუბს გასაძლიერებლად დაახლოებით 100 მილიონ ევროს გამოუყოფს. თანხის უდიდესი ნაწილი ტრანსფერებს მოხმარდება და პასიენსიას საკუთარი გემოვნებით შეეძლება გუნდის დაკომპლექტება. თუმცა იქვე დასძინა, რომ "სპორტინგი" ამ ფულს ქარს ვერ გაატანს და სეზონის წინ მხოლოდ კონკრეტულ ვარსკვლავებს შეიძენს.

სანამ "სპორტინგი" ფეხბურთელების შესაძენად ფულს ჩამოვა, იქამდე გუნდის სკაუტების მიერ შერჩეული ვარსკვლავი "სპორტინგის" მაგივრად მექსიკურ "ტიხუანაში" გადავიდა და ამის მიზეზი ლისაბონელთა ხელმომჭირნეობაა. ლაპარაკია 25 წლის კოლუმბიელ **დაირო მორენოზე**. ის არგენტინულ "ონსე კალდასში" ასპარეზობდა. "სპორტინგის" ხელმძღვანელობა მასში 1 მილიონ ევროს იხდიდა, თუმცა სწორედ მაშინ, როცა საქმე ხელის მოწერაზე მიდგა, გამოხტა მექსიკური კლუბი, კოლუმბიელის ნაცვლად "ონსე კალდასს" 3,5 მილიონი შესთავაზა და თანხმობაც, ბუნებრივია, უმალ მიიღო. გეტყვით, რომ მორენომ არგენტინულ კლუბში 44 შეხვედრაში 28 გოლი გაიტანა.

## ჰიდინკმა პსვ იუარა

თურქეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გუუს ჰიდინკმა** თავაზიანად უარყო "ეინდჰოვენის" წინადადება, ჩაებარებინა გუნდის მრჩევლის პოსტი. აღსანიშნავია, რომ **იოჰან კრუიფი** გუუსს ცოტა ხნის წინ თანამდებობას "აიაქსში" სთავაზობდა, ოღონდ არა მრჩევლის, არამედ დირექტორთა საბჭოს წევრისას. ჰიდინკმა განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუკი შეძლებს და თავისუფალ დროს "ეინდჰოვენის" ხელმძღვანელობას რამე გამოსადეგ რჩევას მისცემს, თუმცა საამისოდ რამე თანამდებობის დაკავება არ სჭირდება, რადგან თურქეთის ნაკრებში ის იმდენად დაკავებულია, რომ სხვა საქმეებისთვის დრო იშვიათად რჩება. ჰიდინკსა და პსვ-ს შორის გამართული მოლაპარაკების დეტალებზე ჰოლანდიურ გაზეთ "დე ტელეგრააფს" "ეინდჰოვენის" სპორტულმა დირექტორმა **მარსელ ბრანდსმა** გაანდო.

## კარვალიოს გარეშე

მადრიდის "რეალის" ცენტრალური მცველი **რიკარდო კარვალიო** ნაკრებს გამოაკლდა. საქმე ის არის, რომ მან ერთ-ერთ ვარჯიშზე ზურგი დაიზიანა და ექიმების განცხადებით უახლოეს დღეებში მისი დატვირთვა გამორიცხულია. თუმცა ტრავმის სირთულეზე არაფერს იუწყებიან. რიკარდო სავარაუდოდ მინდორს შვებულების მერელა დაუბრუნდება.

## ჯერი ტულალანზეა

"მალაგას" დირექტორთა საბჭოს წევრი **ხოსე კარლოს პერესი** აცხადებს, რომ კლუბი **რუუდ ვან ნისტელროის** შემდეგ კიდევ ერთი ვარსკვლავის გადაბირებას გეგმავს. ლაპარაკია საფრანგეთის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **ჟერემი ტულალანზე**. "ლიონის" მხრიდან ესპანელთა წინადადებას ჯერ არავინ გამოხმაურებია, თუმცა ესპანური წყაროების მტკიცებით, თავად ფეხბურთელი მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით "მალაგას" წინადადებას არ მოჰკიდებია.

აქვე უბრალოდ გეტყვით, რომ ტულალანის კონტრაქტს ვადა "ლიონთან" მხოლოდ 2015 წელს ეწურება და ვფიქრობთ, ესპანელებს მისი შეძენა გაუჭირდებათ.

## ადიდასი ფიფას ერთგულია

კომპანია "ადიდასმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ მიუხედავად ბოლო ხანს ატეხილი კორუფციული სკანდალებისა, ის ფიფას ერთგულია და მასთან თანამშრომლობის გაგრძელების მოსურნეა. თუმცა გერმანელებმა იქვე მიუთითეს, რომ სასურველი იქნება, თუკი ფიფას ჩინოსნები მეტ ნათელს მოჰფენენ მათ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს. *"ადიდასი" ფიფას მრავალწლიანი პარტნიორია სპონსორის რანგში. ჩვენ შორის თანამშრომლობა დიდი ხანია ჩვენი პროდუქციის მათთვის მიწოდებასაც ითვალისწინებს. ტრადიციებიდან გამომდინარე, უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას და პარტნიორობას კიდევ მრავალი წლით გავახანგრძლივებთ. ჩვენ 2014 წლის ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორები გავხდით.*

*ის უარყოფითი ფონი, რაც ბოლოდროინდელი სკანდალის გამო ფიფას გარშემოა, დადებითად არ აისახება არც თავად ამ ორგანიზაციაზე, არც ზოგადად ფეხბურთზე და არც მის ფინანსურ პარტნიორებზე. იმედია, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ნათელი მოეფინოს იმ ბრალდებებს, რაც მათ წინააღმდეგ იყო წაყენებული,"* - განაცხადეს კომპანიის წარმომადგენლებმა.

## ვან მარვიიკმა ჯერ არ იცის

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბერტ ვან მარვიიკმა** ჯერ არ იცის, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შემდეგ დარჩება თუ არა ეროვნულ გუნდში. აი, რას აცხადებს ის: *"ამჟამად მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ნაკრებში ევრო 2012-ის დამთავრებამდე უნდა ვიყო და პასუხი შეკითხვაზე, დავრჩები თუ არა იქ ამის მერეც, ნამდვილად არ მაქვს. ვინ წაიყვანს ჰოლანდიას ბრაზილიაში, ჯერ არ ვიცი. მე არ ვარ იმ ტიპის მწვრთნელი, ვინც ერთ ადგილზე დიდხანს მუშაობაზე ოცნებობს. დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი ესპანეთში, ინგლისში, გერმანიაში და შეიძლება იტალიაზეც მეფიქრა".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ელიტიდან გავარდნილები

# ევროპის ჩამოფასებული ვარსკვლავები

## რა ბედი ეწევათ ვესტ ჰემის, დეპორის, მონაკოსა და კომპანიის წამყვან ფეხბურთელებს?

გასულმა სეზონმა არაერთი ცნობილი გუნდი შეიწირა. თვითონ განსაჯეთ, ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატების უმაღლესი ლიგებიდან ისეთი გუნდები გავარდნენ, როგორებიც არიან „ვესტ ჰემი“, ლა კორუნიის „დეპორტივო“, გენუის „სამპდორია“, რომელიც სექტემბერში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას ცდილობდა და მიზანთან ძალიან ახლოსაც იყო, და „მონაკო“. ამ გუნდებში კი ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებსაც მეორე დივიზიონში ასპარეზობა ნაღდად არ ეკადრებათ. მაგალითად, გამორიცხულია, რომ **სკოტ პარკერმა** ან **დავიდ ტრეზეგემ** ქვედა დივიზიონში ითამაშონ. ფაქტია, ასეთ მოთამაშეებს ქვედა ლიგებში სათამაშოდ ვერავინ გაწირავს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი ფასი ძალიან დაბალი იქნება. გაინტერესებთ, რას საქმიანობს ან რას აპირებს ერთ დროს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი **ვალერონი** ან ვინ გადაიბირებს ფეხბურთელს, რომელიც ოთხი წლის მანძილზე მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავდა? მივყვეთ თანმიმდევრობით.

## ინგლისი

### ნიკოლა ჟიგიჩი
**30 წლის, „ბირმინგემი“**

სერბ თავდამსხმელს ინგლისურ კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული. როგორც კი გაირკვა, რომ გუნდი პრემიერლიგიდანვარდებოდა, „ბირმინგემის“ ბოსმა **პიტერ პანუმ** თქვა, თუ რომელიმე კლუბი **ჟიგიჩის** სანაცვლოდ 4 მილიონს შემომთავაზებს, ვეტყვი, კარგად იყავი-მეთქი, ამ ფეხბურთელის გაყიდვაზე ფიქრს მხოლოდ 10 მილიონი ევროს შემოთავაზების შემთხვევაში დავიწყებო.

ეს საკმაოდ დიდი თანხაა თავდამსხმელისთვის, რომელიც 30 წლისაა და რომლის გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა. პანუ კი ამბობს, იგივე ეხებათ „ბირმინგემის“ სხვა წამყვან მოთამაშეებსაც, **როჯერ ჯონსონს**, **კოტ დანსა** და **კრეიგ გარდნერსაცო**.

### ლი ბოიერი
**34 წლის, ბირმინგემი**

„ბირმინგემ სიტის“ კიდევ ერთი ლიდერი, რომელიც ერთ დროს ძალიან ძლიერი „ლიდს იუნაიტედის“ წამყვანი მოთამაშე გახლდათ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც უთამაშია. ვეტერანი ინგლისელი ნახევარმცველი „ბირმინგემში“ „ვესტ ჰემისა“ და „ნიუკასლის“ გავლით მოხვდა. ჟიგიჩისა და კომპანიისგან განსხვავებით, **ბოიერს** კონტრაქტი ახლავე უმთავრდება, ახლის გაფორმებას კი არ აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გადაბირება ნებისმიერ კლუბს უფასოდ შეუძლია.

### ჯეიმს მაკფადენი
**28 წლის, ბირმინგემი**

შოტლანდიის ნაკრების თავდამსხმელს ამ სეზონში მუხლის ტრავმის გამო ექვსი თვე გაუცდა. ბოიერის დარად, **მაკფადენიც** უფასოა, რადგან კონტრაქტი ამოეწურა, თუმცა „ბირმინგემში“ დარჩენასაც არ გამორიცხავს. აღსანიშნავია, რომ კლუბის ხელმძღვანელებთან მან პირველი მოლაპარაკებები უკვე გამართა და თუ მსურველები არსებობენ, უნდა იჩქარონ, თორემ საკმაოდ მაღალი კლასის ფორვარდი „ბირმინგემთან“ ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს.

### რობერტ გრინი
**31 წლის, ვესტ ჰემი**

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ 31 წლის მეკარე „ვესტ ჰემს“ დატოვებს. ინგლისური პრესა წერს, **გრინი** „ასტონ ვილასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებსო. „ვესტ ჰემი“ გრინის სანაცვლოდ ხუთ მილიონ ევროს ითხოვს.

### სკოტ პარკერი
**30 წლის, ვესტ ჰემი**

ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელი სკოტ პარკერიც ახალ სამსახურს ეძებს. 30 წლის სკოტის გადაბირება „არსენალს“, „ლივერპულს“, „ტოტენჰემს“ და „ასტონ ვილას“ სურთ. ყველაზე მეტად „ტოტენჰემი“ აქტიურობს – გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** გადაწყვიტა, ძირითად შემადგენლობაში პარკერისთვის ადგილი გაათავისუფლოს: „ტოტენჰემი“ **ჯერმეინ ჯენასს** „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გაყიდვას უპირებს.

### კარლტონ კოული
**27 წლის, „ვესტ ჰემი“**

ერთი შეხედვით, ინგლისური პრესის ცნობებიდან გამომდინარე ისე ჩანს, რომ „ჩელსის“ ყოფილი ფეხბურთელის გადაბირება არც ერთ სერიოზულ კლუბს არ სურს. ჩვენი ინგლისელი კოლეგები **კარლტონ კოულის** ბედს ბოლოს „სტოკ სიტის“ უკავშირებდნენ, მაგრამ სამშაბათს კლუბის შეფმა **პიტერ კოუტსმა** BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, კოულის გადაბირებაზე ერთი წამითაც კი არ გვიფიქრიაო.

### დემბა ბა
**26 წლის, ვესტ ჰემი**

„სანდეი მირორის“ ინფორმაციით, 26 წლის თავდამსხმელს კონტრაქტში ჩადებული აქვს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, გუნდის გავარდნის შემთხვევაში, „ვესტ ჰემიდან“ წასვლა უფასოდ შეუძლია. ამ ცნობას მყისვე მოჰყვა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ბას გადაბირება რუსულ გრანდებს სურთ, ყველაზე მეტად კი მოსკოვის „ლოკომოტივი“ აქტიურობს. ინგლისურ პრესაში დაიწერა, რომ ბას გადაბირება „სტოკ სიტისაც“ უნდა.

### მარკ ნობლი
**24 წლის, ვესტ ჰემი**

ახალგაზრდა ნახევარმცველით „სანდერლენდი“, „სტოკი“ და „ვულვზი“ არიან დაინტერესებულები, თუმცა **ნობლი** ძალიან ძვირი ღირს - „ვესტ ჰემი“ მას ექვს მილიონ ევროზე იაფად არაფრისდიდებით არ გაყიდის. 24 წლის ფეხბურთელს პრემიერლიგიდან გავარდნილ გუნდთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული.

### ჯეიმს ტომკინსი
**22 წლის, ვესტ ჰემი**

ისევე, როგორც ნობლი, **ტომკინსიც** ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელია, ოღონდ, მარკისგან განსხვავებით ცენტრალური მცველია. მისი გადაბირება „ლივერპულს“ და „ტოტენჰემს“ სურთ, თუმცა 22 წლის უკანახაზელს „ვესტ ჰემში“ დარჩენა უნდა. ამას წინათ კლუბის ვებ-გვერდზე მისი ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც ტომკინსი გულშემატკივრებს ჰპირდება, აუცილებლად დავრჩები და „ვესტ ჰემს“ პრემიერლიგაში დაბრუნებისთვის ბრძოლაში დავეხმარები, ფანების წინაშე უდიდეს ვალდებულებას ვგრძნობო.

### თომას ჰიტცლშპერგერი
**29 წლის, ვესტ ჰემი**

ისევე, როგორც **დემბა ბას**, გერმანელ ნახევარმცველსაც შეუძლია, რომ კლუბი უფასოდ დატოვოს, თუმცა „ვესტ ჰემი“ ამ ცნობას არ ადასტურებს, სხვა ინგლისური გამოცემები კი წერენ, რომ გერმანელი 600 000 ევროდ გაიყიდება. გაირკვა, რომ თომასის გადაბირება მის ყოფილ კლუბს, „ასტონ ვილას“ სურს.

## ესპანეთი

### ნელსონ ვალდესი
**27 წლის, ერკულესი**

პარაგვაელმა თავდამსხმელმა, რომელიც ადრე ჯერ ბრემენის „ვერდერის“, მერე კი დორტმუნდის „ბორუსიას“ ღირსებას იცავდა და საქართველოს ნაკრების კარშიც აქვს გოლი გატანილი, „ერკულესში“ დარჩენა და სეგუნდა დივიზიონში თამაში კატეგორიულად გამორიცხა. კლუბის ხელმძღვანელებმა კი თქვეს, რომ **ნელსონ აედო ვალდესს** 3 მილიონ ევროდ შეელევიან. ჩვენი ესპანელი კოლეგების ინფორმაციით, მისი ყიდვა ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ სურს და კლუბებს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

### დავიდ ტრეზეგე
**33 წლის, ერკულესი**

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ გამოცდილი ფრანგი თავდამსხმელი, „იუვენტუსის“ ყოფილი გოლეადორი **დავიდ ტრეზეგე** იტალიაში დაბრუნდება, თუმცა ჯერ ცნობილი არაა, სერია A-ში რომელი გუნდის ღირსებას დაიცავს. ფრანგი ფორვარდის აგენტი **ანტონიო კალიენდო** ამბობს, დავიდის გადაბირება რომის „ლაციოს“ და „ნაპოლის“ სურთო, იტალიურ პრესაში კი დაიწერა, რომ ტრეზეგე სხვა, არაიტალიურ კლუბებსაც ძალიან აინტერესებთ – კიევის „დინამოსა“ და „ოლიმპიაკოსს“. აღსანიშნავია, რომ დიეგომ მარადონას ტრეზეგეს დუბაიში წაყვანა უნდა და ფრანგს შვეიცარიიდანაც აქვს შეთავაზებები. თვითონ ტრეზეგე კი უპირატესობას იტალიაში დაბრუნებას ანიჭებს.

### როისტონ დრენტე
**24 წლის, ერკულესი**

„რეალიდან“ განათხოვრებულმა **დრენტემ** ახალი გუნდი უნდა ეძებოს, რადგან მადრიდელთა მთავარმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** გასაგებად თქვა, დრენტე არაფერში მჭირდებაო. „სამეფო გუნდის“ პორტუგალიელ დამრიგებელს 24 წლის ნახევარმცველი მოსამზადებელ შეკრებაზეც კი არ მიჰყავს. ჰოლანდიური პრესა კი წერს, რომ როისტონი სხვადასხვა ინგლისურ და იტალიურ კლუბებს სურთ.

### ხავიერ პორტილიო
**29 წლის, ერკულესი**

დღეს უკვე 29 წლის თავდამსხმელი ერთ დროს „რეალის“ მოთამაშე იყო, მადრიდში 4 წელი გაატარა და უდიდეს ტალანტად მიიჩნეოდა. მაგრამ **ხავიერ პორტილიომ** იმედები ვერ გაამართლა. გასული სეზონი მან „ერკულესში“ გაატარა და ისეთი შედეგი აჩვენა, რომლითაც თავს ნაღდად ვერავის მოაწონებს: მხოლოდ ერთი გოლი პრიმერადივიზიონის 26 მატჩში. პორტილიოს „ერკულესთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს და მისი მომავალი უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

### დიეგო კოლოტო
**30 წლის, დეპორტივო**

გამოცდილი ფეხბურთელი გალისიაში უნდა დარჩეს. „დეპორის“ პრეზიდენტმა **ლენდოირომ** მას ახალი, სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ლა კორუნიელთა ახალი მთავარი მწვრთნელი **ხოსე ლუის ოლტრა** კი ღიად აცხადებს, რომ კოლოტოს პრიმერადივიზიონში დაბრუნებისთვის ბრძოლაში უმთავრესი როლი ექნება.

### ალბერტო ლოპო
**31 წლის, დეპორტივო**

კოლოტოსგან განსხვავებით, მისი მეწყვილე **ლოპო** გუნდს აუცილებლად დატოვებს – მას „დეპორტივოსთან“ კონტრაქტი უმთავრდება და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ კარიერას „ხეტაფეში“ გააგრძელებს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიდ ტრეზეგეს „ერკულესი“ პრიმერადან გავარდა. ფრანგს იტალიაში დაბრუნება უნდა

### ხუან კარლოს ვალერონი
**35 წლის, დეპორტივო**

ერთ დროს ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა, რომელიც ახლა უკვე 35 წლისაა, პრიმერადივიზიონის 36-ე ტურში, „ბარსელონასთან“ პაექრობისას დაამტკიცა, რომ ფეხბურთის თამაში ჯერ კიდევ შეუძლია და თანაც, ძალიან მაღალ დონეზე. მართალია, „ბარსელონა“ ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით თამაშობდა, მაგრამ **ვალერონი** მოედანზე საუკეთესო გახლდათ. ხუან კარლოსი ლა კორუნიაში 2000 წლიდან თამაშობს ამ გუნდთან ერთად ბევრი კარგი თუ ცუდი გამოიარა. გადაწყვეტილია, რომ ვალერონი „დეპორტივოში“ რჩება და მომავალ სეზონში ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ლა კორუნიელები ელიტაში დააბრუნოს.

## იტალია

### ანჯელო პალომბო
**29 წლის, სამპდორია**

გენუელთა კაპიტანს საკმაოდ მაღალი ხელფასი, წელიწადში 1.5 მილიონი ევრო აქვს, რაც სერია B-სთვის ზედმეტად დიდი ფუფუნებაა. „სამპდორიას“ მომავალმა სპორტულმა დირექტორმა **პასკუალე სენსიბილემ** თქვა, **პალომბო** ჩვენი გუნდის უმთავრესი ფიგურაა, მაგრამ სერია B-ში ამხელა ხელფასს ვერ გადავუხდითო. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, პალომბოთი „ფიორენტინა“ და „ნაპოლი“ არიან დაინტერესებულები, მაგრამ ახალ მწვრთნელ **ალბერტო მალეზანის** მისი შენარჩუნება უნდა. სხვათა შორის, „სამპდორიაში“ დარჩენას არც თვითონ 29 წლის ფეხბურთელი გამორიცხავს, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი – პალომბო „სამპას“ ღირსებას ხომ 9 წელია იცავს.

### ჯონათან ბიაბიანი
**23 წლის, სამპდორია**

ეს უკანასკნელი „სამპდორიაში“ ზამთარში, მილანის „ინტერიდან“ გადავიდა (პაცინის ტრანსფერს ხურდაში გააყოლეს) და მისი ფასი სეზონის წინ 7 მილიონი იყო. თუმცა გენუაში მთლად კარგად ვერ ითამაშა, რის გამოც აშკარად გაუფასურდა. **ბიაბიანის** მომავალი ჯერჯერობით უცნობია.

### ბარეტო
**25 წლის, ბარი**

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ეს სეზონი ნორმალურად დაიწყო: ათი ტურის შემდეგ მის ანგარიშზე 4 გოლი და 2 საგოლე პასი იყო. წინა სეზონში კი **ბარეტომ** 14 გოლის გატანა და 5 საგოლე პასის გაკეთება შეძლო. მისი გადაბირება „ფიორენტინას“ სურს. ბარეტოს „ბარისთან“ კონტრაქტი 2012 წლის ივლისამდე აქვს გაფორმებული.

## საფრანგეთი

### თორან ჰაზარდი
**18 წლის, ლანსი**

გვარმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ – ეს ის ცნობილი **ჰაზარდი** არ არის. თორანი ბელგიელი სუპერვარსკვლავის, **ედენ ჰაზარდის** ძმაა – ფეხბურთელის, რომელიც „ლილთან“ ერთად საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. თორან ჰაზარდის კლუბი „ლანსი“ კი პირველი ლიგიდან გავარდა, რის გამოც დიდი შანსია, რომ თორანმა კლუბი გამოიცვალოს.

### მაჰამადუ დიარა
**30 წლის, მონაკო**

იანვარში „რეალიდან“ „მონაკოში“ გადასულმა საყრდენმა ნახევარმცველმა ფრანგულ კლუბთან, რომელიც პირველი ლიგიდან გავარდა, ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა უფასოა. თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას. ჩვენი ფრანგი კოლეგების ცნობით, **დიარა** „ლიონში“ დაბრუნებაზე ფიქრობს.

შალკე

## 41 წლის ლემანი ყენიასთან?

### ნოიერის წასვლის შემდეგ გელზენკირხენელებს ბებერი იენსი ძალიან სჭირდებათ

ორი დღის წინ, **მანუელ ნოიერის** დაუსრულებელი საგა, როგორც იქნა, დასრულდა – გერმანიის ნაკრების მეკარე მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა. ამ ინფორმაციასთან ერთად, „შალკემ“ ისიც გვამცნო, რომ ნოიერს ფრანკფურტის „აინტრახტის“ ან უკვე ყოფილი, 22 წლის კიპერი **რალფ ფერმანი** შეცვლის. ეს უკანასკნელი გელზენკირხენულ კლუბში ადრეც თამაშობდა (2003-დან 2009 წლამდე), ახლა კი **ლევან ყენიას** გუნდში უფასოდ გადადის. რაკი ფერმანმა გასულ სეზონში არაერთი შეცდომა დაუშვა („აინტრახტი“ მეორე ბუნდესლიგაში გავარდა), „შალკეს“ ხელმძღვანელები მას ასი პროცენტით ვერ ენდობიან და უნდათ, რომ კიდევ ერთი მეკარე გადაიბირონ.

საუბარი კი, არც მეტი, არც ნაკლები, „შალკეს“ „ძველ ნაცნობზე“, 41 წლის (!) **იენს ლემანზეა**. „შტუტგარტერ ცაითუნგის“ ცნობით, გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები კვირაზე მეტია, ლემანთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ და ვეტერანი მეკარისთვის, რომელიც „შალკეს“ ღირსებას საუკეთესო წლებში, 1987-დან 1998 წლამდე იცავდა, ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურთ.

ხსენებული გამოცემა იმასაც წერს, რომ თუ ტრანსფერი შედგა და მეკარე, რომელსაც კარიერა ჰქონდა დასრულებული, მაგრამ სეზონის მიწურულს ლონდონის „არსენალში“ დაბრუნდა და არც „შალკეში“ თამაშზე იტყოდა უარს, „ბაიერნში“ გადაბარგებული ნოიერის შემცვლელი არ იქნება. თუ „ბებერი იენსი“ ბუნდესლიგაში მართლაც დაბრუნდა, მას ფერმანის შემცვლელის, ანუ, „შალკეს“ მეორე მეკარის სტატუსი ექნება და მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ ფერმანი იმედებს ვერ გაამართლებს, ტრავმას მიიღებს ან დისკვალიფიცირებული იქნება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ინტერვიუ. ჟოზე მოურინიო



მარცხნიდან: ქარიმ ბენზემა, ჟოზე მოურინიო, გონსალო იგუაინი

# მოურინიო: ბენზემა და იგუაინი არ იყიდება!

## კუნი ფანტასტიკურია, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ?

**გუშინ** მადრიდის „რეალის" პორტუგალიელმა თავკაცმა ჟოზე მოურინიომ რადიო „კადენა სერს" ინტერვიუ მისცა. როგორც ყველა მისი ინტერვიუ, არც ეს უკანასკნელი ყოფილა უინტერესო - „განსაკუთრებული" ყველაფერს შეეხო, კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას, ხორხე ვალდანოსთან უთანხმოებას, „ბარსელონას" გამარჯვებას ჩემპიონთა ლიგის ფინალში და საკუთარ ბრძოლას უეფა-ს წინააღმდეგ.

**- რატომ დაინტერესდით ფაბიო კოენტრაოთი? მის პოზიციაზე ხომ მარსელო გყავთ?**

- კოენტრაო დიდებული ფეხბურთელია. მე მომწონს მისი თამაში, რადგან უნივერსალია - ყველგან შეუძლია თამაში. ასეთი ტიპის ფეხბურთელებს ყველა კლუბის კარი ღია აქვთ, მით უმეტეს, ისეთი მოთხოვნილებების გუნდს, როგორიც „რეალია".

**- გადაწყდა, რომ სერხიო აგუერო „ატლეტიკოს" ტოვებს...**

- მისი ტრანსფერი არ მითხოვია. „კუნი" ფანტასტიკურია, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ?

**- ამბობენ, რომ „რეალმა" შეიძლება რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვას, მათ შორის კი ქარიმ ბენზემას და გონსალო იგუაინს ასახელებენ.**

- არ ვადასტურებ. მეტიც, ბენზემა და იგუაინი არ იყიდება!

**- „რეალმა" უკვე დაიმატა სამი ფეხბურთელი და მათ შორისაა ნური შაჰინი, რას იტყვით მასზე?**

- ფაქტები თავისთავად მეტყველებენ: შაჰინი ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ტურნირის, რომელიც წლითიწლობით ძლიერდება. ვფიქრობ, კიდევ ერთი ტალანტი შევიძინეთ, როგორიც იოზილი, მარსელო, დი მარია, ბენზემა და სხვებია. ჩვენ ვართ ახალგაზრდული გუნდი - სადღაც, 3-4 წელიწადში, შესაძლოა, ევროპულ ფეხბურთში ახალი ერა დაიწყოს - „რეალის" ეპოქა.

**- ხორხე ვალდანო კლუბიდან გაუშვეს, ბევრი ამ გადაწყვეტილებას თქვენს პერსონას უკავშირებს...**

- რა ვთქვა, არ ვარ ბედნიერი, რომ ასე მოხდა. თუმცა ყველას ვეტყვი, რომ ვალდანოს წასვლით ჩემი „ძალაუფლება" „რეალში" არ გაზრდილა და მე ეს სულაც არ მსურს - მწვრთნელი ვარ და მხოლოდ სამწვრთნელო საქმიანობა მაინტერესებს. ვალდანოს საწინააღმდეგო პირადად არაფერი მქონდა. მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ კარიერაში. უბრალოდ, კლუბის სტრუქტურა არ იყო თანამედროვე სტანდარტს მორგებული. კარგი ორგანიზაცია არ არის მაინცდამაინც წარმატების გარანტი, მაგრამ ცუდი ორგანიზაცია უთუოდ წარუმატებლობის გარანტიაა. ჩვენ ყოველთვის უნდა ვვითარდებოდეთ და სრულყოფილებისკენ ვისწრაფვოდეთ.

**- თქვენ გადაწყვიტეთ უეფას მიერ გამოტანილი სასჯელი სასამართლოში გააპროტესტოთ, ეს კი სახიფათოა...**

- ასეც ვიზამ. ჩემი საქმე უნიკალურია - უეფამ არ ამიხსნა, რატომ დამსაჯა. კლუბის ინტერესებს ყოველთვის დავიცავ მიუხედავად იმისა, როგორ იმოქმედებს ეს ჩემს იმიჯზე. ბოლო-ბოლო, ნებისმიერი ადამიანის უფლებაა თავი დაიცვას.

**- თქვენ წლეულს „ბარსელონას" და გვარდიოლას ღიად დაუპირისპირდით...**

- ასე არ ვიტყოდი, ამ კლუბს არ ვეხები და მის წინააღმდეგ არ გამოვდივარ. მე ვიცნობდი გვარდიოლას, როგორც ფეხბურთელს და ვიცნობ მას, როგორც მწვრთნელს.

**- „ბარსამ" ჩემპიონთა ლიგა მოიგო...**

- და ეს ფინალში გაცილებით დამაჯერებლად გააკეთა, ვიდრე წინა რაუნდებში. ლონდონში „ბარსა" იყო საუკეთესო გუნდი და ჩემპიონიც დამსახურებულად გახდა.

**- სეზონის განმავლობაში ერთიორჯერ თქვენს წასვლაზეც დაიწყეს ლაპარაკი...**

- „რეალიდან"? არა, რატომ? აქ თავს კარგად ვგრძნობ, ხელმძღვანელობა მენდობა, გეგმები გრანდიოზული გვაქვს. „რეალში" მანამდე ვიქნები, სანამ ეს კლუბის ხელმძღვანელებს, გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს ენდომებათ.

**- წამსვლელთა შესახებ რას იტყვით?**

- ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. მინდა, რომ ადებაიორი დარჩეს მადრიდში, პედრო ლეონს კი წასვლას ვურჩევდი, სერხიო კანალესისთვის კი საუკეთესო ვარიანტი იჯარით სხვაგან თამაში იქნება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● მოსაზრება

# მორატი: რევოლუციურ ცვლილებებს არ ვგეგმავთ

## ინტერის პრეზიდენტმა ეტოო მესის შეადარა

ვისაც ფეხბურთთან მცირე შეხება მაინც აქვს, ყველას "ბარსელონა" და **ლიონელ მესი** აკერია პირზე – გამონაკლისი არც **მასიმო მორატია**, რომელიც "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა და **სამუელ ეტოო** კატალონიური გრანდის არგენტინელ შემტევს შეადარა. მოვუსმინოთ "ინტერის" პრეზიდენტს:

*"ალბათ არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ სამუელ ეტოო ისეთივე მნიშვნელოვანი ფეხბურთელია "ინტერისთვის", როგორიც ლიონელ მესი "ბარსელონასთვის". კამერუნელის გარეშე ვერ მივაღწევდით იმ წარმატებებს, რომლითაც ასე ვამაყობთ და ანალოგიურად, მესის გარეშე "ბარსა" ალბათ არ იქნებოდა ასეთი საოცარი გუნდი. ლიონელი მართლაც ფანტასტიკური ფეხბურთელია, უნიკალური ტექნიკით და ლიდერის დამახასიათებელი თვისებებით – რაც შეეხება ეტოოს, შესაძლოა მეტი სივრცე სჭირდება შესაძლებლობების წარმოსაჩენად, მაგრამ სამაგიეროდ, მსოფლიოში ყველაზე სწრაფი თავდამსხმელია. გავცვლიდი თუ არა ეტოოს მესიზე? – ძალიან რთული კითხვაა, მათ ტანდემს კი სიამოვნებით ვიხილავდი მოედანზე, თუმცა მხოლოდ "ნერაძურის" ამუნიციით".*

მორატიმ სეზონი შეაჯამა და შემდეგი განაცხადა: *"სეზონი აქტივში უნდა ჩავიწეროთ და ეს მიუხედავად იმისა, რომ სერია A-ში მხოლოდ მეორე ადგილი დავიკავეთ. სამაგიეროდ, იტალიის თასი მოვიპოვეთ და დავინახეთ, რომ ამ გუნდს კიდევ შეუძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. ლეონარდოს მიერ გაწეულ სამუშაოს დადებითად ვაფასებ და დარწმუნებული ვარ, რომ მასთან ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევთ. რაც შეეხება სატრანსფერო გეგმებს, ჩვენი უმთავრესი მიზანი წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებაა – ამ გუნდს რომ ყველაფრის მოგება შეუძლია, არაერთხელ დავრწმუნდი და ამიტომ, რევოლუციური ცვლილებების საჭიროებას ვერ ვხედავ".*

**ლაშა ნიკლაური**



ეტოო და მესი

● სურვილი

# სანჩესს ბარსაში უნდა

"უდინეზეს" 22 წლის თავდამსხმელმა **ალექსის სანჩესმა** როგორც იქნა აღიარა, რომ დიდი სიამოვნებით გააგრძელებდა კარიერას "ბარსელონაში". ჩილელ ფორვარდზე დიდი მოთხოვნაა, თუმცა აქამდე სიმშვიდეს ინარჩუნებდა და აცხადებდა, რომ მისთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკა გახლდათ, რითიც ფრიულურ გუნდში უზრუნველყოფილი იყო. "ბარსას" გააქტიურების შემდეგ სანჩესმა ცდუნებას ვერ გაუძლო და შემდეგი განაცხადა:

*"ჩემით ევროპული გრანდები არიან დაინტერესებულნი და სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან მსიამოვნებს. მსურს, რომ განვვითარდე, როგორც ფეხბურთელი და ტიტულები მოვიგო, რაც მხოლოდ უმაღლესი კლასის გუნდში თამაშით არის შესაძლებელი. სად ვისურვებდი კარიერის გაგრძელებას? – არ ვიქნები ორიგინალური და ვიტყვი, რომ დიდი სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს "ბარსელონაში". ეს გუნდი საოცარ ფეხბურთს თამაშობს, რომლის ყურებაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ვიცი, რომ ჩემით "ბარსაც" დაინტერესებულია და ალბათ, უახლოეს მომავალში მოლაპარაკებებიც დაიწყება. დასამალი არაფერია და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ კატალონიურ გრანდში სიამოვნებით ვითამაშებდი".*

სანჩესის განცხადებას ჩილეს ეროვნული ნაკრების თავკაცი **კლაუდიო ბორგი** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა: *"ჩემი აზრით, ალექსის სანჩესი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების ათეულში შედის და შესაბამისად, ევროპული ფეხბურთის გრანდში იმსახურებს ასპარეზობას. კონკურენციის არ უნდა შეეშინდეს, რადგან ნებისმიერი ფეხბურთელის თადარიგში გადასროლა ხელეწიფება. რომელი გრანდის სათამაშო სქემას მოერგება? – თვითონვე თქვა, რომ ყველაზე მეტად "ბარსაში" სურს ასპარეზობა, რამაც ძალიან გამახარა. ვფიქრობ, რომ "ბლაუგრანა" ის გუნდია, სადაც ალექსისი თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს".*

**ლაშა ნიკლაური**

● რომა

# მოტას ინტერში უნდა, მაგრამ...



ტიაგო მოტა

"რომას" ახალ მფლობელ **ტომას დი ბენედეტოს** სერიოზული საზაფხულო გეგმები აქვს და როგორც თავად აცხადებს, რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელს გადაიბირებს. იტალიელი ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომაელები პირველ რიგში ნახევარდაცვის გაძლიერებას შეეცდებიან და რამდენიმე შუახაზელი უკვე შერჩეულიც ჰყავთ.

"კორიერე დელო სპორტის" ცნობით, მთავარი სამიზნე **ტიაგო მოტაა**, რომელიც **ჟოზე მოურინიოს** ფორმაციის "ინტერში" შეუცვლელი ფიგურა იყო, თუმცა გასულ სეზონში ტრავმებმა გატანჯეს და შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა ვერ შეძლო. შედეგად, 28 წლის ნახევარმცველი **ლეონარდოს** მონახაზიდან ამოვარდა და გამომდინარე იქიდან, რომ ბრაზილიელი სპეციალისტი რჩება გუნდში, მოტას მილანური პერსპექტივები ბუნდოვანი ჩანს. ამის გათვალისწინებით, რომაელთა ინტერესი ტიაგოსთვის ძალიან სასიამოვნო უნდა იყოს, თუმცა კომენტარში ამას დიდად არ იმჩნევს:

*"სამომავლო გეგმებზე ლაპარაკი გამიჭირდება, რადგან არ ვიცი, რამდენად ვჯდები ლეონარდოს გეგმებში. უახლოეს დღეებში აუცილებლად დაველაპარაკები და ყველაფერს დეტალურად შევიტყობ. ისე კი, ძალიან მინდა "ინტერში" დარჩენა და თუ ამის საბაბი მომცეს, სხვაგან წასვლაზე არც კი ვიფიქრებ. "რომა"? – კარგი გუნდია, ამბიციური მიზნებით, თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩემი გული "ნერაძურის" ეკუთვნის"*

**ლაშა ნიკლაური**

● სავარაუდო ტრანსფერი

# კლოზე ლაციოს შეუთანხმდა

**იტალიური** სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ლაციოს" მესვეურებმა წარმატებით დაასრულეს მოლაპარაკებები **მიროსლავ კლოზესთან** და უახლოეს დღეებში, გერმანელ ფეხბურთელთან ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებენ. კლოზეს რომ მიუნხენის „ბაიერნის" მესვეურებმა ხელშეკრულება არ გაუხანგრძლივეს, ძველი ამბავია - ამიტომ, უკვე კარგა ხანია ბჭობენ იმის შესახებ, თუ სად გააგრძელებს კარიერას თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი. ყველაზე ხშირად „ტრაბზონსფორის" ვარიანტზე ისმოდა, თუმცა, როგორც ჩანს, თავად ფეხბურთელმა თურქეთში გადაბარგებაზე უარი განაცხადა. მართალია, უკვე 32 წლის არის, მაგრამ როგორც არაერთხელ განაცხადა, კიდევ დიდ ხანს აპირებს უმაღლეს დონეზე თამაშს.

„ლაციო" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა, თუმცა ამან არ შეაფერხა **კლაუდიო ლოტიტო**, რომელსაც ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდა კლოზეს დამატება. რომაული კლუბის დირექტორთა საბჭოს წევრი **იგლი ტარე** ამ საკითხზე შემდეგ კომენტარს აკეთებს: *„ჩემი აზრით, კლოზე ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია მსოფლიოში და აშკარად მეტ სათამაშო დროს იმსახურებს, ვიდრე ეს „ბაიერნში" აქვს. ჩვენ შევთავაზეთ მას კარიერის „ლაციოში" გაგრძელება და პასუხს ველოდებით. გვითხრა, რომ დიდი სიამოვნებით განიხილავს წინადადებას და უახლოეს დღეებში საბოლოო პასუხს გვეტყვის. საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მაქვს ამის საბაბი, თუმცა დღეს უფრო მეტად ნამდვილად ვერ დავკონკრეტდები".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012 შესარჩევი მატჩები

# აბიდალს ფინიში ჩაუმწარეს

## სენსაცია ჯუჯებისგან, დამაჯერებელი სკუადრა და ფრანგთა კერკეტი მეტოქე

### A ჯგუფი

გერმანიის ნაკრებმა ჯერ ვერ გაინაღდა ევროპის ჩემპიონატზე თამაში, მაგრამ ზედიზედ მეექვსე მატჩის მოგების შემდეგ ბუნდესნაკრები ჯგუფში პირველობას აღარავის დაუთმობს, მით უმეტეს, რომ მისმა კონკურენტებმა ერთმანეთში თამაშისას ქულები დაკარგეს.

**იოახიმ ლიოვმა** გუშინ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ დაცვის ხაზი გადაახალისა. გერმანელთა დამრიგებელმა უკვე მყარად ჩასვა პირველ 11 კაცში „დორტმუნდის" მცველები - **ჰუმელსი და შმელცერი**. რაც შეეხება, წინა ხაზს, ლიოვმა თადარიგში დატოვა ახალგაზრდები - **შიურლე და გიოტცე** და აქცენტი ძველ გვარდიაზე გააკეთა. ამ სვლამ 100 პროცენტით გაამართლა. როცა ყველას ეგონა, ფავორიტი ჯგუფში პირველ ქულებს ვენის „ერნტს ჰაპელზე" დაკარგავდა, **მარიო გომესმა ლამის** პასით დუბლი შეასრულა და სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს.

გომესმა პირველი ტაიმის ბოლოსაც შეძლო თავის გამოჩენა, როცა **ტონი კროოსის** კუთხურის შემდეგ მეტოქის საჯარიმოში არეულობით ისარგებლა. სტუმრები კინაღამ **არნე ფრიდრიხმა** დაღუპა, რომელმაც მეორე ტაიმის დებიუტში **დავიდ ალაბას** ჩაწოდებულს საკუთარი კარისკენ შეუცვალა მიმართულება და ავტოგოლი მიითვალა. რა თქმა უნდა, ფრე გერმანიისთვის ტრაგედია არ იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იოახიმ ლიოვის გუნდს ძალიან უნდა ჯგუფური ტურნირის ასპროცენტიანი მაჩვენებლით დასრულება.

როგორც გითხარით, გერმანელთა კონკურენტებმა - ბელგიამ და თურქეთმა ფრედ ითამაშეს. ბელგია დაკარგული ქულებით ჩამორჩებოდა ჩვენს მეზობელს, ამიტომაც აუცილებლად სჭირდებოდა გამარჯვება, მაგრამ **ოგუნჯიმის** გოლით მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. მასპინძელთა ფორვარდმა ექვს მატჩში მეოთხე გოლი თურქთა მარცხენა მცველის **ბირინჩის** შეცდომის შემდეგ გაიტანა. სტუმრებმა 22-ე წუთზე აღადგინეს თანაფარდობა - **არდა თურანის** მარჯვნიდან ჩაწოდებული **ბურაქ ილმაზმა** გამოიყენა.

ბელგიას შეეძლო და ვალდებულიც იყო სამი ქულა მოეპოვებინა - მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე **აქსელ ვიტცელმა** პენალტი კარს გადააცილა. ამით „წითელმა ეშმაკებმა" მეორე ადგილზე გასვლის შანსი გაირთულეს. დაკარგული ქულებით თურქები წინ არიან. ორივეს უწევს გერმანიასთან თამაში, ოღონდ ბელგია ბუნდესნაკრებს სტუმრად ხვდება, თურქები კი ლიდერს შინ მიიღებენ.

ყაზახეთმა პირველი ქულები მოიპოვა შესარჩევ ციკლში. ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ მან ბოლოსწინა ადგილისთვის ბრძოლაში კონკურენტ აზერბაიჯანს მინიმალური ანგარიშით მოუგო.

ჩვენმა მეზობლებმა 90 წუთის განმავლობაში ერთადერთხელ დაარტყეს ზუსტად და გაიტანეს - თავი გამოიჩინა შეცვლაზე შესულმა **ვუგარ ნადიროვმა**. თუმცა ამ მომენტისთვის ყაზახეთი **სერგეი გრიდინის** გოლით იგებდა. ამ უკანასკნელმა **ბერტი ფოგტსის** გუნდს დიდხანს სიხარული არ აცალა და ხუთ წუთში აღადგინა მასპინძლების უპირატესობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყაზახებმა გაცილებით მეტჯერ დაარტყეს კარში, მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა, მაგრამ სტუმრების კიდევ ერთი რეზერვისტის **მურად ჰუსეინოვის** მე-80 წუთზე დარტყმა მასპინძელთა მცველებმა ცარიელი კარიდან გამოიტანეს.

#### ავსტრია-გერმანია 1:2

**ავსტრია:** გრატცაი, ფ. კლაინი, შარნერი, პოგატეტცი, ფუქსი, ექრემ დაგი (66. იუნუზოვიჩი), კულევიტსი, ბაუმგარტლინგერი, ალაბა, ჰარნიკი (81. როიერი), ჰოფერი (88. იანკო).

**გერმანია:** ნოიერი, ლამი, ა. ფრიდრიხი, ჰუმელსი, შმელცერი, ხედირა (69. ბადშტუბერი), კროოსი, მიულერი, იოზილი, პოდოლსკი (66. შიურლე), გომესი.

**გოლები:** 0:1 გომესი (44), 1:1 ა. ფრიდრიხი (50-საკ. კარში), 1:2 გომესი (90)

#### ბელგია-თურქეთი 1:1

**ბელგია:** მინოლე, კომპანი, ვერტონგენი (46. ვერმაელენი), ლომბაერტსი, ალდერვეირელდი, სიმონსი, დეფური (88. ფოსენი), ვიტცელი, ჰაზარი (60. მერტენსი), შადლი, ოგუნჯიმი.

**თურქეთი:** ვოლქან დემირელი, საბრი სარიოღლუ, ჩაგლარ ბირინჩი, სერვეთ ჩეთინი, სერდარ ქესიმალი, ემრე ბელოზოღლუ, ქაზიმ რიჩარდსი, არდა თურანი (85. სემიჰ შენთურქი), სელჩუქ შაჰინი, ბურაქ ილმაზი (76. მეჰემეთ ეკიჩი), სელჩუქ ინანი (78. მეჰემეთ თოფალი).

**გოლები:** 1:0 ოგუნჯიმი (4), 1:1 ილმაზი (22)

#### ყაზახეთი-აზერბაიჯანი 2:1

**ყაზახეთი:** ნესტერენკო, სმაკოვი, ნურდაულეტოვი, ლოგვინენკო (65. როჟკოვი), მუხტაროვი, ხაირულინი (82. კიროვი), გეტერიევი, შმიდტგალი, კონისბაევი, ოსტაპენკო (78. ხიჟნიჩენკო), გრიდინი.

**აზერბაიჯანი:** არჰაევი, რაშიდ ფ. სადიგოვი, მელიქოვი, აბასოვი, ლევინი, მედვედევი, ჯ. ჰუსეინოვი (79. ნადიროვი), ისმაილოვი, რაშიდ ა. სადიგოვი. ჯავადოვი, ალიევი (79. მ. ჰუსეინოვი).

**გოლები:** 1:0 გრიდინი (57), 1:1 ნადიროვი (63), 2:1 გრიდინი (68).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 6 | 0 | 0 | 19-2 | 18 |
| 2. ბელგია | 7 | 3 | 2 | 2 | 15-10 | 11 |
| 3. თურქეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| 4. ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 10-10 | 7 |
| 5. აზერბაიჯანი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-15 | 3 |
| 6. ყაზახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-15 | 3 |

**7 ივნისი**

აზერბაიჯანი-გერმანია

### B ჯგუფი

რუსეთი-სომხეთი დღეს
სლოვაკეთი-ანდორა დღეს
მაკედონია-ირლანდია დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირლანდია | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 2. რუსეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 3. სლოვაკეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-4 | 10 |
| 4. სომხეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 8 |
| 5. მაკედონია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 6. ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 1-12 | 0 |

### C ჯგუფი

**ჯუზეპე როსის, ანტონიო კასანოსა** და შეცვლაზე შესული **ჯანპაოლო პაცინის** გოლებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ, წესით, ამ შესარჩევ ჯგუფში „სკუადრა აძურას" მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს. იტალიელები მეტისმეტად სჯობდნენ ესტონელებს, რომელთა მეკარის, **სერგეი პერეიკოს** წყალობით პირველი 20 წუთი მასპინძლებმა გოლი ვერ გაიტანეს. გაგიკვირდებათ და, 21-ე წუთამდე მეკარის ანგარიშზე 3-4 „სეივი" იყო. შემდეგ კი კასანოს პასით როსიმ გაიტანა, რომელიც დღეს-ხვალ შეიძლება „ბარსელონას" ფორვარდი გახდეს. მალე როსის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა, შემდეგ კი პერეიკო კასანოს დარტყმულს ვერ შეწვდა. მეორე ტაიმში კასანოს ნაცვლად შესულმა პაცინიმ **მონტოლივოს** შორეული პასი მიიღო და ესტონელთა დიდი ანგარიშით დამარცხება დააფიქსირა.

ამავე ჯგუფში სლოვენიის ნაკრებმა თითქმის მთელი მატჩი 10 კაცით ითამაშა ფარერის კუნძულებზე, მაგრამ ამის მიუხედავად შინ მაინც 3 ქულით ხელდამშვენებული წავიდა. პირველ ტაიმში სლოვენიელთა ფორვარდმა **მატავჟმა** გამოიჩინა თავი, მეორე ტაიმში კი საკუთარ კარში ფარერელთა გოლკიპერმა გაიტანა. ამ გამარჯვებით სლოვენიის ნაკრებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა სერბებს მათზე თამაშით ნაკლები აქვთ გამართული.

#### ფარერები-სლოვენია 0:2

**ფარერები:** მიკელსენი, ტორ ნაესი (81. ოლსენი), ჰანსენი, დავიდსონი, ბალდვინსონი, უდსენი (46. დანიელსენი), ბენიამინსენი, იუსტინუსენი, ელტორი, ედმუნდსონი, ჰოლსტი (76. მოურიტსენი).

**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, ბრეჩკო, შულერი, სესარი, კორენი, ბირსა (48. მავრიჩი), ნოვაკოვიჩი (55. ლიუბიანკიჩი), იოკიჩი, ილიჩიჩი, ბაჩინოვიჩი, მატავჟი (77. კირმი).

**გოლები:** 0:1 მატავჟი (29), 0:2 რ. ბალდვინსონი (47 ს.კ.)

**გაძევება:** შულერი (25)

#### იტალია-ესტონეთი 3:0

**იტალია:** ბუფონი, მაჯო, რანოკია, კიელინი, ბალძარეტი, მონტოლივო, პირლო, მარკიზიო, აკვილანი (24. ნოჩერინო), კასანო (65. პაცინი), როსი (79. ჯოვინკო).

**ესტონეთი:** პერეიკო, იაგერი, რანი, პიროია, ტენისტე (59. სააგი), პური, ვუნკი, კლავანი, კრუგლოვი, კინკი (78. კამსი), ზენიოვი (58. აჰხიუპერა).

**გოლები:** 1:0 როსი (21), 2:0 კასანო (39), 3:0 პაცინი (68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 14-1 | 16 |
| 2. სლოვენია | 7 | 3 | 2 | 2 | 9-4 | 11 |
| 3. სერბეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| 4. ესტონეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 5. ჩრ. ირლანდია | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 6. ფარერები | 6 | 0 | 1 | 5 | 3-18 | 1 |

**7 ივნისი**

ფარერები-ესტონეთი

### D ჯგუფი

ეს თამაშიც რომ ვერ მოეგო, რუმინეთის ნაკრები ევრო 2012-ის ფინალური საგზურისთვის ბრძოლას რეალურად გამოეთიშებოდა, თუმცა ბუქარესტში **რაზვან ლუჩესკუს** გუნდმა იყოჩაღა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრებისგან ქვა-ქვაზე არ დატოვა. **ჩიპრიან მარიკამ** დუბლი შეასრულა, ხოლო **ადრიან მუტუმ** ერთიც დაუმატა ბალკანურ დერბიში - 3:0. ამით რუმინეთმა მარტში განცდილი მარცხისთვის (1:2) შური იძია.

**ერიკ აბიდალს** მაინც ჩაუმწარდა სეზონის ფინიში - ადამიანს, რომელმაც უდიდესი გმირობის ფასად შეძლო ვერაგ დაავადებასთან გამკლავება და შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება, გუშინ სეზონის უკანასკნელი მატჩი მინსკში ცუდად წაუვიდა - ერიკმა მე-20 წუთზე საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი ბელარუსებთან მატჩში. მართალია, ფრანგებმა **მალუდას** მოწადინებით, მალევე გაათანაბრეს, მაგრამ მეტი ვერ შეძლეს და ფრანგული მარცხისთვის შური ვერ იძიეს. წაფორხილების მიუხედავად, **ლორან ბლანის** გუნდს სატურნირო მდგომარეობა მაინც ნორმალური აქვს.

#### რუმინეთი-ბოსნია 3:0

**რუმინეთი:** ტატარუშანუ, რაცი, ტამაში, მურეშანი, მარიკა (87. ალექსე), მუტუ (83. სურდუ), ტორიე, პაპი, ბურსეანუ, სანმარტეანი (64. ტანასე), სეპუნარუ.

**ბოსნია:** ჰასაგიჩი, სპაჰიჩი, მრავაცი, რაჰიმიჩი, პიანიჩი, მიშიმოვიჩი, ჯეკო (64. მუსლიმოვიჩი), მუიჯა, ლულიჩი, იბრიჩიჩი (64. სტილიჩი), მედუნიანინი (46. იბიშევიჩი).

**გოლები:** 1:0 მუტუ (36), 2:0 მარიკა (40), 3:0 მარიკა (54)

#### ბელარუსი-საფრანგეთი 1:1

**ბელარუსი:** ვერემკო, შიტოვი, მარტინოვიჩი, ვერხოვცოვი, ტრუბილა, ომელიანჩუკი, ტიგორევი, კალაჩევი (89. ვ. ჰლები), ბორდაჩოვი, პუცილა (85. კისლიაკი), ვორონკოვი.

**საფრანგეთი:** ლორისი, სანია, რამი, სახო, აბიდალი, ლ. დიარა, დიაბი (72. რემი), რიბერი, ნასრი, მალუდა, ბენზემა.

**გოლები:** 1:0 აბიდალი (20 ს.კ.), 1:1 მალუდა (22)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-2 | 13 |
| 2. ბელარუსი | 6 | 2 | 3 | 1 | 4-2 | 9 |
| 3. ალბანეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 4. რუმინეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 8 |
| 5. ბოსნია | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 6. ლუქსემბურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-11 | 1 |

**7 ივნისი**

ბელარუსი-ლუქსემბურგი
ბოსნია-ალბანეთი

### E ჯგუფი

0 გატანილი და 30 გაშვებული ბურთი - ასეთია, ევროპის უსუსტესი ნაკრების (მსოფლიოზე თავს ვერ დავდებთ) მონაგარი 6 ტურის შემდეგ. საუბარია სან მარინოზე, რომელიც გუშინ შინ 0:1 დამარცხდა ფინეთთან. გამარჯვების გოლი კი **ფორსელის** ანგარიშზეა. შვედებმა კი მოლდოვაში წაივარჯიშეს და მასპინძლებს 4:1 მოუგეს. ეს ამ დღის ყველაზე დამაჯერებელი ანგარიშით გამარჯვება იყო. დუბლი შეასრულა **იოჰან ელმანდერმა**.

#### მოლდოვა-შვედეთი 1:4

**მოლდოვა:** ნამაშკო, რაკუ, გოლოვატენკო, არმასი, ბოლოჰანი, სუვოროვი, გაცკანი (46. ტიგირლასი), ჩებოტარუ (78. პატრაში), ივანოვი, ბუგაევი, დოროში (63. ბოგიუ).

**შვედეთი:** ისაკსონი, ლუსტიგი, მელბერგი, მაისტროვიჩი, ვენდტი, სვენსონი, კალსტრიომი, ლარსონი, ტოივონენი (68. ვერნბლოომი), ჰისენი (40. ბაირამი), ელმანდერი (75. გერნდტი).

**გოლები:** 0:1 ტოივონენი (11), 0:2 ელმანდერი (30), 0:3 ელმანდერი (58), 1:3 ბუგაევი (61), 1:4 გერნდტი (88)

#### სან მარინო-ფინეთი 0:1

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, ფ. ვიტაიოლი (88. ბაჩიოკი), დ. სიმონჩინი, დელა ვალე, ვანუჩი, მ. ვიტაიოლი (80. მონტანია), კერველინი, მარანი, მაძა (77. ბერეტი), სელვა.

**ფინეთი:** ჰრადეცკი, ლამპი, პასანენი, მოისანდერი, რაიტალა, ერიომენკო (68. რისკი), ჰეიკინენი, ჰეტემაი (84. სიოლუნდი), ჰამალაინენი, ვაირინენი, ფორსელი (90. სადიკი).

**გოლი:** 0:1 ფორსელი (41)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 21-5 | 18 |
| 2. შვედეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 15-6 | 12 |
| 3. უნგრეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 15-13 | 9 |
| 4. მოლდოვა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-9 | 6 |
| 5. ფინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 11-6 | 6 |
| 6. სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 0-30 | 0 |

**7 ივნისი**

შვედეთი-ფინეთი
სან მარინო-უნგრეთი

### G ჯგუფი

ინგლისი-შვეიცარია დღეს
ჩერნოგორია-ბულგარეთი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-1 | 10 |
| 2. ჩერნოგორია | 4 | 3 | 1 | 0 | 3-0 | 10 |
| 3. შვეიცარია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 4. ბულგარეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-5 | 4 |
| 5. უელსი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |

### H ჯგუფი

ისლანდია-დანია დღეს
პორტუგალია-ნორვეგია დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 6-3 | 10 |
| 2. პორტუგალია | 4 | 2 | 1 | 1 | 10-7 | 7 |
| 3. დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 4. კვიპროსი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-8 | 2 |
| 5. ისლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

### I ჯგუფი

დღის სენსაციის შემოქმედნი ლიხტენშტაინელები გამოდგნენ - შესაძლოა, ლიტვა დიდი საფეხბურთო ქვეყანა ვერ არის, მაგრამ ჯუჯა სახელმწიფოსთვის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე გამარჯვება მაინც დიდი მიღწევაა. **ფილიპ ერნეს** და **მიკელე პოლვერინოს** გოლებმა ლიხტენშტაინს 2007 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველი გამარჯვება მოუტანეს. მაშინ ლიხტენშტაინმა ისლანდიის ნაკრები 3:0 გაანადგურა. მიუხედავად, ამ გამარჯვებისა **ჰანს-პეტერ ცაუგის** გუნდი მაინც ბოლო ადგილზე რჩება 5 თამაშიდან 3 ქულით. ამ ქვეჯგუფში ესპანეთის ნაკრები ერთპიროვნული ლიდერია, რომელსაც 5 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი აქვს.

#### ლიხტენშტაინი-ლიტვა 2:0

**ლიხტენშტაინი:** ბ. ბიუხელი, სტოკლასა, ფიშერი (72. მ. კრისტენი), ბეკი (84. ა. კრისტენი), ბურგმაიერი, მ. ბიუხელი, ერნე (87. ჰანსელმანი), ჰასლერი, რიცბერგერი, კაუფმანი, პოლვერინო.

**ლიტვა:** შეტკუსი, შემბერასი, სტანკევიჩიუსი (46. დ. ჩესნაუსკისი), რადავიჩიუსი, კიანსკასი, სკრელა, პანკა, ე. ჩესნაუსკისი (68. შავენასი), დანილევიჩიუსი (46. ლაბუკასი), შერნასი, მიკოლიუნასი,

**გოლები:** 1:0 ერნე (7), 2:0 პოლვერინო (36)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-5 | 15 |
| 2. ჩეხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-3 | 9 |
| 3. შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 4. ლიტვა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 5. ლიხტენშტაინი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |



ბელგიამ ორი ქულა დაკარგა

**გია თვალაბეიშვილი**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქართული ჭიდაობა



გამარჯვებულები და მათი თავკაცები

# დიდი რვიანი მცხეთაში

დღეს ქართული ჭიდაობის უპირობო მფარველი სახელმწიფოა. ამის ნათელი მაგალითია გუშინ მცხეთაში სანდრო კანდელაკის სახელობის საჭიდაო სახლში („ცირკში") ქართული ჭიდაობის ამ ლეგენდის თასზე გამართული საქართველოს რეგიონების გუნდური პირველობა.

ტურნირის ორგანიზატორი იყო მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაცია (გუბერნატორი **ცეზარ ჩოჩელი**) და მხარის ქართული ჭიდაობის ფედერაცია (**რეზო პაპუკაშვილი**). მონაწილეობდნენ შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, აჭარის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, თბილისის და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის გუნდები. გათამაშდა საპრიზო ფონდი 16 ათასი ლარის ოდენობით. სხვათა შორის, რვავე გუნდს, მათ შორის დამარცხებულებსაც, ერგოთ გარკვეული ფულადი ჯილდო.

პირველ ეტაპზე ფავორიტებმა ერთნაირი ანგარიშით 5:0 მოუგეს მეტოქეებს: შიდა ქართლმა - ქვემო ქართლს; კახეთმა-აჭარას; მცხეთა-მთიანეთმა-იმერეთს. თბილისელებმა დაძაბულ ბრძოლაში 3:2 სძლიეს რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის ნაკრებს; ასეთივე ანგარიშით ნახევარფინალში შიდა ქართლმა კახეთს აჯობა; მცხეთა-მთიანეთმა თბილისს; მესამე ადგილისათვის თბილისმა კახეთს.

ფინალში მცხეთა-მთიანეთის გუნდმა დაამარცხა შიდა ქართლის გუნდი და სანდრო კანდელაკის თასი მოიპოვა.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა — **ზვიად ოდოშაშვილი** (60 კგ), **მიხეილ ოსაძე** (60), **ლევან** ნახუცრიშვილი (70), **კახა მამულაშვილი** (70), **გიორგი ბაინდურაშვილი** (80), **გიორგი ცოციაშვილი** (90), **მინდია ბოდაველი** (90), **ადამ ოქრუაშვილი** (+90). მწვრთნელი-**დავით ლაზრიშვილი.**

გამარჯვებულ გუნდს 6 ათასი, მეორე, მესამე და მეოთხეადგილოსნებს შესაბამისად 4, 2 და ათასი ლარი გადაეცათ, დანარჩენი თანხა სხვა გუნდებზე თანაბრად განაწილდა.

მართალია, ძიუდოისტ **ნოდარ მეტრეველს** დისციპლინის დარღვევისათვის ახლახან ძიუდოს ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა, მაგრამ ამის გამო ქართული ჭიდაობის მცხეთის ტურნირზე მას ხელი არ შეშლია შიდა ქართლის გუნდში წარმატებით ეასპარეზა და გუნდთან ერთად მეორე ადგილი მოეპოვებინა.

მცხეთაში იყო გულშემატკივართა დიდი ემოციები, ქართული ჭიდაობის ნამდვილი ზეიმი.

მცხეთა-მთიანეთის თაოსნობას, როგორც ამბობენ, მალე სხვა რეგიონებიც აუბამენ მხარს და ქართული ჭიდაობის გუნდური ტურნირები მთელ ამერ-იმერში გაჩაღდება.

მცხეთაში ასპარეზობას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები, მცხეთა მთიანეთისა და შიდა ქართლის ადმინისტრაციის თავკაცები, სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

● ჭადრაკი

# საგზურები ოქრო-ვერცხლით

ფოთში გუშინ დამთავრდა 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. ვაჟებში ჩინებული შედეგით — 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულით დაასრულა ასპარეზობა ფოთელმა **ნიკა ლვამბერიამ,** რომელმაც გუშინ ლუკა ლიჩელი (გორი) დაამარცხა და ოქროს მედალთან ერთად მსოფლიოს პირველობის საგზურიც მოიპოვა. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ნოე თუთისანი (ქუთაისი) თემურ ოთხოზორიას (ზუგდიდი) დაუზავდა, ხოლო გიორგი სიბაშვილმა (თბილისი) ნოდარ მანაგაძეს (ხონი) სძლია. **თუთისანმა** და **სიბაშვილმა** 7-7 ქულას მოუყარეს თავი. ქუთაისელ მოჭადრაკეს უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და ვერცხლის მედალიც და ევროპის პირველობის საგზური მას ერგო. სიბაშვილი ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა.

გოგონებში ლიდერთა ჯგუფის ბოლო ტურის პარტიები ასე დამთავრდა: თეა ჭოლაძე (ქუთაისი)-ნინო ხომერიკი (თბილისი) 0:1, მარიამ ჭოლაძე (ქუთაისი)-მარიამ წულაია (ქუთაისი) 1:0, ნინო ჯალალონია (ქუთაისი)-ადა კაკუტია (ფოთი) 0:1, თათია კოხრეიძე (ფოთი)-ანა თედოშვილი (ქუთაისი) 0,5:0,5. ამდენად, 9 შესაძლებლიდან 8 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ნინო ხომერიკი** ავიდა. **მარიამ ჭოლაძე** მას ქულით ჩამორჩა და ვერცხლი ხვდა. 6 ქულით მესამე ადგილი **ადა კაკუტიამ** დაიკავა. ხომერიკი წლეულს მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრება, ჭოლაძე კი ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრება.

**ვაჟა დანელია**

# დაზავება არჩიეს

ინდოეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალზე შვიდი ტურის შემდეგ 5 მოჭადრაკეს 6-6, ხოლო რვა მონაწილეს 5,5-5,5 ქულა ჰქონდა. ლიდერთა უმრავლესობამ მწვავე ბრძოლას თავი აარიდა და 7-დან 5 პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: **მიხეილ მჭედლიშვილი-მაგეშ ჩანდრან პანჩანადანი** (ინდოეთი), ებჯით გუფთა (ინდოეთი)-საჰაჯ გროვერი (ინდოეთი), სტანი (ინდოეთი)-ზიაურ რაჰმანი (ბანგლადეში), ლაქსმანი (ინდოეთი)-ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი), კარდიკეინი (ინდოეთი)-ვენკატეში (ინდოეთი). სერგეი კასპაროვმა (ბელარუსი) დეიკუმარს (ინდოეთი) აჯობა, ალექსეი ალექსანდროვმა (ბელარუსი) კი ბუვანეში დაამარცხა.

რვა ტურის შემდეგ 6 მოჭადრაკეს (სტანი, გუფთა, პანჩანადანი, მჭედლიშვილი, კასპაროვი, გროვერი) 6,5-6,5 ქულა აქვს. დღეს მე-9 ტურში მჭედლიშვილი 16 წლის საერთაშორისო ოსტატ გროვერს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

● ძიუდო. ინტერვიუ ირაკლი ცირეკიძესთან



# ირაკლი ცირეკიძე: მავარჯიშეთ!

## მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს სპორტიდან ასე წასვლა ვერ წარმოუდგენია

მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100) კიდევ ერთხელ გაეხვია უსიამოვნო ამბავში - ბაქოს „დიდი პრიზიდან" დაბრუნებული სპორტსმენი ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელობას ორიოდე დღით დაეთხოვა და ქუთაისში წავიდა პირადი პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ დათქმულ დროს არათუ დაბრუნდა, საერთოდ არავის დაკავშირებია და ერთი შეკრებაც ჩააგდო. შედეგად, ვერც მოსკოვში იჭიდავა „დიდ მუზარადზე", მაშინ მას ფიზიკურად ვერსად მიაგნეს, თუმცა რომც გამოჩენილიყო, საეჭვოა ნაკრების ავსტრიელ მთავარ მწვრთნელ **პეტერ ზაიზენბახერს** ტურნირზე წაეყვანა - დისციპლინის მკაცრი დამცველი ევროპელი რეჟიმის დარღვევისთვის ისე შემოსწყრა ყველაზე ტიტულოვან შეგირდს, რომ მსოფლიოს პირველობისთვის გუნდთან ერთად მზადება აუკრძალა. თუმცა ბოლომდე მაინც არ გასწირა და გარკვეული შეღავათებიც გაუწია - არც დისკვალიფიკაცია მოუთხოვია და მსოფლიოზე მოხვედრის შანსიც დაუტოვა. ინდივიდუალურად ივარჯიშოს და თუ ფორმაში იქნება, მსოფლიოს პირველობაზეც წავიყვანო, განაცხადა მწვრთნელმა.

ფედერაციის, ნაკრებისა თუ ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელთა დარად, ცირეკიძეს იმ დღეებში ვერც ჩვენ დავუკავშირდით, გუშინ კი მასთან ინტერვიუ ჩავიწერეთ...

**- რას ფიქრობთ კარიერის გაგრძელებაზე, რა გაქვთ გადაწყვეტილი?**

- ჩემთვის ეს ცოტა მძიმე თემაა სასაუბროდ... ცხადია, მე კი მინდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული, თვითონ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს, მოითხოვს თუ არა სანქციას.

**- მაგრამ მან ხომ მოგცათ ვარჯიშის გაგრძლების და ნაკრებში მოხვედრის შანსი? არც სანქცია მოუთხოვია, რაც ნიშნავს, რომ თქვენი ნაკრებში დაბრუნების წინააღმდეგი არაა.**

- ეს კია, მაგრამ მე მინდოდა ნაკრებთან და ბიჭებთან ერთად შეკრებაზე მომზადება და არა ინდივიდუალურად. ცალკე ვარჯიში ბევრად უფრო რთულია და ამხელა პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვერ ავიღებ.

**- თუ თქვენ ამის სურვილი გამოთქვით, როგორ მიგაჩნიათ - რატომ არ დაგთანხმდათ ზაიზენბახერი შეკრებაზე წაყვანაზე?**

- მიზეზად დისციპლინის დარღვევა დაასახელა, როცა რამდენიმე დღით სახლში დავბრუნდი.

**- ის შეკრება ხომ გააცდინეთ, რატომ არ ჩახვედით სავარჯიშოდ?**

- ყველამ იცოდა, რომ რამდენიმე დღით დავბრუნდი სახლში - მე თვითონ ვითხოვე გათავისუფლება. ოჯახი მყავს და ამის გარდა იყო რაღაც საქმეები მოსაგვარებელი. ამიტომ ვითხოვე რამდენიმე დღე. მერე ითქვა, თითქოს ვერ მიკავშირდებოდნენ, მაგრამ მეორე ტელეფონი ჩართული მქონდა, მისი ნომერი კი ყველამ იცოდა. ფედერაციიდან გოგოები ჩვეულებრივ მირეკავდნენ და საბუთებიც გავაგზავნე ვიზებისთვის. ასე რომ, გაუჩინარებული არ ვყოფილვარ.

**- თქვენ თვითონ რატომ არ დაუკავშირდით ხელმძღვანელობას, როცა შეთანხმებულ ვადას გადააცილეთ და შეკრებაზე არ ჩადიოდით?**

- არ მეგონა, ეს ამბავი ამხელა აჟიოტაჟს თუ გამოიწვევდა. ვარჯიში რომ მინდა, ეს ფაქტია - თებერვალში განვაახლე, ნაკრებშიც ვიყავი და ამხელა შესვენების შემდეგ რაღაც შედეგებიც მქონდა. გულმოდგინედაც ვვარჯიშობდი და არც დისციპლინას ვარღვევდი, ახლა კი იმ რამდენიმე დღემ თავდაყირა დააყენა ყველაფერი.

**- გაურკვევლობაც ყველაზე მეტად მაგან გამოიწვია - ამბობდნენ, რომ სპორტში დაბრუნების შემდეგ მეორე სუნთქვა გაგეხსნათ და მართლა გულმოდგინედ, რეჟიმის სრული დაცვით ვარჯიშობდით, უცებ კი ასეთი რამე მოხდა... ნებით თუ უნებლიედ, ფაქტია, რომ დისციპლინა დაარღვიეთ, რაც ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა იმ მონდომების ფონზე...**

» მე-11 გვერდზე

● მილოცვა

# გივი მძელური 80 წლისაა

დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს ვულოცავთ ქართული სპორტის ერთგულ მსახურს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, ბატონ **გივი მძელურს.**

ბატონო გივი, დიდია თქვენი დამსახურება საქართველოში სტუდენტური სპორტის და, საერთოდ, სპორტის განვითარებაში. თქვენ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდით ახალგაზრდობას, რომელიც თაობათა შორის ურღვევი კავშირის მუდმივად მქადაგებელი და პრაქტიკულად განმხორციელებელი იყო, რომელიც ყოველთვის იძლეოდა მამულიშვილობის, მიმტევებლობის, კეთილშობილების, გაჭირვებაში მხარში მდგომის სანიმუშო მაგალითს.

ჩვენო გივი, უკვე დიდი ხანია ერთგულ მეგობრად გვეგულები. შენ სხვაგვარად არც შეგიძლია. არ იდარდო, 80 წელი არც ისე დიდია ცხოვრებისათვის. უამრავი სიკეთისა და სითბო-სიყვარულის მთესავს წინ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, საქვეყნოდ ცნობილი სპორტის მოღვაწეები:

**ვახტანგ ბალავაძე, რობერტ შავლაყაძე, რომან რურუა, ლევან თედიაშვილი, გურამ საღარაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, ვლადიმერ კანკავა, ვლადიმერ გოიაშვილი, იროდი ბეჟაშვილი, დავით კვინიკაძე, ამირან ზუხბაია, თემურ აფხაზავა, მიხეილ სალაძე.**



## ქართული სპორტი

« მე-10 გვერდიდან

- თავის მართლებასავით გამომდის, მაგრამ რომ არ მინდოდეს, ხომ არ გავაგრძელებდი ვარჯიშს? უბრალოდ, იყო ის რამდენიმე დღე, რომელმაც ასეთი ამბავი გამოიწვია. კარიერაში ყოველთვის მქონდა პერიოდი, როცა ცოტა ხნით დასვენება, ამოსუნთქვა შემეძლო. აქეთ ევროპის ჩემპიონატი ჩავატარეთ, იქით - შეკრებები... ამას ემატება ოჯახი, საიდანაც სულ წამოსული ხარ და ადამიანს ცოტა დასვენება გჭირდება. ჩემთვისაც ასე იყო ის რამდენიმე დღე.

**- აქედან გამომდინარე, ხომ არაა შეუსაბამობა თქვენსა და ნაკრების თავკაც პეტერ ზაიზენბახერის სავარჯიშო გრაფიკს შორის? მან თქვა კიდეც, ცირეკიძეს ხშირად უჩნდებოდა კითხვები ჩემს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და თუ ჩემი გეგმა არ მოსწონს, ცალკე ივარჯიშოსო.**

- არა, არავითარი შეუთანხმებლობა არ ყოფილა და ვერ ვხვდები, ამის თქმა რაში დასჭირდა! რასაც მავალებდა, ყველაფერს ვაკეთებდი. ტრავმა თუ მქონდა და ამ მიზეზით ვერ ვივარჯიშებდი, ეს თუ იქნებოდა, თორემ სხვა მიზეზი არ ყოფილა.

**- შექმნილ ვითარებაში, როცა ასეთი სტატუს-ქვო ჩამოყალიბდა, რას აპირებთ და როგორ წარმოგიდგენიათ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება?**

- არ ვიცი, ზუსტად რა გიპასუხოთ... სპორტიდან ასე წასვლა ვერ წარმომიდგენია, ამაზე ვერც ვფიქრობ და ძალიან რთულ მდგომარეობაში ვარ. იქნებ მოხდეს ისე, რომ ვარჯიში ჩვეულ სტილში, ნაკრებთან ერთად გავაგრძელო - მარტო მომზადება გამიჭირდება და ძალიან ძნელიც იქნება.

**- ამის თაობაზე თუ მიმართეთ ნაკრების, ფედერაციის, ქართული სპორტის ხელმძღვანელობას?**

- რამდენადაც ვიცი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი უცხოეთშია წასული. როცა დაბრუნდება, იმედია, კიდევ ერთხელ შევიკრიბებით და იქნებ შევთანხმდეთ, რომ ძველებურად გავაგრძელო ვარჯიში ნაკრებთან.

**- გუნდი საკმაოდ ხანგრძლივად - თვე-ნახევრით მიდის იაპონიაში, შეკრებაზე? ვთქვათ და წაგიყვანათ ზაიზენბახერმა, ხართ კი მზად, ასე ხანგრძლივად მოშორდეთ ოჯახს და იქ ჩვეულად ივარჯიშოთ?**

- ცხადია, მზად ვარ. იაპონიაში ადრეც ხომ ვიყავით ასევე ხანგრძლივი პერიოდით და როგორც მაშინ ვივარჯიშე, ისე ვიმუშავებ ახლაც.

**- მოკლედ, როგორც ამბობთ, სპორტში დარჩენა გსურთ და საამისო სტიმულიც გაქვთ...**

- კიდევ ერთხელ ვიმეორებ - სპორტიდან ასე წასვლა ვერ წარმომიდგენია. თავსაც ვატყობ, ჯერ კიდევ შემიძლია რაღაცის გაკეთება. ამდენი მივარჯიშია და ჩემი თავისაც მჯერა, სურვილიც მიჩნდება, კიდევ მოვიპოვო წარმატებები.

**- ალბათ, ევროპის ჩემპიონატმა და იქ მოპოვებულმა ბრინჯაოს მედალმა დამატებითი სტიმული მოგცათ - ირწმუნებდით, რომ ახალ წონაშიც შეგიძლიათ დიდი შედეგების მიღწევა?**

- მართალია, მაგრამ ევროპაზე უფრო მეტიც შეიძლებოდა. ეს უტოპია არ იყო, მაგრამ პატარ-პატარა ხარვეზების გამო უკეთეს შედეგს ვერ მივაღწიე. ვფიქრობ, ფიზიკური მომზადება მაკლდა, თორემ სუნთქვა და გამძლეობა რიგზე იყო. 90 კილოგრამში ფიზმომზადების პრობლემა არ მქონია, მაგრამ აქ სხვა დატვირთვებია, სხვა მოთხოვნები.

**- დასასრულს მაინც მინდა იმავე თემას დავუბრუნდე - გაქვთ იმედი, რომ ზაიზენბახერი გადაწყვეტილებას შეიცვლის?**

- ვიმედოვნებ, შეიცვლის. თხოვნით იქნება თუ რა ფორმით, ალბათ, მაინც მომცემს ნაკრებთან ერთად ვარჯიშის საშუალებას.

**- მაგრამ საამისოდ თქვენც მყარი გარანტია უნდა მისცეთ, რომ მის გეგმას არ დაარღვევთ და სრული დატვირთვით ივარჯიშებთ. ის სწორედ ამას ამბობს - იაპონიაში კი წავიყვან, მაგრამ ვაიდა, არ ივარჯიშოსო...**

- ხომ ვიყავით იაპონიაში და ხომ ვივარჯიშეთ სრული დატვირთვით? მაშინ თვითონაც აღნიშნავდა, რომ კმაყოფილი დარჩა ჩვენი მუშაობით და ახლა რა უნდა შეიცვალოს? მე მზად ვარ, მისი დავალებები სრულყოფილად შევასრულო.

### კომენტარი

**შეკრების გაცდენა რომ დისციპლინის დარღვევაა, ამაზე არც ჩვენ ვკამათობთ და არც – თვითონ ცირეკიძე; ისიც უდაოა, რომ ნაკრებში წესრიგი უმთავრესი უნდა იყოს, თუმცა იქნებ ის მოსაზრებაც მართალია, რომ ადამიანი მანქანა არაა და ცოტა სულის მოთქმა სჭირდება. აუცილებლად შემახსენებენ უცხოელთა მაგალითს, რომლებიც თვიდან თვემდე შეკრებებზე არიან და წლიდან წლამდე შეუჩერებლად ვარჯიშობენ, რასაც ჩვენც დავეთანხმებით მცირეოდენი შესწორებით - ისინი ამას ბავშვობიდან ეჩვევიან, ჩვენები კი მსგავს რეჟიმში მუშაობას ახლა იწყებენ. ამიტომ იქნებ ჯობდეს ცოტა შეღავათები? ამასთან დაკავშირებით ზაიზენბახერის პოზიცია ასეთია - ერთს რომ გავუწიო შეღავათი, სხვაც მოითხოვსო. ფედერაციაში კონკრეტული გვარებიც დაგვისახელეს, რომლებიც ასევე ითხოვენ შინ რამდენიმე დღით გაშვებას. ვეთანხმებით იმ მოსაზრებასაც, რომ მართლაც არ შეიძლება, ყველა თავის ნებაზე დადიოდეს. პირიქით - მკაცრ დისციპლინას ვემხრობით, მაგრამ აქ მარადიულ დილემას მივადექით - „დესპოტობა" ჯობია თუ დიპლომატია და ჰუმანური მიდგომა? ყველა მწვრთნელს თავისი მეთოდი აქვს - მსოფლიოს სპორტმა უამრავი მაგალითი იცის, როცა დამრიგებლებს სიმკაცრითაც მიუღწევიათ წარმატებისთვის და „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი" მიდგომითაც. ასეა თუ ისე, ცირეკიძის ამ სიტყვებზე ის გაგვახსენდა, რომ შოთა ხაბარელი მასაც და სხვებსაც პერიოდულად აძლევდა სულის მოთქმის საშუალებას, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ შედეგები არ იყო... მუნჯის ენა დედამ იცისო და რამდენი სპორტსმენიცაა, იმდენი პიროვნება, იმდენი ხასიათია, მწვრთნელი კი მოვალეა, ყველას მოარგოს გასაღები. სულაც არ გვინდა, ვინმემ ზაიზენბახერის მოწინააღმდეგედ მიგვიჩნიოს, მაგრამ მისი ერთხაზოვანი მიდგომა, ცოტა არ იყოს და, საჭოჭმანოდ გვეჩვენება. ის ცდილობს, ყველა საერთო ჩარჩოში ჩასვას, როგორც ჯარისკაცები და ინდივიდუალურ მიდგომებს გამორიცხავს. საეჭვოდ სწორედ ასეთი მიდგომა მიგვაჩნია - იქნებ „ამოსუნთქვამ" უკეთესი შედეგი მოგვცეს, ხოლო რაც შეეხება სხვებისგან შეღავათების მოთხოვნას და ცუდი მაგალითის გადამდებ ეფექტს, ვფიქრობთ, ეს პრობლემაც სწორი და პრინციპული მიდგომის შემთხვევაში მოგვარებადია. ვიმეორებთ - წესრიგის მომხრე ვართ დ არც ცირეკიძეს ვამართლებთ შეკრების გაცდენისთვის, მაგრამ იქნებ რაღაც შუალედის გამოძებნა ჯობდეს და საჭირო ხალხი ნაკრებიდან ასე ხელაღებით არ მოვიშოროთ? მით უფრო, უცხოელებისგან განსხვავებით საკადრო არჩევანში მეტისმეტად შეზღუდულები ვართ და ასე დასაკარგი ხალხი არ გვყავს, იმათ კი ყველა წონაში რამდენიმე ძლიერი კადრი მოეპოვებათ. თუ ჩვენც მივაღწევთ იმ დონეს, რომ ახალგაზრდული და ბავშვთა სპორტი კადრების ასეთ კონვეიერად ვაქციოთ ანუ გავზარდოთ კონკურენცია, მაშინ ეს პრობლემა აქაც მოიხსნება, მანამ კი, ვიდრე ამის საშუალება არაა და ბეწვის ხიდზე გვიწევს სიარული, ჩვენი ამოცანა ზუსტი ნაბიჯების გადადგმაა, რათა შედეგიანად გავიაროთ და არ გადავვარდეთ. ზაიზენბახერის ხელში რამდენიმე ძიუდოისტის გამოლევიძება უკვე ვიხილეთ, მაგრამ საწინააღმდეგო მაგალითებიც გვაქვს ანუ გადაღლა-გადაწვის საშიშროებაც რეალურია. აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა - არის კი საშუალება, რომ ბეწვის ხიდი ავიცილოთ და ნორმალური გზით ვიაროთ?**

**ირაკლი თავაძე**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად




1964 წელი. ინსბრუკი, ავსტრია
ზამთრის IX ოლიმპიური
თამაშების ემბლემა და მედალი

### თარიღი. 4 - 10 ივნისი

**4. 06. 1938 წ.** მარსელში (საფრანგეთი) სტარტი აიღო ფეხბურთში მსოფლიოს მესამე ჩემპიონატმა.

**5. 06. 1968 წ.** ნეაპოლში (იტალია) გაიხსნა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

**08. 06. 1958 წ.** სტოკჰოლმში გაიხსნა ფეხბურთში მსოფლიოს VI ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

**08. 06. 1959 წ.** სსრკ ჩემპიონატში გავიდა მეათასე გოლი.

**08. 06. 1968 წ.** ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალი: იტალია-იუგოსლავია (1:1). გადათამაშება მოიგეს იტალიელებმა.

**9. 06. 1909 წ.** ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის გადაწყვეტილებით, მეკარეებს სხვა მოთამაშეებისგან განსხვავებული შეფერილობის მაისურა უნდა ჩაეცვათ.

**10. 06. 1984 წ.** პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე გაიხსნა ფეხბურთში ევროპის VII ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

**10. 06. 1988 წ.** დიუსელდორფში დაიწყო ფეხბურთში ევროპის VIII ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი.

### პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** შეჯიბრება სპორტულ ცურვაში ჩატარდა 1515 წელს ვენეციაში.

■ ■ ■

**პირველმა** კრივის სრულყოფილი წესები (1867 წელს) შეიმუშავა ინგლისელმა ჟურნალისტმა **ჯონ გრემ ჩემბერსმა.**

■ ■ ■

**პირველად** 1875 წლის 17 მაისს ჩატარდა კენტუკის საცხენოსნო დერბი, რომელიც **ოლივერ ლუისმა** მოიგო.

### ფსიქოლოგი ფეოლამ მოიგონა

**პირველად** ფსიქოლოგი საფეხბურთო გუნდში გამოჩნდა 1958 წელს ბრაზილიის ნაკრებში მთავარი მწვრთნელის **ვისონტე ფეოლას** პრინციპული მოთხოვნით. მანვე აიყვანა ნაკრებში სტომატოლოგი, რადგან ღარიბული წარმოშობიდან გამომდინარე ბევრ ფეხბურთელს ჰქონდა დენტალური პრობლემები, რაც გამოწვეული იყო ინფექციით და უარყოფითად მოქმედებდა ფეხბურთელებზე. ფეოლას ევროპაშიც ჰყავდა წარმომადგენელი, რომელიც ჩემპიონატამდე ერთი წლის განმავლობაში აკვირდებოდა ბრაზილიის მომავალ მეტოქე გუნდების თამაშს.

### ცნობილთა აზრით...

„ზოგი მიიჩნევს, რომ ფეხბურთი ფიზიკურ მომზადებაზეა დაფუძნებული (ძალა პლუს სისწრაფე), დანარჩენები ფიქრობენ, რომ მთავარია ფეხების მოქნილობა (ტექნიკა). ჩემი აზრით კი, ფეხბურთი იწყება თავიდან (ინტელექტი) და დამამტკიცებელი საბუთიც აქვე მაქვს: **ზინედინ ზიდანი.** ეს არის ფეხბურთელი, რომელიც სიტუაციიდან გამომდინარე, ავლენს ან ლოგიკურ ინტელექტს, ანაც ნოვაციურ ინტელექტს. პირველი მას აქცევს კონსტრუქტორად, მეორე — არქიტექტორად."

**ხორხე ვალდანო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ღვთისავარ ანთაძის კუთხე

## ფეხბურთი ახლო ხედით
## მოედნიდან გასვლა და შემოსვლა

ფეხბურთელს უფლება აქვს მოედანი დატოვოს მხოლოდ მსაჯის ნებართვით. გამონაკლის შემთხვევად ითვლება ტრავმის გამო მოედნიდან გასვლა.

თვითნებურად, მსაჯის დაუკითხავად, მოედნის დატოვება არასპორტული საქციელია. ამიტომ, ფეხბურთელს, რომელიც ასეთ საქციელს ჩაიდენს, მოედანზე დაბრუნებისთანავე მსაჯმა გაფრთხილება უნდა მისცეს. თუკი მსაჯს მიაჩნია, რომ ასეთი საქციელი მეტისმეტად უხეშია და საგანგებოდ არის ჩადენილი, მას შეუძლია ამ ფეხბურთელს მოედანზე თამაშის ნება არ დართოს. თუკი ფეხბურთელმა შემთხვევით დატოვა მოედნის ფარგლები და სწრაფადვე დაბრუნდა უკან, მსაჯმა ამაზე რეაგირება არ უნდა მოახდინოს.

სათადარიგო ფეხბურთელს თამაშში ჩართვის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თამაში შეჩერებულია და მსაჯმა შეამოწმა მისი ჩაცმულობა, აგრეთვე მატჩის განაცხადით დამტკიცებული სათადარიგო მოთამაშის ვინაობა. მოთამაშეს, რომელსაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, შეუძლია მოედანს დაუბრუნდეს ნებისმიერ დროს, თუნდაც თამაში მიმდინარეობდეს, მაგრამ მსაჯის ნებართვა მაინც აუცილებელია.

### თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 2-0 | 7 | I |
| B | | ■ | | | | | | | 6-1 | 5 | II |
| C | | | ■ | | | | | | 2-3 | 2 | III |
| D | | | | ■ | | | | | 1-7 | 1 | IV |

#### წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 0:0 | 2:1 | 2:1 | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 | I |
| B | 0:0 | ■ | 1:0 | 1:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 | II |
| C | 1:2 | 0:1 | ■ | 1:0 | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 | III |
| D | 1:2 | 0:1 | 0:1 | ■ | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 | IV |

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის პროექტით**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. "მილანის" კაპიტანი; 4. გამოჩენილი კანადელი ჰოკეისტი ფილ ...; 8. სომხური წარმოშობის არგენტინელი ჩოგბურთელი; 10. რაგბიში ბურთის ხაზზე გათამაშება; 11. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი; 13. საჭიდაო ხალიჩა; 14. გროზნოს "ტერეკის" ქართველი ნახევარმცველი; 15. პარტიის ნაწილი ჩოგბურთში; 16. ლეგენდარული შვედი მოთხილამურე ... სვანი; 19. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების პირველი მწვრთნელი; 22. შოტლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი; 25. ტრეკზე მსოფლიოს რეკორდსმენი ქართველი ველობრბოლი; 27. "მანჩესტერ იუნაიტედის" სტადიონი ... ტრაფორდი; 28. სპორტნაწარმის ცნობილი კომპანია; 29. წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ... ტიგანა; 30. კრივის მეფე, მუჰამედ ... ; 31. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი; 32. "მილანის" ვეტერანი თავდამსხმელი.

**შვეულად:** 1. გერმანიის საფეხბურთო ლიგის უმაღლესი დივიზიონი; 2. ლონდონის საფეხბურთო კლუბი; 3. წარსულში ცნობილი ფრანგი შავკანიანი ჩოგბურთელი; 5. საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 6. საბერძნეთის 2011 წლის ჩემპიონი ფეხბურთში; 7. გამოჩენილი რუსი მწვრთნელი ფიგურულ სრიალში; 9. შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი; 12. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი და მწვრთნელი; 17. ჰოლანდიელი ფეხბურთელი, "ჰამბურგის" თავდამსხმელი; 18. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 20. "ინტერის" ბრაზილიელი მცველი; 21. წარსულში ცნობილი ჩეხი ჩოგბურთელი ქალი; 23. ალპინისტის ფეხსაცმელი; 24. იტალიის "ბ" სერიის საფეხბურთო კლუბი; 26. რუსეთის პირველი ჩოგანი მამაკაცთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

**სეზონის ნომინანტები**

# მეოთხედ მწვერვალზე

- *კოტე ტულუში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად მეოთხედ დასახელდა. ეს მის მაღალ კლასზე მიუთითებს. კოტემ "არმიას" წინსვლაში დიდი წვლილი შეიტანა. გადამწყვეტ მომენტში, ყოველთვის, როცა გუნდს დასჭირდა, ტულუში მონოდების სიმაღლეზე იყო. მან საუკეთესოდ აღიარება დაიმსახურა, - გვითხრა გუშინ "არმიას" თავკაცმა* **ლევან მოსეშვილმა.**

ამ სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს, როგორ ითამაშა კოტე ტულუშმა განვლილ სეზონში. თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს, საქმე ასარჩევად იყო - არაერთი კალათბურთელი იმსახურებდა აღიარებასო...

დღეს სტატისტიკურ მონაცემებს გავეცნოთ, მომდევნო ნომერში კი ტულუშის ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

### საუკეთესო კალათბურთელი

| | ქულა |
|---|---|
| 1. კოტე ტულუში (არმია) | 47 |
| 2. ბუბა კვიმსაძე (ქუთაისი) | 15 |
| 3. ლაშა ფარლალავა (სოხუმი) | 13 |
| 4-5. გიორგი შარაბიძე (არმია) | 10 |
| 4-5. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 10 |
| 6-7. დავით საყვარელიძე (არმია) | 9 |
| 6-7. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) | 9 |
| 8. გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ) | 7 |
| 9-10. ბექა ჩიკვილაძე (სტუ) | 5 |
| 9-10. ბესიკ ლეჟავა (შსს) | 5 |
| 11. ზვიად ბაბიაშვილი (არმია) | 4 |
| 12-13. ილია ლონდარიძე (თსუ) | 3 |
| 12-13. ჯეფ როჯერსი (სამედიცინო) | 3 |
| 14-16. ანატოლი ბოისა (არმია) | 2 |
| 14-16. დუდა სანაძე (ბათუმი) | 2 |
| 14-16. იუჯინ ჰარისი (სოხუმი) | 2 |
| 17-18. ბუბა ბერიშვილი (არმია) | 1 |
| 17-18. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 1 |

### ჩვენი გაზეთის გამოკითხვის ყველა გამარჯვებული

| | |
|---|---|
| 2003 | გიორგი ცინცაძე (ბასკო) |
| 2004 | დავით ბერძენიშვილი (ბასკო) |
| 2005 | გიორგი მარკოიშვილი (სტუ) |
| 2006 | კოტე ტულუში (ავიამშენი) |
| 2007 | კოტე ტულუში (ენერჯი) |
| 2008 | კოტე ტულუში (ენერჯი) |
| 2009 | ლაშა გამყრელიძე (ენერჯი) |
| 2010 | ზვიად ბაბიაშვილი (ენერჯი) |
| 2011 | კოტე ტულუში (ენერჯი) |

### გამთამაშებელი (№1)

| | ხმა |
|---|---|
| 1. კოტე ტულუში (არმია) | 13 |
| 2. გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ) | 4 |
| 3. ჯეფ როჯერსი (სამედიცინო) | 3 |
| 4-6. ბექა წივწივაძე (შსს) | 1 |
| 4-6. იუჯინ ჰარისი (სოხუმი) | 1 |
| 4-6. თემურ ბაბუნაშვილი (ქუთაისი) | 1 |



ბუბა კვიმსაძე

### მსროლელი (№2)

| | ხმა |
|---|---|
| 1. ბუბა კვიმსაძე (ქუთაისი) | 10 |
| 2. ლაშა ფარლალავა (სოხუმი) | 5 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე (სტუ) | 4 |
| 4-7. ანატოლი ბოისა (არმია) | 1 |
| 4-7. ბესიკ ლეჟავა (შსს) | 1 |
| 4-7. დუდა სანაძე (ბათუმი) | 1 |
| 4-7. ბუბა ბერიშვილი (არმია) | 1 |

### მსუბუქი ფორვარდი (№3)

| | ხმა |
|---|---|
| 1. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) | 11 |
| 2. დავით საყვარელიძე (არმია) | 6 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 4 |
| 4. გიგი ბარბაქაძე (ქუთაისი) | 2 |

### მძიმე ფორვარდი (№4)

| | ხმა |
|---|---|
| 1. ილია ლონდარიძე (თსუ) | 9 |
| 2. ზვიად ბაბიაშვილი (არმია) | 7 |
| 3. რიჩარდ დამუსი (სოხუმი) | 3 |
| 4. რეზო დიდია (ქუთაისი) | 2 |

### ცენტრი (№5)

| | ხმა |
|---|---|
| 1. გიორგი შარაბიძე (არმია) | 9 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 7 |
| 3. აკაკი დვალიშვილი (სამედიცინო) | 4 |
| 4-5. კარლ დამუსი (სოხუმი) | 1 |
| 4-5. ჟულივეტ ტუჯანი (შსს) | 1 |

### მწვრთნელი

| | ხმა |
|---|---|
| 1-2. ლევან მოსეშვილი (არმია) | 6 |
| 1-2. ნუგზარ ჭეიშვილი (თსუ) | 6 |
| 3. ზურაბ ტომარაძე (სტუ) | 3 |
| 4-5. მალხაზ კოხრეიძე (ქუთაისი) | 2 |
| 4-5. აინარს ბაგაცკისი (სოხუმი) | 2 |
| 6. დავით უსტიაშვილი (შსს) | 1 |

### სეზონის აღმოჩენა

| | ხმა |
|---|---|
| 1. ილია ლონდარიძე (თსუ) | 9 |
| 2. გიორგი შარაბიძე (არმია) | 5 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე (სტუ) | 4 |
| 4-7. ლაშა ფარლალავა (სოხუმი) | 1 |
| 4-7. დუდა სანაძე (ბათუმი) | 1 |
| 4-7. თემურ ბაბუნაშვილი (ქუთაისი) | 1 |
| 4-7. ირაკლი ჩლაიძე (სოხუმი) | 1 |

### ლეგიონერი

| | ხმა |
|---|---|
| 1-2. ჯეფ როჯერსი (სამედიცინო) | 5 |
| 1-2. რიჩარდ დამუსი (სოხუმი) | 5 |
| 3. კარლ დამუსი (სოხუმი) | 4 |
| 4-5. იუჯინ ჰარისი (სოხუმი) | 3 |
| 4-5. ჟულივეტ ტუჯანი (შსს) | 3 |
| 6. სამუელ ლამუ (ენერჯი) | 1 |



ილია ლონდარიძე



უტევს კოტე ტულუში

### დოსიე
### კოტე ტულუში

დაიბადა: 03.06.1983
სიმაღლე: 191 სმ.
წონა: 90კგ.

**კარიერა**

| | |
|---|---|
| 1996-99 | ვითა |
| 1999-00 | სტუ |
| 2000-02 | სლოვანი (სლოვენია) |
| 2002-03 | სტუ |
| 2003-04 | დინამო |
| 2004-05 | თეგა (ირანი) |
| 2005-06 | გოლგოჰარი (ირანი) |
| 2006 | ავიამშენი |
| 2006-07 | ენერჯი |
| 2007-08 | ავიამშენი |
| 2008-10 | ენერჯი |
| 2010-11 | არმია |

### ვინ ვის?

| მწვრთნელები | I | II | III |
|---|---|---|---|
| ლევან მოსეშვილი (არმია) | ტულუში | საყვარელიძე | შარაბიძე |
| ნუგზარ ჭეიშვილი (თსუ) | გაფრინდაშვილი | მათიაშვილი | ბაბიაშვილი |
| მალხაზ კოხრეიძე (ქუთაისი) | შარაბიძე | ტულუში | მ. ბერიშვილი |
| ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი) | ფარლალავა | ტულუში | ბ. ბერიშვილი |
| დავით უსტიაშვილი (შსს) | ტულუში | ლეჟავა | ლონდარიძე |
| ნუგზარ კანდელაკი (სამედიცინო) | კვიმსაძე | საყვარელიძე | ფარლალავა |
| ზურაბ ტომარაძე (სტუ) | საყვარელიძე | ჩიკვილაძე | ლონდარიძე |
| მიხეილ ბერუაშვილი (ენერჯი) | ტულუში | საყვარელიძე | კვიმსაძე |
| მიხეილ კობეშავიძე (ბათუმი) | მ. ბერიშვილი | სანაძე | კვიმსაძე |
| გია კაზანჯიანი (აგრარული) | მ. ბერიშვილი | კვიმსაძე | შარაბიძე |
| დავით თორთლაძე (დინამო) | როჯერსი | ჰარისი | შარაბიძე |

| ჟურნალისტები | I | II | III |
|---|---|---|---|
| ჯამლეტ ხუხაშვილი (ჯაკო) | ტულუში | ფარლალავა | შარაბიძე |
| როლანდ ლაბუჩიძე (მსოფ. სპორტი) | ტულუში | კვიმსაძე | ლონდარიძე |
| გოჩა კაჭარავა (მსოფ. სპორტი) | ბაბიაშვილი | კვიმსაძე | ლეჟავა |
| დავით ჭელიძე (კალათბურთი+) | ტულუში | კვიმსაძე | მათიაშვილი |
| ალეკო კაკაურიძე (ოლიმპი) | ტულუში | ფარლალავა | მათიაშვილი |
| გია პლატონიშვილი (საქ. რესპუბლიკა) | ტულუში | ბოისა | ფანჩულიძე |
| ლექსო მაისურაძე (msy.gov.ge) | ტულუში | მათიაშვილი | ფარლალავა |
| გიორგი ჭანიშვილი (სპორტის სამინ.) | ტულუში | გაფრინდაშვილი | ფარლალავა |
| იაგო სავანელი (იმედი) | ტულუში | შარაბიძე | ფარლალავა |
| მიხეილ ჟორჟოლიანი (ახალი თაობა) | ტულუში | მათიაშვილი | კვიმსაძე |
| ნინო გაბელია (I არხი) | ფარლალავა | ლეჟავა | ტულუში |
| კახა გელაშვილი (რადიო იმედი) | ჩიკვილაძე | მ. ბერიშვილი | შარაბიძე |
| გიორგი გულბანი (რეალ TV) | ტულუში | გაფრინდაშვილი | ბაბიაშვილი |
| ვაჟა სიმონიშვილი (ლელო) | ტულუში | მათიაშვილი | კვიმსაძე |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# გორგოძე დუსოტუარის წინააღმდეგ

## ოთხი ქართველის ერთი შანსი




დღეს თბილისის დროით 23 საათზე ქართველი მორაგბეების, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე" საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში ამ ქვეყნის რაგბის გრანდს „ტულუზს" დაუპირისპირდება.

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ქართველი მორაგბეები 12 წელინადზე მეტია ასპარეზობენ. ჩემპიონის ტიტული კი, მხოლოდ ერთმა „კლერმონის" შერკინების ბურჯმა **დავით ზირაქაშვილმა** მოიპოვა და ისიც შარშან, ზედიზედ მეხუთე მცდელობის შემდეგ.

ამჯერად ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი ერთბაშად ოთხ ქართველ მორაგბეს აქვს. ცხადია, „მონპელიეს", რომელსაც სულ რაღაც 27 წლის ისტორია აქვს და ფინალში პირველად გაალ-ნია, ყველაზე ტიტულოვანი ფრანგული კლუბის დამარცხება ძალიან გაუჭირდება.

„ტულუზმა" საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში ოცდაოთხჯერ ითამაშა და ჩვიდმეტჯერ ქვეყნის საუკეთესო გუნდი გახდა. ამასთან, ტულუზელებმა ოთხჯერ მოიგეს ევროპული, „ჰაინეკენის თასი".

„მონპელიე" ერთხმად შერაცხეს წლევანდელი ჩემპიონატის საოცრებად. გუნდში სეზონის წინ ახალი მწვრთნელები, **ფაბიენ გალტიე** და **ერიკ ბეშუ** მივიდნენ, რომლებმაც დივიზიონში მუდამ ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლი ძველი „მონპელიესგან", ალარაფერი დატოვეს. გუნდი ახლებურად, ლაღად და ბოლომდე თავდადებით ათამაშდა.

მონპელიელთა წარმატებების სულისჩამდგმელი საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი მამუკა გორგოძეა, რომელიც თავისი შეუპოვარი, უკომპრომისო თამაშით თანაგუნდელებსაც საბრძოლო სულისკვეთებით მუხტავს და გამარჯვების რწმენას აძლევს.

ყოველკვირეულმა ფრანგულმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა" პირველ გვერდზე მამუკა გორგოძის ფოტო დაბეჭდა წარწერით, „გორგოძე დუსოტუარის წინააღმდეგ". საფრანგეთის ნაკრების მოთამაშე **ტიერი დუსოტუარი** „ტულუზის" წამყვანი მორაგბეა და, სწორედ მის კარგ თამაშზეა დამოკიდებული ხშირად გუნდის წარმატება.

მონპელიელებს ჯერ კიდევ „მეტრო რასინგთან" ნახევარფინალური მატჩის წინ ფაბიენ გალტიემ ასე მიმართა:

*„ადამიანს შანსი ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა. დაფიქრდით, იქნებ ეს სწორედ ის ერთადერთი შანსია, რომელიც განგებამ მოგცათ. ამიტომ, ყველამ ერთად, მაქსიმუმი გავილოთ წარმატების მისაღწევად".*

პარიზელები, პროგნოზების მიუხედავად, „მონპელიემ" ჩემპიონობისთვის რბოლას გამოთიშა და ახლა მაქსიმალური კონცენტრაცია ფინალური მატჩისთვის მართებს.

საინტერესოა, რომ ტულუზელთა რიგებში არის ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც „მონპელიეს" წაგება გულის სიღრმეში მაინც ეწყინება. ეს არის მესამეხაზელი **ლუი პიკამოლი**, რომლისთვისაც „მონპელიე" მშობლიური გუნდია და აქედან „ტულუზში" სწორედ ამ სეზონის წინ გადავიდა.

სამწუხაროა, მაგრამ შესაძლოა, ტრავმის გამო ვერ ითამაშოს „მონპელიეს" კაპიტანმა და ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშე **ფულენსე უოდრაოგომ.** მისი ფინალში ასპარეზობის საკითხი თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაწყდება.

მატჩის არბიტრი იქნება ჩვენთვის კარგად ნაცნობი **პატრიკ პეშამბერი,** რომელსაც არაერთხელ განუსჯია საქართველოს ნაკრების მატჩები და შარშან ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ფინალიც იმსაჯა.

„მონპელიეს" მეტოქესთან ურთიერთშეხვედრებში უარყოფითი ბალანსი აქვს. 20 შეხვედრიდან ჩვენებურთა გუნდმა მხოლოდ 6 მოიგო, 13 წააგო და ერთში ფრედ ითამაშა. მიმდინარე სეზონში, მონპელიელებმა შინ მინიმალური სხვაობით 22:21 მოიგეს, სტუმრად კი 9:29 დამარცხდნენ.

**ფინალი**

**ტულუზი-მონპელიე**

ზე რაგბი


დან ვერმულენი

# სტორმერზი წითლებს ნამოენია

ზე რაგბის გათამაშების მე-16 ტური C ჯგუფის ლიდერის კეიპთაუნის „სტორმერზისა" და გათამაშების დებიუტანტის, A ჯგუფის ბოლოადგილოსანი „მელბურნ რებლზის" დაპირისპირებით გაიხსნა. კეიპთაუნელებს მიმდინარე გათამაშებაში სულ წაგება აქვთ და სამივე სტუმრად. ამჯერადაც, თითქოს მარცხის საფრთხე რეალური იყო, მაგრამ სამხრეთაფრიკულმა გუნდმა მელბურნში შესანიშნავად ითამაშა და დიდი ანგარიშით მოიგო - 40:3.

„სტორმერზმა", რომელმაც საბოლოო ჯამში მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანა, თამაში თავიდანვე აგრესიულად დაიწყო და პირველი ნახევარი 16:3 მოიგო. მასპინძლები ამჯერადაც ინგლისელი მგეზავის **დენი სიპრიანის** გარეშე ასპარეზობდნენ და თამაში ვერაფრით ააწყვეს.

კეიპთაუნელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო მგეზავი **კინდოლ კოლმენი,** რომელმაც გუნდს 20 ქულა მოუტანა (სამი საჯარიმო, სამი გარდასახვა და ერთი ლელო). შესანიშნავად ითამაშეს და თითო ლელო მიითვალეს სამხრეთ აფრიკის ნაკრების წევრებმა **ჟაკ ფურიმ, იან დე ფილიერსმა** და **ბრაიან ჰაბანამ.**

*„ძალიან კარგი ტურნე გამოგვივიდა. ავსტრალიაში გამართული ოთხი თამაშიდან სამი მოვიგეთ. ვფიქრობ, ეს ურიგო შედეგი არ არის. მიმაჩნია, რომ ნელ-ნელა ჩვენი შეტევითი პოტენციალი იზრდება. ძალიან ბევრ სალელოვე სიტუაციებს ვქმნით, ამასთან გუნდი ტრადიციულად ბრწყინვალედ გაისარჯა დაცვაში თამაშშიც. ახლა შინ ორი უმძიმესი მატჩის გამართვა მოგვიწევს. ერთ-ერთი მეტოქე შარშანდელი ჩემპიონი „ბლუ ბულზია". „ხარებს" პლეი ოფის მიღმა დარჩენის საფრთხე ემუქრებათ, განრისხებული არიან და ამ მდგომარეობაში ისინი ძალზედ სახიფათონი არიან"* - თქვა მატჩის შემდეგ „სტორმერზის" მესამეხაზელმა სხალკ ბურხერმა.

საერთო ჩათვლაში „სტორმერზს", რომელსაც 57 ქულა დაუგროვდა ერთი ქულით მხოლოდ ბრისბენის „რედსი" უსწრებს. „წითლები" მე-16 ტურში შინ ეთამაშებიან თავიანთი, A ჯგუფის მეოთხეადგილოსან კანბერის „ბრამბიზს", რომელსაც 24 ქულა აქვს და სრულიად უმოტივაციოა.

ბრისბენელები ამ მატჩში მოგებით A ჯგუფში პირველ ადგილსაც გაინაღდებენ და პლეი ოფში თამაშის უფლებასაც. აღსანიშნავია, რომ „წითლებს" კანბერელებთან ასეთი უპირატესობა, წლეულს რომ აქვთ, არასდროს ჰქონიათ. მათ პირველ წრეში კანბერაში პირველად დაამარცხეს მეტოქე - 31:25.

„რედსი" მეტოქეს თითქმის საბრძოლო შემადგენლობით დაუპირისპირდება. მწყობრში არიან „წითლების" ვარსკვლავები **ქუადე კუპერი, ვილი გენია, ჯეიმზ ჰორვილი, რობ საიმონსი, ანტონი ფაინგაა და** მისი ძმა **საია ფაინგაა.**

ყველაზე საინტერესო და დაძაბული მატჩი პრეტორიაში გაიმართება, სადაც ადგილობრივი „ბლუ ბულზი" სიდნეის „ვორათაზს" დაუპირისპირდება. „ლურჯ ხარებს", ისევე როგორც სტუმრებს, გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ.

სამხრეთაფრიკელები ამ გამარჯვების შემდეგ, შესაძლოა C ჯგუფში ისევ მესამე ადგილზე დარჩნენ, მაგრამ სამაგიეროდ, საერთო ჩათვლაში „ვორათაზს" გადაასწრებენ და საპლეიოფო ზონაში მოხვდებიან. ცხადია, დარჩენილ ორ ტურში მხოლოდ მათზე იქნება დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლის გაგრძელებას.

ცხადია, ხელდაკრეფილი არც სიდნეელები ისხდებიან, მით უფრო, რომ წლეულს ეს ავსტრალიური გუნდი უწინდელთან შედარებით ბევრად უკეთ ასპარეზობს.

„ლურჯი ხარები" შინ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ. მეორე ხაზში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო დუეტი **ვიქტორ მეტფილდი** და **ბაკის ბოთა** ითამაშებს. კვლავ მრისხანე იქნება პრეტორიელთა უკანა ხაზი: მგეზავი **მორნი სტეინი,** ცხრა ნომერი **ფრანსუა ჰუგარი,** შუამარბები **ვინანდ ულიფიე** და **იაკო პრეტორიუსი.** გარემარბი **აკონა ნდუნგანე** და **ფულბეკი ზან კირხნერი.**

**XVI ტური**

**A ჯგუფი**

მელბურნ რებლზი-სტორმერზი 3:40, რედსი-ბრამბიზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 58 ქულა, 2. ვორათაზი - 46, 3. ფორსი - 32, 4. ბრამბიზი - 24, 5. მელბურნ რებლზი - 23

**B ჯგუფი**

ჰაილენდერზი-ფორსი 14:21, ჰარიკენზი-ლაიონზი, ბლუზი-ჩიფსი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუზი - 54 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 53, 3. ჰაილენდერზი - 45, 4. ჩიფსი - 34, 5. ჰარიკენზი - 34.

**C ჯგუფი**

ბლუ ბულზი-ვორათაზი, ჩიტაზი-ნატალ შარქსი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 57 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 47, 3. ბლუ ბულზი - 45, 4. ჩიტაზი - 34, 5. ლაიონზი - 23.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

მსოფლიო თასი

# მალეტმა 43 დაასახელა

იტალიის ნაკრების სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა **ნიკ მალეტმა** იმ 43 მორაგბის სია გაასცხადა, ვინც ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასისთვის მზადებას მომავალი კვირიდან დაიწყებს.

გაფართოებულ სიაში მოხვდა ტრავმამოშუშებული, ფრანგული „სტად ფრანსეს" მესამეხაზელი **მაურო ბერგამასკო,** რომელიც იმავდროულად იტალიის A ნაკრებშიც მიიწვიეს, რათა ივნისში „ჩერჩილის თასის" გათამაშებაში სათამაშო ფორმა აღიდგინოს. „სკუადრა აძურას" კვართს მოირგებენ ვეტერანები **კეინ რობერტსონი** და **სანტიაგო დელაპე,** რომლებიც მსოფლიო თასის გათამაშების დასრულების შემდეგ სანაკრებო კარიერას ასრულებენ.

**იტალიის ნაკრები**

შერკინება: **ლორენცო ჩიტადინი, ალბერტო დე მარკი, სალვატორე პერუჯინი, ტომაზო დაპიკე, ლეონარდო ჯილარდინი, ფაბიო ონგარო, ანდრეა ლო ჩიჩერო, კარლო ფესტუჩა, მარტინ კასტროჯოვანი, ვალერიო ბერნაბო, ჯოშუა ფურნო, ქვენტინ გელდენჰაუზი, მარკო ბორტოლამი, კარლო ანტონიო დელ ფავა, კორნელიუს ფან ზილი, რობერტო ბარბიერი, მაურო ბერგამასკო, პოლ დერბიშირი, მანოა ვოსავაი, ალესანდრო ძანი, სერჯო პარისე.**

უკანა ხაზი: **პაბლო კანავოზიო, ფაბიო სემენცატო, ედუარდო გორი, როკარდო ბოჩინო, კრისტოფ ბარტონი, ტომაზო ბენვენუტი, გონსალო გარსია, ლუჩანო ორქუერა, გონსალო კანალე, დურანდ გერბერი, დენის მაისტეროვიჩი, ლუკ მაკლინი, ჯილბერტო პავ ანი, მირკო ბერგამასკო, ანდრეა მასი, ანდრეა პრატიკეტი, მატეო პრატიკეტი, მიკელე სეპე, ალბერტო სგარბი, ჯულიო ტონიოლატი, რუჯერო ტრევიზანი.**


სერ ჯო პარისე

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

ჰოკეი

# NHL-ში კბენაც მოსულა

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, სტენლის თასის პირველი მატჩი უსიამოვნო ინციდენტით აღინიშნა. „ვანკუვერისა“ და „ბოსტონის“ დაპირისპირებაში მაყურებელმა უამრავი ჩხუბი და ძალისმიერი ილეთი იხილა, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

ინციდენტი პირველი პერიოდის დასრულებისთანავე მოხდა. „ბოსტონის“ კართან არეულობის შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მასპინძლების ფორვარდი **ალექს ბაროუზი** და „ბრუინზის“ თავდამსხმელი **პატრის ბერჟერონი**. თითქოს რიგითი ჩხუბი იმ დროს უნდა დასრულებულიყო, როცა ჰოკეისტებს შორის მსაჯი ჩადგა, მაგრამ მოულოდნელად ბაროუზმა აკრძალული ილეთი გამოიყენა და... ბერჟერონს საჩვენებელ თითზე უკბინა. „ბოსტონის“ ფორვარდს თავიდან არანაირი რეაგირება არ ჰქონია მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე, მაგრამ შემდეგ მსაჯებისკენ გაემართა საჩივლელად. არბიტრებმა განაცხადეს, რომ კბენის მომენტი არ დაუნახავთ.

*„მართლა მიკბინა! ვკითხე არბიტრს, გააცნობიერა თუ არა მომხდარი და შოკისმომგვრელი პასუხი მივიღე: თურმე მე თავად ჩავტენე თითი პირში ბაროუზს! აღარ გავამახვილებ ამ ინციდენტზე ყურადღებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ლიგამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ეპიზოდს. ხისტი თამაშის წინააღმდეგი არ ვარ, მეტოქეს შეუძლია მუშტებიც იქნიოს, მაგრამ კბენა მეტისმეტია“*, - ემოციურად უხსნიდა მომხდარს ჟურნალისტებს ბერჟერონი.

*„არ მიკბენია. დიახ, მისი თითი ჩემს პირში აღმოჩნდა, მაგრამ კბენა არ ყოფილა. რა უნდოდა მის თითს ჩემს პირში? უბრალოდ თითი მატაკა სახეში“*, - მოიგერია ბაროუზმა მეტოქის რეპლიკა.

ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა უკვე განიხილა ეს ეპიზოდი. განაჩენი ბაროუზის სასარგებლოდაა - „ვანკუვერის“ ფორვარდი სუფთად გამოვიდა ამ სიტუაციიდან და მეორე მატჩში მონაწილეობას მიიღებს.



ინციდენტის კულმინაცია

# კროსბი აგვისტოში დაბრუნდება

„პიტსბურგ პინგვინზის“ ექიმებმა კლუბის ლიდერ **სიდნი კროსბის** ყინულზე ვარჯიშების განახლების უფლება მისცეს. ამ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს. ჰოკეისტი მოედანზე აგვისტოს პირველ რიცხვებში დაბრუნდება.

2011 წლის პირველ იანვარს კროსბიმ ტვინის შერყევა „ვაშინგტონ კეპიტალზის“ ფორვარდ **დევიდ შტეკელთან** შეჯახებისას მიიღო, 5 იანვარს კი „ტამპა ბეი ლაითნინგის“ მცველ **ვიქტორ ჰედმანთან** შეტაკების შემდეგ კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავის მდგომარეობა დამძიმდა. მას შემდეგ კროსბის აღარ უთამაშია.

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ სიდნი იანვრის ბოლოსთვის ჩადგებოდა მწყობრში, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა - „პიტსბურგის“ ლიდერის აღდგენითი პროცესი დროში ძალიან გაიწელებოდა. ცენტრფორვარდმა პლეი ოფის სტარტისთვისაც ვერ მოასწრო გამოჯანმრთელება და მისი კლუბი პირველივე რაუნდში დამარცხდა „ტამპა ბეისთან“.

ტრავმამდე კროსბი ლიდერობდა საუკეთესო ბომბარდირთა და გოლეადორთა სიას. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ რეგულარულში მხოლოდ 41 მატჩი ჩაატარა, სიდნი კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - მის ანგარიშზე იყო 66 ქულა (32 გოლი+34 შედეგიანი პასი).



სიდნი კროსბი

კალათბურთი







# მოემზადეთ: სეზონი შეიძლება არ იყოს

**უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობისა და NBA-ის მოთამაშეთა პროფკავშირის მოლაპარაკებათა გადამწყვეტი რაუნდი. თუ მხარეები კომპრომისამდე ვერ მივლენ, სავსებით შესაძლებელია, პირველი ივლისიდან მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში ლოკაუტი გამოცხადდეს.**

## რა მოხდა 13 წლის წინ

ბოლოს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტი 1998 წელს დაიწყო და 1999 წლის იანვრამდე გაგრძელდა. ამის გამო რეგულარული ჩემპიონატი 82-დან 50-მატჩამდე (თითო გუნდისთვის) შემცირდა, ხოლო ლიგის კალათბურთელებს მონაწილეობა არ მიუღიათ საბერძნეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში.

მოკლედ, 1998 წელს NBA ნახევარი წლით დაიხურა და ამის სრული საფუძველი არსებობდა. ხელფასების ზრდა კონტროლიდან გამოვიდა, კლუბები თავიანთი მოგების 57 პროცენტს მოთამაშეთა ჰონორარებზე ხარჯავდნენ და გუნდების ნახევარზე მეტი ზარალში იყო. ლიგა მოითხოვდა ზოგიერთი წესის გაუქმებას, რომლებიც კლუბებს სახელფასო ლიმიტისთვის გვერდის ავლის საშუალებას აძლევდა, კალათბურთელები კი, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგნი იყვნენ. ამ ფუნდამენტალური პრობლემის მოსაგვარებლად რამდენიმე თვე გახდა საჭირო.

საბოლოოდ, ორივე მხარემ პრესისა და გულშემატკივრების სიძულვილი დაიმსახურა. ჩემპიონატის განახლების შემდეგაც კი მატჩებზე დასწრება და ტელერეიტინგები საგრძნობლად დაეცა და ასე გრძელდებოდა მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ამით შეშინებულმა მოთამაშეებმა და კლუბების მფლობელებმა 2005 წელს სწრაფად, ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოაწერეს ხელი ახალ ექვსწლიან კოლექტიურ ხელშეკრულებას, სწორედ იმას, რომელსაც ოთხი კვირის შემდეგ გასდის ვადა.

## რისთვის იბრძვიან?

1998 წლის ლოკაუტი კლუბების მფლობელთა მცირე ტაქტიკური გამარჯვებით დასრულდა. ინდივიდუალური ხელფასის მაქსიმუმი წელიწადში ცხრიდან 14 მილიონ დოლარამდე შემოიფარგლა და ის დამოკიდებული იყო ლიგაში გამოსვლის სტაჟზე. ხოლო იმ მოთამაშეებისთვის, რომლებიც პირველი სამი წელი გამოდიოდნენ NBA-ში, კიდევ უფრო მკაცრი ლიმიტი დააწესეს. მაგრამ მაშინ NBA-მ ვერ მიაღწია თავის მთავარ მიზანს. საქმე ეხება „ლარი ბერდის წესის“ გაუქმებას ან მოდიფიკაციას.

ეს წესი კლუბებს სახელფასო ლიმიტიდან გასვლისა და იმ კალათბურთელებთან ახალი კონტრაქტების დადების საშუალებას აძლევს, რომლებსაც ლიგაში მინიმუმ სამი სეზონი აქვთ ნათამაშები. ამით საუკეთესო გუნდები დიდი ხნით ინარჩუნებდნენ თავიანთ შემადგენლობებში ვარსკვლავურ ბირთვს და უხანგრძლივებდნენ ცხოვრებას საჩემპიონო „დინასტიებს“. მაგრამ ლეგენდარულ მოთამაშეთა კონტრაქტები, რომლებიც „ბერდის წესს“ ექვემდებარებოდნენ, კლუბებს უდიდეს თანხებად უჯდებოდათ და გუნდებისთვის დაწესებულ სახელფასო ლიმიტს სრულ ფორმალობად აქცევდა. 1998 წელს კლუბების მფლობელებმა კანონმდებლობაში არსებული ეს ხვრელი ვერ ამოავსეს და ახლა მეორე ცდაზე მიდიან. თუმცა ბრძოლა მხოლოდ ამისთვის არ მიდის. ლიგასა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის მომავალი ომი რამდენიმე მიმართულებით განვითარდება.

პირველი საკითხი: ხელფასების მკაცრი ლიმიტი, როგორც ეს ჰოკეის ეროვნულ ლიგაშია მიღებული. NBA-ში „ლარი ბერდის წესის“ გარდა კიდევ უამრავი პირობა და გამონაკლისი არსებობს, რომელიც კლუბებს მოქმედი ლიმიტის გადამეტების საშუალებას აძლევს. ლიგა ყველა ამ წესის გაუქმებას აპირებს. პროფკავშირი იმუქრება, რომ სახელფასო ლიმიტში არსებული ყველა ხვრელის შესანარჩუნებლად იბრძოლებს. აქ ყველაზე სავარაუდო შედეგია - კომპრომისი: გაუქმდეს რამდენიმე, მაგრამ ყველა არა.

მეორე საკითხი: „ლარი ბერდის წესი“. ყველაზე ფართო ხვრელი და NBA-მ შესანიშნავად იცის, რომ მისი გაუქმება შეუძლებელი იქნება, რადგან ლიგას თავადაც აწყობს, რომ კლუბებმა შეინარჩუნონ თავიანთი სუპერვარსკვლავები. მაგრამ ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** და კლუბების მფლობელები იბრძოლებენ ამ წესის რეფორმისთვის.

მესამე საკითხი: მოგების გაყოფა. სისტემა, რომელიც მდიდარ კლუბებს ღარიბებისთვის მოგების გაყოფას აიძულებს, სპორტის სხვა სახეობებში არსებობს. იმავე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში (NHL) შემოსავლიანი კლუბები თავიანთი მოგებიდან გარკვეულ თანხას რიცხავენ საერთო სალაროში, საიდანაც ეს ფული „საბიუჯეტო“ გუნდებში ნაწილდება. ამერიკული ფეხბურთის ლიგაში (NFL) საერთოდ კომუნიზმს მიაღწიეს: ყველა გუნდი საერთო შემოსავალს თანაბრად ინაწილებს. NBA-ში კი საერთო სალაროში მხოლოდ 54 მილიონი დოლარი შედის, რაც ძალიან ცოტაა.

მეოთხე საკითხი: გარანტირებული კონტრაქტები. აქ მოქმედებს წესი, რომელიც NHL-შია დამკვიდრებული - გუნდს, რომელმაც კონტრაქტი გააფორმა სპორტსმენთან, არ აქვს ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების უფლება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოთამაშე არ იმსახურებს იმ ფულს, რომელსაც ხელშეკრულების მიხედვით იღებს (იდეალური მაგალითია - **ედი კარი**, რომელმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა და სანაცვლოდ 31 (!) მილიონი დოლარი მიიღო). კლუბების მფლობელებს სურთ გადმოიღონ NFL-ში დამკვიდრებული სისტემა, სადაც მოკლე კონტრაქტები მოქმედებს, მათი გაუქმება შესაძლებელია და როგორც წესი, გათვალისწინებულია უამრავი ბონუსი ინდივიდუალური თუ გუნდური წარმატებისთვის. მოთამაშეები ამას არ დათანხმდებიან.

მეხუთე საკითხი: მოქმედი კონტრაქტების შეკვეცა. NHL-ში ლოკაუტის შემდეგ ყველა მოთამაშის ხელფასი ერთი მეოთხედით შემცირდა. სტერნი დღეს კიდევ უფრო რადიკალურ რიცხვს ასახელებს - 40 პროცენტი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ლიგის ხელმძღვანელობამ ამაზე მოთამაშეები დაითანხმოს, მაგრამ კალათბურთელებსაც მოუწევთ ოდნავ უკან დახევა.

## რა იქნება შემდეგ?

•NBA-ის მიერ 1998 წელს მოპოვებული ტაქტიკური გამარჯვება სტრატეგიულ მარცხში გადაიზარდა. მოთამაშეთა ხელფასები ისევ გამოვიდა კონტროლიდან და 2005 წლიდან მოყოლებული, ლიგამ დაახლოებით მილიარდი დოლარის ოდენობის ზარალი ნახა (სტერნის ინფორმაცია). თუმცა პროფკავშირის შეფი **ბილი ჰანტერი** საპასუხოდ ამბობს, რომ ლიგას საწუწუნო არაფერი აქვს. წინა სეზონში მან სარეკორდო მოგება ნახა, რამაც, თავის მხრივ, ხელფასების ზრდა გამოიწვია. რა პრობლემებზე უნდა იყოს ლაპარაკი, როცა **ლებრონ ჯეიმსის** სატრანსფერო ისტორია გასული ზაფხულის მთავარი სპორტული მოვლენა გახდა?!

ჰანტერი იმასაც სწორად აღნიშნავს, რომ კლუბების მფლობელები ფულის განიავებაში თავად არიან დამნაშავენი. სულელები ხომ არ არიან, საკუთარი თავისგან დაცვა რომ სჭირდებოდეთ?

თითქოს ლოგიკური ნათქვამია, მაგრამ ჰანტერის სიტყვებზე პასუხი მარტივად ჟღერს: დიახ, სულელები არიან და დაცვა მართლაც სჭირდებათ. ამის მაგალითია იგივე ლებრონი და მისი „მაიამი ჰიტი“. პროფკავშირი ჰოკეის ეროვნულ ლიგაშიც არსებობს და იქაც ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე მსგავსი განცხადებებით გამოდის, მაგრამ ის სასტიკად დაამარცხეს კლუბების მფლობელებმა და სტერნის კოლეგამ - NHL-ის კომისარმა **გერი ბეტმენმა**.

ხელფასების შემცირება, მკაცრი საბიუჯეტო ლიმიტი და გარანტირებული კონტრაქტები - უმნიშვნელოვანესი საკითხებია, ოღონდ მხოლოდ ფინანსური. მათი გადაწყვეტა ელემენტარული ვაჭრობით შეიძლება. ვიღაც მაგრად დადგება, ვიღაც დათმობს და ბოლოს ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს. მაგრამ არსებობს პრობლემის სპორტული მხარე. სტერნი და კომპანია შეწუხებულნი არიან იმით, რომ ლიგა თანდათან ემსგავსება ევროპულ საფეხბურთო ჩემპიონატებს. თუ NHL-სა და NFL-ში ნებისმიერ აუთსაიდერს შეუძლია ორ-სამ წელიწადში ჩემპიონობისთვის იბრძოლოს, ხოლო ნებისმიერი ჩემპიონი ქვემოთ დაეშვას, NBA-ში ყველაფერი საკმაოდ სტატიკურადაა: „ბოსტონი“ და „ლეიკერსი“ მუდმივად ავანგარდში, „ტორონტო“ და „კლიპერსი“ - მუდმივად აუთსაიდერებში, „ატლანტა“, „მინესოტა“ და „ინდიანა“ - სტაბილურად საშუალო დონის გუნდები.

რა თქმა უნდა, ფლაგმანი კლუბების არსებობა მომგებიანია ლიგისთვის. „ლეიკერსი“ და „ბოსტონი“ მაღალი ტელერეიტინგის გარანტიაა, ხოლო დღევანდელმა „მაიამიმ“ საერთოდ ისტერიკამდე მიიყვანა მასმედია. სამაგიეროდ, „ინდიანა“ დღეს ბოლო ადგილზეა დასწრების მხრივ, არადა, ეს გუნდი იმ შტატიდანაა, სადაც კალათბურთი - რელიგიასავითაა. სპორტის ამ სახეობაში გათვითცნობიერებულ ფანებს მობეზრდათ საცოდავი სანახაობა, რომელსაც წლიდან წლამდე აჩვენებს „პეისერსი“. ინტერესის კლება იწვევს ადგილობრივ ტელევიზიებში რეიტინგის დაცემას და სასპონსორო შემოსავლების კლებას. ისეთი კლუბები, რომლებიც „პერმანენტული რეანიმაციის“ მდგომარეობაში არიან და არასოდეს აცხადებენ პრეტენზიას საჩემპიონო ტიტულზე, დღევანდელ NBA-ში ათზე მეტია.

ლაპარაკია ლიგის მრავალწლიან ჯანმრთელობაზე. „ლებრონომანიისა“ და „სელტიქსი“-“ლეიკერსის“ მაღალრეიტინგიანი ფინალების მიუხედავად, NBA-ს დღეს ძალიან უჭირს. ჯანმრთელ ლიგებში ყოველ ორ-სამ წელიწადში გუნდები ერთი ქალაქიდან მეორეში არ მოგზაურობენ, NBA-ში კი მომავალ წელს ორი ასეთი გადასვლა იგეგმება - „ნიუ ჯერსი“ და „საკრამენტო“ შეიცვლიან ადგილმდებარეობას. სხვანაირად როგორ უნდა შეიცვალოს სიტუაცია, თუ არ შემოიღებენ ხელფასების მკაცრ ლიმიტსა და შემოსავლების სამართლიან განაწილებას?

სწორედ ამის გამო დაუპირისპირდებიან ერთმანეთს სტერნი და ჰანტერი. თუ სტერნი თავისი ყოფილი მოსწავლისგან - ბეტმენისგან აიღებს მაგალითს და ბოლომდე არ დაიხევს უკან, ლოკაუტი პირველ ივლისს დაიწყება და შეიძლება იმაზე დიდხანს გაგრძელდეს, ვიდრე ეს 13 წლის წინ იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ნოვაკი რობოტი არ ყოფილა



როჯერ ფედერერი

როლან გაროსის მამაკაცთა ბადის ფინალში კლასიკურ დაპირისპირებას ვნახავთ - **რაფაელ ნადალი როჯერ ფედერერის** წინააღმდეგ.

კარგი საჩუქარი გაუკეთა საკუთარ თავს 25-ე დაბადების დღეზე რაფაელ ნადალმა. მან სამ სეტში დაამარცხა **ენდი მიურეი** და კარიერაში მეექვსედ გავიდა როლან გაროსის ფინალში.

ვერ ვიტყვით, რომ ნადალმა იოლად გაიფორმა ფინალის საგზური. სამივე სეტს ის კარგად იწყებდა, მაგრამ შემდეგ ბრიტანელი პრობლემებს უქმნიდა. პირველ სეტში მიურეიმ ერთი ბრეიკი დაიბრუნა, მეორეში - ორი. საერთო ჯამში, ენდი მიღებაზე კარგად თამაშობდა, ოღონდ ერთი ნაკლი ჰქონდა - გადამწყვეტ მომენტებში სიზუსტე ღალატობდა ან ნადალი აწვდიდა კარგად. მიურეიმ ჯამში 18 ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ აქედან მხოლოდ სამჯერ იხეირა. ნადალს კი ბრეიკ-პოინტების რეალიზების თითქმის 50-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა - 13-დან ექვსი.

მაგალითად, პირველ სეტში მიურეის მეტოქეზე ორჯერ მეტი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ პარტია ნადალმა 6:4 მოიგო. გაცილებით დაძაბული იყო მეორე სეტი - 2:2-დან მოყოლებული ზედიზედ ოთხი გეიმი მეტოქეები საკუთარ მოწოდებებს ვერ იღებდნენ. შემდეგ თამაში დალაგდა, მაგრამ მე-11 გეიმში რაფამ ისევ მოინდომა და მესამე ბრეიკით სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

რაც შეეხება მესამე სეტს, იქ 3:4-ზე მიურეის სამმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ნადალმა ამჯერადაც მოიგერია საფრთხე, ბოლოს კი პირველივე მატჩბოლი გამოიყენა. რაფას პირველ წრეში **ჯონ ისნერთან** მეორე სეტის წაგების შემდეგ, ზედიზედ 17 პარტია აქვს აღებული.

*„დღეს ბრეიკის ბევრი შანსი მქონდა, მაგრამ რაფა გადამწყვეტ მომენტებში შესანიშნავად მოქმედებდა. კარგად აწვდიდა და ინიციატივა მოიპოვა უძლიერესი ფორჰენდის წყალობით. ერთი-ორჯერ მქონდა ბრეიკით წინ გასვლის საშუალება, მაგრამ თავისი უარყოფითი როლი ქარმაც ითამაშა, თუმცა ამ ფაქტორს მატჩზე გავლენა არ ჰქონია.*

*საერთო ჯამში დღეს წარმატების მცირე შანსი მქონდა. ცუდად არ მითამაშია, მაგრამ რაფა შეუდარებელი იყო და დამსახურებულად გაიმარჯვა“,* - ასეთი იყო მატჩის შემდეგ მიურეის კომენტარი.

*„როლან გაროსზე მორიგ ფინალში გასვლა ჩემთვის ზღაპრივითაა. მადლობა ენდის კარგი თამაშისთვის. ის ბრწყინვალე ჩოგბურთელია და ვფიქრობ, იმსახურებს უახლოეს დროში „დიდი სლემის“ ტურნირზე გამარჯვებას. ახლა წინ მელის შეხვედრა ან ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელთან ან დღეისთვის საუკეთესო მოთამაშესთან. მთავარია, რომ ფინალამდე მივაღწიე“,* - განაცხადა მატჩის შემდეგ ნადალმა.

ამ გამარჯვების შემდეგ პარიზულ გრუნტზე ესპანელს 44 მოგება და ერთი წაგება აქვს. ესპანელს ერთი მოგება აკლია ლეგენდარული **ბიორნ ბორგის** რეკორდის გასამეორებლად - ეს არის საფრანგეთის ღია პირველობის ექვსჯერ მოგება.

■ ■ ■

ნადალს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელთან მოუწევს შეხვედრა. დიახ, **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მოგებათა ბრწყინვალე სერია 43 მატჩზე შეწყდა. „დიდი სლემის“ 16-გზის ჩემპიონმა ოთხ სეტში შეძლო სერბის დამარცხება და ბოლო ექვს წელიწადში მეოთხედ შეხვდება ნადალს როლან გაროსის ფინალში.

მატჩი ძალიან საინტერესოდ განვითარდა და ღირს მის პერიპეტიებზე დაწვრილებით შეჩერება. პირველ სეტში სერბი ახლო იყო ტაი-ბრეიკის მოგებასთან, მაგრამ 5:4-ზე ზედიზედ სამი უნებლიე შეცდომა დაუშვა - ერთხელ ფორჰენდისა და ორჯერ ბექჰენდის შესრულებისას.

მეორეში ფედერერმა ცხრა ბრეიკ-პოინტიდან ერთი გამოიყენა, რითაც 4:1 დაწინაურება შეძლო და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. მესამეში როჯერმა დაისვენა - ჯოკოვიჩმა ადრეული ბრეიკით წაიყვანა ანგარიში, ამჯერად საკუთარი გეიმი არ წააგო და სეტი 37 წუთში თავის სასარგებლოდ დაასრულა. სხვათა შორის, ეს იყო ფედერერის პირველი წაგებული პარტია ამ ტურნირზე.

ჯოკოვიჩს თავისუფლად შეეძლო საქმე მეხუთე პარტიამდე მიეყვანა, რადგან 5:4-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ შვეიცარიელმა მატჩში მეოთხე ბრეიკი მიითვალა და ტაი-ბრეიკი დაინიშნა. „შემოკლებულ გეიმში“ 3:3-ზე ფედერერმა ზედიზედ სამი ქულა აიღო და სამმაგი მატჩბოლი მოიპოვა. როჯერმა მესამე ცდაზე, რიგით მე-18 ეისით შეძლო მატჩის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა. ლოგიკური იმიტომ, რომ ფედერერმა თითქმის ყველა ძირითად კომპონენტში აჯობა მეტოქეს, მხოლოდ უნებლიე შეცდომა ჰქონდა ხუთით მეტი. სამაგიეროდ, ორჯერ მეტი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და გადამწყვეტ მომენტებში უფრო ზუსტად რომ ეთამაშა, უფრო ადრე მოიგებდა ამ შეხვედრას.

წაგების მიუხედავად, ეს როლან გაროსი ჯოკოვიჩისთვის, შესაძლოა, მაინც მაჟორულ ნოტაზე დასრულდეს. თუ ნადალი ფინალის მოგებას ვერ შეძლებს, ნოვაკი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება. ამის გაკეთება სერბს გუშინაც შეეძლო - ფინალში გასვლა კლასიფიკაციის ლიდერობას მოუტანდა, ახლა კი მასზე არაფერია დამოკიდებული. ნადალისა და ფედერერის როლან გაროსზე შეხვედრათა სტატისტიკაც მის საწინააღმდეგოდაა - ესპანელი და შვეიცარიელი სამჯერ შეხვდნენ ფინალში და სამივეჯერ პირველობა ნადალს დარჩა. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.

| კაცები |
| --- |
| **1/2 ფინალი** |
| **რაფაელ ნადალი (1)**- ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:4, 7:5, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**- ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2) 7:6(5), 6:3, 3:6, 7:6(5). |

# სიკვდილი მოხუცთა თავშესაფარში

ამერიკის ყოფილი პირველი ნომერი, ჩოგბურთის დიდების დარბაზის წევრი **ბეტანი ბეტც-ოდი** 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჩოგბურთელი, რომელიც „პარკინსონის“ ავადმყოფობით იყო დაავადებული, 31 მაისს ქალაქ პოტომაკში (მერილენდის შტატი) მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა - წერია ჩოგბურთის დიდების დარბაზის ოფიციალურ განცხადებაში.

გასული საუკუნის 40-იან წლებში ამერიკელი ქვეყნის საუკეთესო ქალი ჩოგბურთელი იყო. 1941-46 წლებში ის ზედიზედ ექვსჯერ გავიდა აშშ-ის ეროვნული ჩემპიონატის (აშშ-ის ღია პირველობის წინამორბედი) ფინალში და ოთხი ტიტული მოიგო. 1946 წელს ოდიმ უიმბლდონიც დაიპყრო, თანაც მთელი ტურნირის განმავლობაში არც ერთი სეტი არ წაუგია.

ბეტანი 1968 წელს გახდა საერთაშორისო დიდების დარბაზის წევრი და ჩოგბურთის თამაშს თითქმის 80 წლის ასაკამდე აგრძელებდა.

ერთ დროს პირველი ნომერი იყო



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**FM 107,9**

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
| --- | --- |
| **ევრო 2012** | |
| ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 2:1 |
| ავსტრია-გერმანია | 1:2 |
| ბელგია-თურქეთი | 1:1 |
| ფარერები-სლოვენია | 0:2 |
| იტალია-ესტონეთი | 3:0 |
| რუმინეთი-ბოსნია | 3:0 |
| ბელარუსი-საფრანგეთი | 1:1 |
| მოლდოვა-შვედეთი | 1:4 |
| სან მარინო-ფინეთი | 0:1 |
| ლიხტენშტაინი-ლიტვა | 2:0 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| ლიტვა-სლოვენია | 0:1 |
| ფინეთი-მალტა | 0:0 |
| ანდორა-ჩერნოგორია | 0:5 |
| რუმინეთი-ყაზახეთი | 0:0 |
| სლოვაკეთი-ლატვია | 2:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კორეა-სერბეთი | 2:1 |
| ჰონგ კონგი-მალაიზია | 1:1 |
| ლუქსემბურგი-უნგრეთი | 0:1 |
| **UNDER 21** | |
| პორტუგალია-ავსტრია | 2:0 |
| **ტულონის ფესტივალი** | |
| კოლუმბია-კოტ დ'ივუარი | 4:1 |
| იტალია-პორტუგალია | 1:1 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ბოჰემიანი-დუგლას ჰილი | 3:0 |
| ჩერი-უნივერსიტი | 1:2 |
| კრამლინი-სტ. პატსი | 0:3 |
| დროგედა-მერვუ | 4:0 |
| მიდლტონი-კორკი | 0:2 |
| სოლტჰილი-შერიფი | 1:2 |
| სლიგო-პაიკი | 3:2 |
| უოტერფორდი-ნიუ როსი | 3:0 |
| ლონგფორდი-ფინ ჰარპსი | 0:0 |
| მონეგანი-ევერტონი | 4:1 |
| შემროკი-ეთლონი | 4:0 |
| უექსფორდი-დერი | 4:1 |
| **პარაგვაი** | |
| რუბიო ნუ-ხენერალი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| მილანი-კანტუ | 70:56 |

● TV პროგრამა

**4 ივნისი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** ამხანაგური მატჩი. გერმანია-ურუგვაი.
**13:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
**15:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
**17:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი.
**22:00** იტალიის ჩემპიონატის შემაჯამებელი შოუ.
**22:40** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ფინალი. ტულუზა-მონპელიე (LIVE).
**00:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. პირველი და მეორე ტურის მიმოხილვა.
**01:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-კრუზეირო (LIVE).

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. 1/2 ფინალი. მაქაბი-რეალი.
**12:50** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეორე მატჩი.
**15:20** ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. კაცები. მიმოხილვა.
**16:15** ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. ქალები. მიმოხილვა.
**17:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. ფინალი. ფრანჩესკა სკიავონე-ნა ლი. პარიზი (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. 1/2 ფინალი. მაქაბი-რეალი.
**22:00** კარატე.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეორე მატჩი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**19:40** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-შვეიცარია (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**12:00** ტრიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ესპანეთი (LIVE).
**22:00** მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. V ეტაპი. იუჯინი. აშშ (LIVE).
**04:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი. ვანკუვერი-ბოსტონი. მეორე მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**17:55** ფარიკაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. 1/2 ფინალი, ფინალი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).
**22:25** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩერნოგორია-ბულგარეთი (LIVE).
**01:25** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-კრუზეირო (LIVE).
**05:00** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ტურნირი SUPER SIX WORLD BOXING CLASSIC. 1/2 ფინალი. კარლ ფროჩი-გლენ ჯონსონი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**18:45** კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. უნიქსი-ხიმკი. მესამე მატჩი (LIVE).

**SPORT+**

**18:00** ცურვა. საერთაშორისო სერია - MARE NOSTRUM. ესპანეთი (LIVE).
**22:10** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. სლოვაკეთი-ანდორა (LIVE).
**04:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი. ვანკუვერი-ბოსტონი. მეორე მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**15:00** ავტოსპორტი. უნგრეთის გრანპრი. I რბოლა (LIVE).
**17:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. ფინალი. ფრანჩესკა სკიავონე-ნა ლი. პარიზი (LIVE).
**20:25** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. კოლინგვუდი-კილდა (LIVE).
**16:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ესპანეთი (LIVE).
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ესპანეთი (LIVE).
**18:15** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-უნგრეთი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
**20:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ესპანეთი (LIVE).
**20:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი მსუბუქი მანქანებით რბოლაში. უნგრეთი (LIVE).

**5 ივნისი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**13:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-კრუზეირო.
**15:00** ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ სიტი.
**17:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ფიორენტინა.
**19:00** იტალიის ჩემპიონატის შემაჯამებელი შოუ.
**20:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. მეორე ტურის მიმოხილვა.
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-კორინთიანსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**19:40** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-შვეიცარია (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**16:30** ტრიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ესპანეთი (LIVE).
**18:45** კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ხიმკი-უნიქსი. მეოთხე მატჩი (LIVE).
**03:50** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მესამე მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**12:45** აკადემიური ნიჩბოსნობა. რუსეთი (LIVE).
**17:55** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (ახალგაზრდულები). ინგლისი-ნორვეგია (LIVE).

**SPORT+**

**18:00** ცურვა. საერთაშორისო სერია - MARE NOSTRUM. ესპანეთი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-კორინთიანსი (LIVE).

**EUROSPORT**

**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი მსუბუქი მანქანებით რბოლაში. გასახურებელი წრე. უნგრეთი (LIVE).
**14:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი მსუბუქი მანქანებით რბოლაში. უნგრეთი (LIVE).
**16:15** ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. საფრანგეთი (LIVE).
**17:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. ფინალი. კაცები. პარიზი (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. კოტ დ'ივუარი-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი მსუბუქი მანქანებით რბოლაში. უნგრეთი (LIVE).
**14:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ესპანეთი (LIVE).
**15:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ესპანეთი (LIVE).
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ესპანეთი (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-კოლუმბია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის ბოლოს



ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. ფინალი

# ისტორია ხანდახან მეორდება

ხუთი წლის წინ „დალასი" „მაიამისთან" ფინალურ სერიას 2:0-ს იგებდა და მესამე მატჩის ბოლო მეოთხედის ზუსტად შუაში 15 ქულით იყო წინ. „მაიამიმ" ფანტასტიკურ სტილში შეძლო იმ მატჩის გადარჩენა, რის შემდეგაც სერია თავის სასარგებლოდ დაასრულა და ჩემპიონი გახდა.

თურმე ასეთი რამ ერთხელ არ ხდება. გუშინ „მაიამი" იგებდა საფინალო სირენამდე ექვსი წუთით ადრე 15 ქულის სხვაობით და... წააგო, რითაც მეტოქეს საკუთარი მოედნის უპირატესობა გადააბარა. რა თქმა უნდა, ჯერ შეუძლებელია იმის თქმა, როგორ დასრულდება ეს სერია, მაგრამ 2006 წლის ფინალთან გარკვეული პარალელები უკვე გამოიკვეთა.

შეხვედრის დასაწყისი ძალიან ჰგავდა პირველი მატჩის სტარტს, როცა გუნდები აშკარად დაცვით თამაშს ანიჭებდნენ უპირატესობას. თუმცა პირველი 12-წუთეულის შუა ნაწილში სტუმრების მცირე უპირატესობა გამოიკვეთა - „დალასმა" **სტივენსონისა** და **კიდის** ორი შორეული ტყორცნით ექვსქულიანი ჰანდიკაპი მიიღო. „ჰიტმა" ძალიან სწრაფად უპასუხა: „დიდმა ტრიომ" 7:0 სპურტი „გამოაცხო" და „მავერიქსის" უპირატესობისგან არაფერი დარჩა. **ლებრონ ჯეიმსმა** აქცენტი სამქულიანებზე გადაიტანა და **ბიბიმაც** დროულად აუბა მხარი, რომელმაც ასევე ორჯერ გამოიჩინა თავი პერიმეტრიდან. „დალასის" რიგებში კარგად დაიწყო შეხვედრა სტივენსონმა, რომელიც პერსონალურად ძალიან ურთულებდა საქმეს **უეიდს** და შეტევასაც არ ივიწყებდა. გარდა ამისა, მასპინძლები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ **ჩენდლერის** დაკეტვას, თუმცა საერთო ჯამში, „მაიამის" სამწამიანში დაცვა არ დაეწუნებოდა - ეს რომ არა, „მავერიქსის" უპირატესობა უფრო დიდი იქნებოდა, რაც გამოჩნდა კიდეც მეორე მეოთხედში.

როგორც კი ლებრონი და **ენტონი** დასასვენებლად გავიდნენ, **ბარეამ** და სხვა რეზერვისტებმა **მერიონისა** და **ნოვიცკის** დახმარებით „ჰიტის" ტერორიზება დაიწყეს. ფლორიდელებს კი შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ - რამდენიმე აცილება და სამჯერ ბურთის დაკარგვა ექვსქულიან ჩამორჩენად დაუჯდათ. მართალია, უეიდმა ფაქტობრივად მარტომ შეძლო გამოეცოცხლებინა თავისი გუნდის თამაში, თუმცა „დალასი" მოპოვებული უპირატესობის დათმობას არ აპირებდა და მალე ისევ მძლავრად შეუტია. დირკი თავადაც ზუსტად ისროდა და თავისუფალ პარტნიორებსაც პოულობდა. შედეგად, „დალასის" ცხრაქულიანი უპირატესობა უკვე გამაღიზიანებელი იყო მასპინძლებისთვის.

„მაიამიმ" სიტუაციის გამოსწორება აგრესიული შეტევებით სცადა, რომლებიც ძირითადად საჯარიმო ტყორცნებით სრულდებოდა, დაცვა კი ისევ გაუვალ ბარიერს დაემსგავსა და მეორე მეოთხედი პირველის მსგავსად ფრედ დასრულდა. გუნდები დიდ შესვენებაზე ასეთი ანგარიშით გავიდნენ - 51:51.

მესამე მეოთხედი ტექსასელებისთვის საშინლად დაიწყო. ზედიზედ სამ შეცდომას უეიდისა და ჯეიმსის წყვილის სამი გაქცევა მოჰყვა და მასპინძლები ხუთი ქულით დაწინაურდნენ. პირველი ექვს-ნახევარი წუთის განმავლობაში სტუმრებმა მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდეს თამაშიდან და როგორც ჩანდა, „ჰიტმა" დიდი ხნით ჩაიგდო ხელთ ინიციატივა.

„დალასის" სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთით ადრე უეიდმა საჯარიმოს ხაზიდან პირველად დააფიქსირა ორნიშნა უპირატესობა - 71:61. ხოლო უკანასკნელი მეოთხედის საწყისი წუთები სტუმრებისთვის სრულ კოშმარად იქცა. მნიშვნელოვანი მომენტი იყო უეიდის ზუსტი სამქულიანი საფინალო სირენამდე 6 წუთითა და 33 წამით ადრე. ამ მომენტისთვის ანგარიშში სხვაობა 15 ქულას შეადგენდა. შესაძლებელი იყო თუ არა ასეთ სიტუაციაში გადარჩენა? ამ პლეი ოფში მსგავსი რამ „დალასის" შესრულებით უკვე ვნახეთ, ოღონდ „ოკლაჰომასთან" სერიაში, ეს გუნდი კი, **დურანტისადმი** პატივისცემის მიუხედავად, „მაიამის" კლასში აშკარად ჩამოუვარდება. ფლორიდელებთან ნებისმიერი ქულის მოპოვებას დიდი მონდომება სჭირდება.

მაგრამ სასწაული ამჯერადაც მოხდა. საფინალო სირენამდე 2 წუთითა და 44 წამით ადრე ნოვიცკიმ ურთულესი საშუალო ტყორცნა ჩააგდო - 88:90. 57 წამით ადრე, მასპინძლების ძალიან გრძელი, მეტოქის ფარზე ორმოხსნიანი შეტევის შემდეგ მანვე ანგარიში გაათანაბრა - 90:90. ეს იყო დალასელთა 17:2 სპურტის დასასრული.

გაოგნებულმა **სპოელსტრამ** ტაიმაუტი მოითხოვა, მაგრამ რაიმეს შეცვლა უკვე ძალიან რთული იყო. ამ პაუზიდან პირველივე შეტევაში მთელი სალამო ბრწყინვალედ მოთამაშე უეიდმა სამქულიანის სროლა გადაწყვიტა და ააცილა. საპასუხო შეტევაში „დალასმა" იგივე გააკეთა, ოღონდ ეს ცდა ზუსტი იყო. რა თქმა უნდა, ტყორცნის ავტორი ნოვიცკი გახლდათ. სათამაშო რჩებოდა 26,7 წამი. „მაიამიმ" ისევ ტაიმ-აუტი აიღო.

ფლორიდელებს ანგარიშის გასათანაბრებლად სულ რაღაც ორი წამი დასჭირდათ. ლებრონმა გრძელი პასით მოედნის კუთხეში მონახა რატომღაც ყველასგან მიტოვებული **ჩელმერსი**, რომელმაც გუნდი არ დაალალატა - 93:93.

„დალასს" ზუსტად ერთი შეტევისთვის ჰქონდა დრო. სტუმრებს ოვერტაიმი თითქმის ჯიბეში ედოთ, თან მატჩის მოგების კარგი შანსიც არსებობდა. ტექსასელებს ბოლო წამებზე უნდა ესროლათ, რადგან „მაიამის" ტაიმ-აუტი აღარ ჰქონდა და ეს მასპინძელთა მდგომარეობას ამძიმებდა.

კიდმა დიდხანს ატარა ბურთი, შემდეგ გააკეთა ის, რასაც ყველა ელოდა: ბურთი ნოვიცკის გადააწოდა. ფარისკენ ზურგით მდგარმა გერმანელმა რამდენიმე მოძრაობა გააკეთა, შემდეგ მკვეთრად შებრუნდა, **ბოშს** გაუსწორდა და ფარქვეშიდან ჩააგდო სწორედ იმ ტრავმირებული მარცხენა ხელით, რომელზეც მატჩის წინ ამდენი ლაპარაკი იყო.

სათამაშო რჩებოდა 3,6 წამი და ჯეიმსმა და უეიდმა მაინც მიიყვანეს საქმე პოტენციურ გამარჯვების ტყორცნამდე, მაგრამ დუეინის ათი მეტრიდან შესრულებული სამქულიანი კალათში არ ჩავარდა.

**მაიამი-დალასი 93:95**

**28:28, 23:23, 24:20, 18:24**

**მ:** უეიდი (36+6 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯეიმსი (20+8 მოხსნა+4 პასი+4 ჩაჭრა+2 დაფარება), ბიბი (14+4 ჩაჭრა), ბოში (12+8 მოხსნა), ჩელმერსი (9+3 პასი), ჰასლემი (2), ენტონი (0+3 დაფარება), მილერი.

**დ:** ნოვიცკი (24+11 მოხსნა+4 პასი), მერიონი (20+8 მოხსნა+3 პასი), ტერი (16+5 პასი), ჩენდლერი (13+7 მოხსნა), სტივენსონი (9+3 ჩაჭრა), კიდი (6+8 მოხსნა+5 პასი), ბარეა (5), ჰეივუდი (2), სტოიაკოვიჩი, კარდინალი.

**სერია: 1-1**

**სტატისტიკა**

**ტყორცნები თამაშიდან:** 34/73 (46,6) - 36/75 (48,0)
**სამქულიანები:** 9/30 (27,0) - 6/17 (35,3)
**საჯარიმოები:** 16/24 (66,7) - 17/21 (81,0)
**მოხსნები (შეტევაში-სულ):** 6/30 - 11/41
**პასები:** 13-18
**შეცდომები:** 12-18
**ჩაჭრები:** 15-8
**დაფარებები:** 7-2
**ყველაზე დიდი სხვაობა:** 15-9

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ნოვიცკის გამარჯვების ტყორცნა

ფორმულა 1

## ბაჰრეინი 30 ოქტომბერს

ბაჰრეინის გრანპრი 30 ოქტომბერს გაიმართება, ინდოეთის ეტაპი კი დახურავს სეზონს, თუმცა მისი თარიღი ჯერ დადგენილი არ არის - ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ბაჰრეინის რბოლასთან დაკავშირებით.

*„ეს სასიხარულო ინფორმაციაა ბაჰრეინისთვის. ქვეყანას რთული პერიოდი უდგას, მაგრამ სტაბილურობა ბრუნდება, ბიზნესი პრაქტიკულად ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებს, საგანგებო მდგომარეობა გაუქმებულია...*

*ბაჰრეინის გრანპრის ჩატარებით გვინდა შევახსენოთ მთელს მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის შესახებ. მთელი ბაჰრეინის სახელით მადლობას ვუხდი ბერნი ექლსტოუნს, ჟან ტოდტს, ფედერაციასა და მთლიანად ავტოსპორტის სამყაროს მხარდაჭერისთვის"*, - განაცხადა ბაჰრეინის ეტაპის დირექტორმა **ზაიედ ალ ზაიანიმ**.

■ ■ ■

გუშინვე გამოქვეყნდა 2012 წლის სეზონის კალენდარი. მთავარი სიახლე ის არის, რომ ჩემპიონატს უბრუნდება ამერიკის გრანპრი, რის გამოც გაისად სეზონში 21 რბოლა იქნება:

| | |
|---|---|
| 11 მარტი | ბაჰრეინი |
| 18 მარტი | ავსტრალია |
| 1 აპრილი | მალაიზია |
| 8 აპრილი | ჩინეთი |
| 22 აპრილი | კორეა |
| 6 მაისი | თურქეთი |
| 10 მაისი | ესპანეთი |
| 27 მაისი | მონაკო |
| 10 ივნისი | კანადა |
| 17 ივნისი | აშშ |
| 1 ივლისი | ევროპა |
| 15 ივლისი | ბრიტანეთი |
| 29 ივლისი | გერმანია |
| 5 აგვისტო | უნგრეთი |
| 2 სექტემბერი | ბელგია |
| 9 სექტემბერი | იტალია |
| 30 სექტემბერი | სინგაპური |
| 14 ოქტომბერი | იაპონია |
| 28 ოქტომბერი | ინდოეთი |
| 11 ნოემბერი | აბუ დაბი |
| 25 ნოემბერი | ბრაზილია |

კრივი

## ჰეის 12 კლონი



ვლადიმერი ალპებში

სუპერმძიმე წონაში WBO-სა და IBF-ის ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვლადიმერ კლიჩკომ** 12 სპარინგ-პარტნიორი იპოვა, რომლებიც ბრძოლის სტილით ჰგვანან უმცროსი კლიჩკოს მომავალ მეტოქეს - WBA-ის ბრიტანელ ჩემპიონ **დევიდ ჰეის**. ჩემპიონების ბრძოლა 2 ივლისს გერმანიის ქალაქ ჰამბურგში ჩატარდება. უკრაინელი ამ ჩხუბისთვის ავსტრიის ალპებში, ცნობილ სამთო კურორტ კიტცბუელში ემზადება.

ვლადიმერის სპარინგ-პარტნიორებზე მისმა უფროსმა ძმამ - **ვიტალიმ** უამბო ჟურნალისტებს. უფროსი კლიჩკოს თქმით, სპარინგები - გამოცდილი მოკრივეები არიან და კრივის სამყაროში მათ ყველა იცნობს. თუმცა ვიტალის გვარები არ დაუსახელებია.

კლიჩკოსა და ჰეის ბრძოლაში გათამაშდება ის სამი საჩემპიონო ქამარი, რომლებსაც ეს მოკრივეები ფლობენ. რაც შეეხება ვიტალი კლიჩკოს, რომელიც WBC-ის საჩემპიონო ტიტულს ფლობს, მას 10 სექტემბერს უწევს ბრძოლა პოლონელ **ტომაშ ადამეკთან**. ეს შეხვედრა პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გაიმართება.